სამართლებრივი კულტურა

სახელმძღვანელო მე-9 კლასელი მოზარდების განმანათლებელი
მასწავლებლებისა და სამართალდამცველებისათვის

ეს სახელმძღვანელო შეიქმნა საქართველოს სამართლებრივი კულტურის
პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება
აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის
ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის
საერთაშორისო ბიუროს დაფინანსებით

პროექტი ხორციელდება PH International-ის მიერ.

საავტორო უფლებები © 2009 PH International.

თბილისი

ავტორები:

გიორგი გახელაძე

გიორგიმ 1992 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. მას შემდეგ ივი ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში მუშაობს როგორც საჯარო, ისე არასამთავრობო სექტორში. მისი საგანმნათლებლო გამოცდილება მრავალფეროვანია: მასწავლებელი სკოლაში, პოლიციის აკადემიასა თუ ახალგაზრდულ სახლში, დამრიგებელი, საერთაშორისო პროექტების ეროვნული ექსპერტი, მოსწავლეთა და მასწავლებელთა სახელმძღვანელოების თანაავტორი, განმანათლებელთა მწვრთნელი და ა.შ. გიორგის თავად აქვს გავლილი პროფესიული განვითარების მრავალი პროგრამა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

ნინო ერემაშვილი

*ნინომ დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი და ასპირანტურა. წლების განმავლობაში ასწავლიდა ამავე ფაკულტეტზე და საშუალო სკოლაში. ამჟამად ნინო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობისა და სამოქალაქო განათლების საკითხებზე მუშაობს და ამ მიმართულებით თანამშრომლობს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან, როგორც ექსპერტი და კონსულტანტი. ნინო არის **VIII** და **IX** კლასების სამოქალაქო განათლების სასკოლო სახელმძღვანელოს თანაავტორი. ნინოს გავლილი აქვს სპეციალიზირებული პედაგოგური სტაჟირება სტენდალის სახელობის უნივერსიტეტში (გრენობლი, საფრანგეთი) და ასევე მრავალი ტრენინგი ადამიანის უფლებათა დაცვისა და პედაგოგიკის დარგში.*

მაკა ფერაძე

მაკამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. 2006 წლიდან მუშაობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. 2006–2008 წლებში ივი იყო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანაშემწე. 2008–2009 წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს ევრო–ატლანტიკური ინტერგაციის სამმართველოს მთავარ სპეციალისტად მუშაობდა. ამჟამად მაკა საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი სამმართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისა და პროექტების კოორდინაციის განყოფილების უფროსია.

ელგუჯა მაკალათია

ელგუჯამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატი და მაგისტრატურა დაამთავრა. 2006 წელს მან სტაჟირება გაიარა სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. ამჟამად ელგუჯა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში საპატრულო ფაკულტეტის უფროს ინსპექტორად მუშაობს და კითხულობს ლექციებს სისხლის სამართალში, სისხლის სამართლის პროცესში და ადამიანის უფლებებში.

მადლობას მოვახსენებთ:

საქართველოს სამართლებრივი კულტურის პროექტის თანამშრომლები და წევრები მადლობას უხდიან აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ნარკომანიასთან ბრძოლისა და კანონის დაცვის უზრუნველყოფის საერთაშორისო ბიუროს, რომელმაც აღნიშნული პროექტი დააფინანსა და დაეხმარა მის განხორციელებას.

საქართველოს სამართლებრივი კულტურის პროექტის თანამშრომლები და წევრები მადლობას უხდიან, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავისა და თბილისის სკოლის დირექტორებსა და მასწავლებლებს, პოლიციელებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოცემული სასწავლო მასალის გამოცდაში და საკუთარი კომენტარებითა და წინადადებებით გაამდიდრეს ივი. სასწავლო მასალა უფრო სრულყოფილი გახდა მასში პოლიციელების, სკოლის დირექტორების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების წინადადებების შეტანის შემდეგ.

2008 წლიდან საქართველოს სამართლებრივი კულტურის პროექტის საგანმანათლებლო პროგრამა პროექტ „ჰარმონიის„ , საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება. პროექტისა და სასწავლო მასალების გამოცდა (პილოტირება) 2008-2009 სასწავლო წელს განხორციელდა საქართველოს 20 სკოლაში, IX კლასების 1000-მდე მოსწავლესთან.

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

რას ნიშნავს სამართლებრივი კულტურა 6

ძირითადი პედაგოგიური მიდგომები 9

მოზარდის ასაკობრივი თავისებურებები 16
(ამ თავისთვის მასალა მოგვაწოდა არასამთავრობო ორგანიზაციამ "საფარი")

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები 29

სამოქალაქო განათლების მე-9 კლასის საგნობრივი პროგრამა 31

საქართველოს სამართლებრივი კულტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და ამოცანები 35

ზოგადი მეთოდური რეკომენდაციები 38

კერძო მეთოდების მიმოხილვა 41

მასწავლებლებისა და სამართალდამცველების საყურადღებოდ 56

გაკვეთილების სცენარები 55

თემა 1 – ვინ არის სამართალდამცველი 59
- დანართი 1 – საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ 61
- დანართი 2 – საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი 84

თემა 2 - არასრულწლოვანი და კანონი 89
- I გაკვეთილი – სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი 89
- II გაკვეთილი – სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 91
- დანართი 3 – სისხლის სამართლისა და შესაბამისი საპროცესო კოდექსები არასრულწლოვნებთან მიმართებით 93

თემა 3 – მართლმსაჯულება 100
- I გაკვეთილი - სასამართლო 100
- II გაკვეთილი - როგორ მოქმედებს კანონი (პრაქტიკუმი: სასამართლო) 105

თემა 4 - როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტი 107

თემა 5 - გულგრილობა თუ თანამშრომლობა 111

თემა 6 - მავნე ჩვევებისა და მათი სახიფათო შედეგების თავიდან აცილება 113
- I გაკვეთილი - ალკოჰოლიზმი და ნარკომანია 113
- II გაკვეთილი - თამბაქოს მოწევა, აზარტული თამაშობები და ცივი იარაღი 116

თემა 7 - ორგანიზებული დანაშაული 128
- I გაკვეთილი - რას ნიშნავს ორგანიზებული დანაშაული 128
- II გაკვეთილი - ორგანიზებული დანაშაულის სახეები და შედეგები 129
- დანართი 4 – ორგანიზებული დანაშაულის მაგალითები მსოფლიოში 131
- დანართი 5 – ქურდული სამყარო 134

თემა 8 - ჩემი სამართლიანი არჩევანი 149

განმარტებითი ლექსიკონი 151

წინასიტყვაობა

ჩვენს საზოგადოებაში მომხდარმა ცვლილებებმა, სახელმწიფოში დემოკრატიის მშენებლობის შეუქცევადმა პროცესმა და თავისუფალ სამყაროში სრულუფლებიანი ადგილის დამკვიდრებისკენ საქართველოს სწრაფვამ ქვეყნის განათლების სისტემას ახალი გამოწვევები შესთავაზა. სწორედ 21-ე საუკუნის საქართველოს მოთხოვნებს უპასუხებს „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები" (საქართველოს მთავრობის განკარგულება 84, 18 ოქტომბერი, 2004 წელი).

ჩვენს თანამედროვე საზოგადოებას განათლებული და მრავალმხრივ განვითარებული მოქალაქეები სჭირდება, რომლებიც აქტიურ, ნაყოფიერ მონაწილეობას მიიღებენ სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარებაში. სწორედ ასეთი პიროვნებები ქმნიან და ავითარებენ დემოკრატიულ საზოგადოებრივ წეს-წყობილებას, სადაც კანონის უზენაესობა ხორციელდება და ვითარდება. ასეთ საზოგადოებას, სხვა ნიშნებთან ერთად, ახასიათებს სამართლებრივი კულტურა.

რას ნიშნავს სამართლებრივი კულტურა?

საზოგადოება შეიძლება განიმარტოს, როგორც საერთო ღირებულებების მქონე ადამიანთა ერთობლიობა, რომელსაც ერთიანი მიზნები და ფუნქციური მთლიანობა ახასიათებს. ადამიანთა ისეთ გაერთიანებას, რომელიც საერთო ღირებულებებს არ ფლობს, ან ერთი მიზანი არ ამოძრავებს და ფუნქციური მთლიანობა არა აქვს, შეიძლება ეწოდოს მხოლოდ მოსახლეობა, მაგრამ არა – საზოგადოება.

ღირებულებათა სისტემა საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ის ნორმებია, რომლებიც გამოხატავს გაბატონებულ აზრს იმის შესახებ, თუ რა არის კარგი, სწორი ან სასურველი. ღირებულებებსა და ნორმებს შორის ის განსხვავებაა, რომ ღირებულებები აბსტრაქტული, ზოგადი ცნებებია, ხოლო ნორმები – გარკვეულ ვითარებაში ადამიანის მოქმედების წესები ან სახელმძღვანელო პრინციპებია.

ადამიანის უფლებების ცნების საფუძველია ორი ღირებულება: ადამიანური ღირსება და თანასწორობა. ადამიანის უფლებები განსაზღვრავს იმ ნორმებს, რომლებიც აუცილებელია, რათა ღირსების გრძნობით ვიცხოვროთ. მათი უნივერსალობა კი იქიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანები ღირსების გრძნობით თანასწორნი არიან და ვინმეს გამოყოფა ამ კუთხით შეუძლებელია.

ამ ორი ძირითადი ღირებულებიდან გამომდინარეობს სხვა ღირებულებებიც, რომლებიც ადამიანებისა და საზოგადოებების ჰარმონიული თანაარსებობის გააზრებას გვიადვილებენ:

- თავისუფლება;
- თანასწორუფლებიანობა;
- ადამიანის პატივისცემა;
- გულისხმიერება;
- სამართლიანობა;
- პასუხისმგებლობა.

საზოგადოების თანამედროვე გაგების საფუძველში დევს მოსაზრება, რომ ყველა ადამიანი თანასწორად ღირებულია.

სამოქალაქო საზოგადოება, მისი ფართო გაგებით, განისაზღვრება, როგორც „განსაკუთრებული სივრცე ოჯახს, სახელმწიფოსა და ბაზარს შორის, რომელშიც ხალხი საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას ცდილობს". დემოკრატიული სახელმწიფოს იდეა თავის თავში გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოებას, როგორც დემოკრატიულობის უფრო მაღალ საფეხურს, რადგან სამოქალაქო საზოგადოებაში ხდება სოციალური რეგულირება საზოგადო კეთილდღეობისათვის, სამოქალაქო მონაწილეობა – პირადი და საზოგადო ინტერესებისათვის, საზოგადოების მსახურება – ნებაყოფლობითი (მოხალისეობრივი) წვლილი საზოგადოებრივი სიკეთისათვის. ამგვარ ქმედებათა ძირითადი საფუძველია ორი ღირებულება – თავისუფლება და პასუხისმგებლობა.

თავისუფლება, მისი პირველადი და ზოგადი მნიშვნელობით, ნიშნავს ჩაურევლობას ადამიანის არჩევანსა და ქმედებაში. სხვანაირად, ადამიანი თავისუფალია, როდესაც მას აქვს მოქმედების ალტერნატიული ვარიანტები და შეუძლია არჩევანის დამოუკიდებლად გაკეთება. მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი – ასეთ განმარტებაში იოლად ექცევა თვითნებობაც. თავისუფლებას თვითნებობისგან განასხვავებს პასუხისმგებლობა, რომელიც თან ერთვის ადამიანის ყოველ მოქმედებას. პასუხისმგებლობა არის პიროვნების მოვალეობა ან ვალდებულება, აკეთოს (/არ აკეთოს) რაღაც ან მოიქცეს (/არ მოიქცეს) განსაკუთრებულად.

„საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ეყრდნობიან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას".

საქართველოს მოქალაქეების, როგორც საზოგადოების, საერთო ღირებულებები და მიზნები ასახულია საქართველოს კონსტიტუციაში. მასში ნათქვამია, რომ საქართველოს მოქალაქეთა „ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა" (საქართველოს კონსტიტუცია, პრეამბულა).

ადამიანისა და საზოგადოების ჰარმონიული თანაარსებობის გააზრებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დაზუსტება კი ასეთია: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა" (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14).

სხვა სიტყვებით, ჩვენ ვაშენებთ საზოგადოებას, რომელშიც მოქალაქეები თანასწორნი არიან, სადაც ყველა ადამიანს ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა და პასუხისმგებლობაც ყველას თანაბრად ეკისრება.

საზოგადოებას ვერ ააშენებ მხოლოდ შესაძლებლობებსა და უფლებებზე დაყრდნობით; უნდა მოხდეს მათი შეჯერება პასუხისმგებლობისა და მოვალეობების გრძნობებთან. ეს არის ის პირობა, რომელსაც თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოება ეფუძნება.

თითოეული ადამიანი საკუთარი თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის შე-

ჯერებით ხდება საზოგადოების ნაწილი. ამ პროცესს უწოდებენ სამართლებრივ სოციალიზაციას, რომლის დროსაც ხდება დამოკიდებულების, აზრებისა და ქცევის ჩამოყალიბება. ამგვარი პროცესის დროს პიროვნების აზრები და ქცევა ყალიბდება საზოგადოებაში დამკვიდრებული სამართლებრივი კანონებისა და პოლიტიკის შესაბამისად. რამდენადაც წარმატებულია პიროვნების სამართლებრივი სოციალიზაცია და მისი გავლენა საზოგადოების ღირებულებების სისტემის გაუმჯობესებაზე, მით მაღალია ამ საზოგადოების სამართლებრივი კულტურა. კულტურის ამ ასპექტით შესაძლებელია დავახასიათოთ და ერთმანეთს შევადაროთ როგორც პიროვნებები, ისე საზოგადოებები.

სამართლებრივი სოციალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია სამართლებრივი დასაბუთება, რაც კანონების ცოდნის მეშვეობით არის შესაძლებელი. ის მიზეზები, თუ რატომ არის აუცილებელი წესების დაცვა, შემდეგნაირად შეიძლება დავაჯგუფოთ:

1. მოქალაქეები კანონებს, ძირითადად, სასჯელის თავიდან ასაცილებლად იცავენ.
2. სამართალდამცველები კანონებს უმეტესწილად იმიტომ იცავენ, რომ ეს კანონები სამართლიანად და მორალურად ითვლება.
3. კანონმდებლებმა შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენონ ამა თუ იმ კანონის სამართლიანობა და მორალურობა, რამაც შესაძლოა სოციალური ცვლილებები გამოიწვიოს.

შესაბამისად, კანონების სწავლება გავლენას ახდენს სხვადასხვა დონეზე:

1. კანონების ცოდნა ამცირებს უცოდინრობის გამო მათი დარღვევის შესაძლებლობას.
2. კანონების შესრულება ხელს უწყობს ამ კანონების მნიშვნელობის გაცნობიერებას.
3. კანონების გააზრება ზრდის ამ კანონების მორალურ მხარდაჭერას.

ეს უკანასკნელი ასპექტი სამართლებრივი სოციალიზაციის არსს შეადგენს.

იმისათვის, რომ კანონის მორალური მხარდაჭერა გაიზარდოს, თითოეული ადამიანისა და მთელი საზოგადოების სამართლებრივი კულტურა ამაღლდეს, სამართლებრივი სოციალიზაცია ადრეული ასაკიდანვე უნდა დაიწყოს. ამ პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია გაძლიერებული ძალისხმევა გარდატეხის ასაკის (14-16 წლის) მოზარდებისთვის, რადგან ამ დროს ხდება ადამიანის მიერ საკუთარი ღირებულებების სისტემის პირველი გადაფასება და შევსება. სწორედ ამ ასაკში ჩამოყალიბებული ღირებულებები ხდება პიროვნების ღირებულებების მზარდი სისტემის ფუნდამენტი და განსაზღვრავს მის მოქმედებებსა თუ დამოკიდებულებებს შემდგომ ცხოვრებაში.

ძირითადი პედაგოგიური მიდგომები

გააზრებულად კანონმორჩილი ადამიანის აღზრდის მთავარი საშუალება არის ინტერაქტიური სწავლებით კრიტიკული აზროვნების განვითარება.

რა არის კრიტიკული აზროვნება?

კრიტიკული აზროვნება არის საკუთარი თუ სხვისი სუბიექტური მოსაზრებების გადასინჯვისა და კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების უნარი. ეს უნარი ყალიბდება პრობლემის გაანალიზების პროცესში და არსებული პრობლემის მიმართ საბოლოო მოსაზრების ჩამოყალიბების შედეგად.

კრიტიკული აზროვნება გულისხმობს ინფორმაციის ყურადღებით გაცნობას, სადავო პრობლემის ან კონფლიქტის სხვადასხვა კუთხით (თვალსაზრისით) განხილვას. კრიტიკული აზროვნება პიროვნებას ეხმარება ფაქტებზე დაფუძნებული დასკვნის გამოტანასა და რაციონალური გადაწყვეტილების მიღებაში.

კრიტიკული აზროვნების პროცესი მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება. ურთიერთთანაგრძნობასა და ურთიერთპატივისცემასთან ერთად, კრიტიკული აზროვნება უზრუნველყოფს პიროვნების სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამართლებრივი კულტურის პროექტის საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს მოზარდებში ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლებიც მათ კონფლიქტების წარმატებულად და ერთობლივად გადაჭრაში დაეხმარება.

ამრიგად, **კრიტიკული აზროვნება** არის მრავალმხრივი მიზნებით განპირობებული აზროვნება, რომლის შედეგადაც შესაძლებელია დასაბუთებული და ყოველმხრივ აწონ-დაწონილი დასკვნის გამოტანა.

ხშირად ადამიანები ეყრდნობიან სუბიექტურ შეხედულებებსა და წარმოდგენებს, ურთიერთობისას უპირატესობას ანიჭებენ მხოლოდ საკუთარ მოსაზრებას, არ ითვალისწინებენ ალტერნატიულ შეხედულებებს. ყოველივე ეს კი არამართლზომიერი ქცევის საწინდარია. ასეთი ქცევიდან გამოსავალი მხოლოდ არსებული სიტუაციის კრიტიკულ გადაფასებაში უნდა ვეძებოთ.

აღსანიშნავია, რომ პედაგოგები სწავლება-სწავლის პროცესში, ძირითადად, **ლოგიკური აზროვნების** განვითარებას მიმართავენ. უმჯობესია, სასწავლო პროცესში ამასთან ერთად მოსწავლეების კრიტიკული აზროვნებაც განვითარდეს. შევეცადოთ გავიაზროთ, რა განსხვავებაა მათ შორის:

ლოგიკური აზროვნების შემთხვევაში პრობლემა წინასწარ არის ცნობილი, ხოლო კრიტიკული აზროვნების დროს პრობლემა გამოსამჟღავნებელი და დასადგენია;

ლოგიკური აზროვნების შემთხვევაში ორი წანამძღვრისაგან კეთდება დასკვნა. სწორი დასკვნა შეიძლება ერთადერთი იყოს; ხოლო კრიტიკული აზროვნების შემთხვევაში შესაძლებელია პრობლემის გადაჭრის რამდენიმე სწორი გზის პოვნა;

მასწავლებელმა, ასევე, უნდა გაითვალისწინოს, რომ კანონმორჩილი და ტოლერანტი პიროვნების აღზრდას ხელს უშლის **ირაციონალური აზროვნება.** იგი **კრიტიკული აზროვნების სრულიად საპირისპირო აზროვნების ფორმაა.** ირაციონალური აზროვნების შემთხვევაში ადამიანები უგულებელყოფენ საღ აზრს და მხოლოდ საკუთარ გრძნობებს, ემოციებს ენდობიან. ასეთი აზროვნების შედეგად წარმოიქმნება ცრურწმენები, ცრუ წარმოდგენები და სტერეოტიპები. აზროვნების ეს ფორმა მოწყვეტილია რეალობას და ამიტომაც მას ირაციონალურს უწოდებენ.

განვაზოგადოთ ყოველივე ზემოთქმული და დავახასიათოთ კრიტიკული აზროვნება. ცნობილი ამერიკელი მეცნიერი დევიდ ქლუსტერი ჩამოთვლის კრიტიკული აზროვნების ხუთ ძირითად ნიშანს:

1. კრიტიკული აზროვნება ინდივიდუალურია, რაც ნიშნავს, რომ პიროვნება თავად, სხვებისაგან დამოუკიდებლად, აყალიბებს საკუთარ შეხედულებებსა და შეფასებებს.

2. ფაქტების ცოდნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ კრიტიკული აზროვნებისათვის ინფორმაციის მოპოვება საწყისი წერტილია და არა საბოლოო მიზანი. აღსანიშნავია, რომ ცოდნისა და გამოცდილების დაგროვების გარეშე შეუძლებელია კრიტიკულად აზროვნება. ნებისმიერი ასაკის ადამიანს აქვს დაგროვილი საკმაო ცხოვრებისეული გამოცდილება და ცოდნა. მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის დასტურად, რომ პატარა ბავშვებსაც შეუძლიათ კრიტიკულად იაზროვნონ. მაგალითად, ოთხი წლის ბავშვს ვერაფრით დავარწმუნებთ, რომ ის თვალებით ისმენს და ყურებით ხედავს. პატარა მაშინვე კრიტიკულად შეაფასებს საეჭვო მტკიცებულებებს, არ დაგვეთანხმება და შეცდომას გაგვისწორებს.

   სწავლების პროცესში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბავშვების სააზროვნო შესაძლებლობები თანდათან ვითარდება და იხვეწება. მასწავლებლის ვალია, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ამ ბუნებრივ პროცესს და დაუფიქრებელი აკრძალვებითა თუ დასჯით მას ხელი არ შეუშალოს.

3. გასათვალისწინებელია, რომ კრიტიკული აზროვნება იწყება პრობლემის დასმიდან და მისი გაცნობიერებიდან; ნამდვილი სააზროვნო პროცესი იწყება პრობლემის გადაჭრის სურვილიდან. მაგრამ, რატომ წამოჭრის ადამიანი პრობლემებს? ამის მთავარი მიზეზი გახლავთ ის, რომ ადამიანი ბუნებით ცნობისმოყვარეა. სწორედ ცნობისმოყვარეობა უდევს საფუძვლად ჩვენს კითხვებს: რისთვის? რატომ? როგორ? საიდან? და ა.შ. ეს კითხვები კონკრეტულ პასუხებს მოითხოვს. ცნობისმოყვარეობით განსაკუთრებით მოზარდები გამოირჩევიან, ამიტომ ძალისხმევა არ უნდა დავიშუროთ და პატარაობიდანვე უნდა ვეცადოთ კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

ხშირად ამ პროცესს ხელს უშლის სწავლება-სწავლის პროცესი, როდესაც მოსწავლეს მზა ცოდნას ვაწვდით და მათგან მხოლოდ მის დასწავლას მოვითხოვთ. ხშირად ამ დროს ხდება ცნობისმოყვარეობისა და პრობლემების ხედვის ბუნებრივი უნარის შესუსტება. ბავშვების ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას განვითარება სჭირდება. ბავშვი მხოლოდ მაშინ იწყებს ფიქრს, თუ ჩვენ მას საშუალებას ვაძლევთ, გაუმკლავდეს კონკრეტულ პრობლემებს.

4. კრიტიკული აზროვნება, ასევე, ისწრაფვის დამაჯერებელი დასაბუთებისაკენ; გაიხსენეთ, რას აკეთებთ, როდესაც გინდათ, რომ თქვენი შეხედულება ან მოსაზრება სხვებმა გაიზიარონ?

   თქვენ საკუთარ მოსაზრებებს ასაბუთებთ. არგუმენტების ჩამოყალიბებას გარკვეული წესების დაცვა სჭირდება. ესენია: მტკიცება ანუ თეზისი, საბუთი და მტკიცებულება. მაგალითად: თქვენ გამოთქვამთ აზრს, რომ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი. ეს ნაწილი არის თქვენი არგუმენტაციის მტკიცება ანუ თეზისი. მაგრამ თქვენ არ ჩერდებით თეზისზე და მოგყავთ საბუთი – ადამიანი თავისუფალია თავის არჩევანში. ამ საბუთს თქვენ განამტკიცებთ სათანადო მტკიცებულებით, რომელსაც თქვენ, მაგალითად, კონსტიტუციის ან კანონის სათანადო მუხლიდან მოიყვანთ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა არგუმენტს აქვს თავისი კონტრარგუმენტი. ამიტომ არგუმენტაციის პროცესს სერიოზული მოფიქრება სჭირდება.

5. დაბოლოს, კრიტიკული აზროვნება სოციალური აზროვნებაა. ჩვენ ვერასდროს შევძლებდით პრობლემების სწორად გადაჭრას, რომ არ გვქონოდა სხვა ადამიანებთან კამათის, აზრის გაცვლის საშუალება. ამიტომ, როდესაც მასწავლებლები სკოლაში კრიტიკულ აზროვნებას იყენებენ, ისინი ცდილობენ, გამოუმუშავონ მოზარდებს სხვათა მოსმენისა და პატივისცემის უნარი, საკუთარ მოსაზრებაზე პასუხისმგებლობის გრძნობა.

თუ დავსვამთ კითხვას, შესაძლებელია თუ არა კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება, პედაგოგებისა და ფსიქოლოგებისაგან დადებით პასუხს მივიღებთ. ისინი გვთავაზობენ რამდენიმე რჩევას კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად:

1. გავარჩიოთ ლოგიკაზე დაფუძნებული მსჯელობა ემოციებზე დაფუძნებული მსჯელობისაგან;

2. ყოველგვარ ინფორმაციაში დავინახოთ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები; გავითვალისწინოთ ყველა მომხრე და მოწინააღმდეგე ხმა;

3. ვისწავლოთ შეუსაბამობების შემჩნევა მოსმენილსა და დანახულს შორის; ნუ ვიჩქარებთ დასკვნების გამოტანას, თუ არ ვფლობთ საამისოდ საკმარის ინფორმაციას.

რა არის ინტერაქტიური სწავლება?

ინტერაქტიური სწავლება არის თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომა, რომელიც ეყრდნობა მასწავლებლისა და მოსწავლის ახალი როლების ძიებასა და ჰუმანიზმის პრინციპებს. ის მიზნად ისახავს მასწავლებელზე ორიენტირებული ავტორიტარული სასწავლო პროცესის შეცვლას მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით. ასეთ სწავლებაში აუცილებლად გასათვალისწინებელია მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები. ინტერაქტიურ სწავლებას შემოაქვს პედაგოგიკაში სწავლების და ცოდნის შეფასების ახალი სტრატეგიები.

მოსწავლე ინტერაქტიური სწავლების სუბიექტია, მისი აქტიური მონაწილეა. სწავლებას საფუძვლად ედება მოსწავლის პირადი გამოცდილება, მისი თვისებები და ცოდნა.

სწავლების პროცესისადმი ეს ახალი მიდგომა ეყრდნობა მნიშვნელოვან საგანმანათლებლო მიმდინარეობას – კონსტრუქტივიზმს. კონსტრუქტივიზმის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ვასწავლოთ მოსწავლეებს ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება \ შენება.

ასხვავებენ ცოდნის ორ სახეს: ერთი მხრივ, აქტიური სწავლება-სწავლის პროცესში კონსტრუირებულ, კვლევა-ძიების შედეგად მიღებულ ცოდნას და, მეორე მხრივ, ფაქტობრივ, პასიურად შეძენილ ცოდნას. როდესაც სწავლება-სწავლის პროცესი მოსწავლის კვლევითი ინტერესებისაკენ არის მიმართული, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ინფორმაციის მოპოვების, პრობლემათა გადაჭრის და კომუნიკაციური უნარები.

თანამედროვე პედაგოგიკაში, ძირითადად, შემდეგი სწავლის მეთოდები გამოიყოფა:

- კონკრეტული დავალების დასწავლა („ტექნოლოგიურად” აგებული გაკვეთილი).
- სასწავლო-კვლევითი საქმიანობა (ახალი ცოდნის ძიება; ახალი გამოცდილების, უნარ-ჩვევების ათვისება).
- თამაშის ორგანიზება (სიტუაციური მოდელირება, როლური თამაშები).
- დისკუსია (დიალოგი, კომუნიკაცია).

ტექნოლოგიური სწავლება

XX საუკუნეში მსოფლიო პედაგოგიკა ცდილობდა სასწავლო პროცესის ტექნოლოგიზაციას, რაც გულისხმობდა სასწავლო პროცესის ტექნიკური საშუალებებით ორგანიზებას.

ამჟამად ტექნოლოგიური სწავლების მეთოდები არ გულისხმობს მხოლოდ სასწავლო პროცესში ტექნიკური საშუალებების გამოყენებას, არამედ იგი მოიცავს სასწავლო პროცესის კონსტრუირებას, რაც ნიშნავს:

- შედეგზე ორიენტირებული კონკრეტული სასწავლო მიზნების დასახვას;
- დასახული მიზნების შესაბამისად სასწავლო მასალების მომზადებას;
- სასწავლო პროცესში მიმდინარე შედეგების შეფასებას;
- სასწავლო პროცესის საჭიროებისამებრ კორექციას;
- საბოლოო შედეგების შეფასებას.

კვლევითი სწავლება

სწავლების პროცესის კვლევითი მიმართულება გულისხმობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას, რაც აუცილებლად მოსწავლეთა უშუალო გამოცდილებაზე დაყრდნობით ხორციელდება.

ეს მიდგომა უკავშირდება ევროპაში გავრცელებულ „თანამედროვე აღზრდის" მიმართულებასა და ამერიკულ „პროგრესულ აღზრდას". ორივე მიმართულება სწავლების პროცესს ბავშვების გამოცდილებაზე აგებს.

ასეთი სწავლების მოდელის მიზანი არა მხოლოდ ახალი ცოდნის შეძენაა, არამედ უკვე არსებული ცოდნის გადამუშავებაც. მასწავლებელმა დიალოგის, წარმოსახვის, ანალოგიების, მეტაფორის და სხვა ხერხების გამოყენებით უნდა წაახალისოს მოსწავლეები და ხელი შეუწყოს შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

ასეთი პედაგოგიური გარემო ხელს უწყობს მოსწავლეს, დამოუკიდებლად ჩასწვდეს შესასწავლი მოვლენისა თუ ცნების არსს და გადაჭრას მის წინაშე არსებული პრობლემა. მოსწავლე, უპირველეს ყოვლისა, გამოყოფს პრობლემას, შემდეგ დასახავს მისი გადაჭრის ალტერნატიულ გზებს, არსებული ინფორმაციის საფუძველზე იკვლევს მათ, აკეთებს არჩევანს და გამოაქვს დასკვნები. დაბოლოს, ავლებს პარალელს მიღებულ დასკვნებსა და ახალ მონაცემებს შორის.

კვლევითი, ძიებითი მიმართულება სასწავლო პროცესში დაკავშირებულია კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებასთან. ამისათვის მასწავლებელმა საკლასო ოთახში უნდა შექმნას შემოქმედებითი სასწავლო გარემო.

სწავლება თამაშის მეშვეობით

თამაში რთული სოციალურ-კულტურული ფენომენია. მას მრავალი მეცნიერება შეისწავლის, მათ შორის პედაგოგიკაც.

პედაგოგიურ გამოკვლევათა დიდი ნაწილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თამაშის გამოყენებას სასწავლო მიზნებისათვის. გამოყოფენ სასწავლო პროცესში გამოყენებული თამაშის რამდენიმე სახეს: მოდელირებას, იმიტაციას

და შეჯიბრს.
დიდაქტიკური თამაშებით წარმართულ სწავლების პროცესში ოთხი ეტაპი გამოიყოფა:

1. **ორიენტაცია** – მასწავლებელი წარადგენს შესასწავლ თემას, აუხსნის თამაშის წესებს, მიმოიხილავს თამაშის მიმდინარეობას ზოგადად;

2. **მომზადება** – მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს სცენარს, თამაშის ამოცანებს, წესებს, როლებს, სხვა პროცედურებს;

3. **თამაშის ჩატარების პროცესი;**

4. **თამაშის განხილვა** – მოსწავლეები მსჯელობენ თამაშზე, მის სიძნელეებსა და წარმატებებზე. ხდება იმიტაციის შედარება რეალურ ცხოვრებასთან.

დისკუსიის საშუალებით სწავლება

თანამედროვე დიდაქტიკურ მეთოდებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს სასწავლო დისკუსიას. იგი თავისი არსით დიალოგის ხასიათს ატარებს. დისკუსიის მეთოდი მოსწავლეებს უვითარებს კომუნიკაციის, მსჯელობის კულტურას. დისკუსიის მეშვეობით შესაძლებელია იდეების, შეხედულებების, მტკიცებულებების ურთიერთგაცვლა ჭეშმარიტების დასადგენად.

დისკუსიის სწორი წარმართვისათვის აუცილებელია მისი ორგანიზება და რეგულირება, დისკუსიის მონაწილენი უნდა იცავდნენ წესებს, რომლებსაც მასწავლებელთან ერთად თავად ჩამოაყალიბებენ.

დისკუსიის წარმართვის რამდენიმე ფორმა არსებობს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დისკუსია თავისი არსით დიალოგის ხასიათს ატარებს. დიალოგი ურთიერთობის საუკეთესო ფორმაა, რომლის საშუალებითაც პიროვნებებს შორის, პრობლემის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია სწორი გადაწყვეტილების პოვნა ისე, რომ არც ერთი მხარე არ დაზარალდეს.

- დიალოგი არის თანამშრომლობა, რომლის მიზანია შეთანხმება.
- დიალოგის დროს ერთი მხარე უსმენს მეორეს, რათა მხარეები გაერკვნენ და აღმოაჩინონ განსხვავებები პოზიციებს შორის.
- დიალოგი მოითხოვს ადამიანებისა და მათი იდეების პატივისცემას.
- დიალოგი იძლევა შესაძლებლობას ღია კომუნიკაციისათვის მაშინ, როდესაც მოსწავლეები განიხილავენ პრობლემურ საკითხებს.

იმისათვის, რომ დიალოგი წარმატებით და შედეგიანად წარიმართოს, აუცილებელია ვიცოდეთ შემდეგი:

1. პატივი ეცი იმ ადამიანს, რომელიც გიზიარებს საკუთარ აზრს. შენ შეგიძლია არ დაეთანხმო მას, მაგრამ არა გაქვს უფლება, შეაწყვეტინო საუბარი;

2. გამოხატე შენი მოსაზრება ისე, რომ სხვა არ შეურაცხყო;

3. მაქსიმალურად ეცადე, სიმართლე დაასაბუთო. ამოიცანი და შეასწორე დეზინფორმაცია;

4. გამოხატე შენი მოსაზრება გასგები ენით.

მასწავლებლის ვალია დისკუსიის წარმართვა ისე, რომ დიალოგში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული აზრი გამოიკვეთოს.

დისკუსიის ჩატარებაში დაგვეხმარება სწორად დასმული შეკითხვები, რომლებიც სწორ მიმართულებას მისცემს მოსწავლეთა აზროვნებას.

გაკვეთილზე გამართულ დიალოგს საკმაოდ დიდი დატვირთვა აქვს. მის ჩასატარებლად აუცილებელია მოსწავლეებმა იცოდნენ დიალოგის წარმართვის წესები. მათ უნდა იცოდნენ, რომ საკამათო საკითხები შესაძლოა ვერ გადაიჭრას დიალოგით, მაგრამ ეს პროცესი დაეხმარება მათ, იფიქრონ პრობლემაზე, ერთმანეთს გაუზიარონ შეხედულებები, აზრები, ჩაებან დებატებში და ხელი შეუწყონ ურთიერთთანამშრომლობის ატმოსფეროს შქმნას.

მოზარდების ასაკობრივი თავისებურებები

ბავშვების ნორმალური განვითარებისა და განათლებისათვის აუცილებელია სოციალური ფილოსოფიის გაზიარება, რომელიც აღიარებს ბავშვს საზოგადოების სრულუფლებიან და სრულფასოვან წევრად.

საბედნიეროდ, XIX – XX საუკუნეებიდან დაიწყო მკვეთრი პროგრესი ბავშვთა უფლებებისა და მათი ჰუმანური აღზრდის აუცილებლობის გაცნობიერების მიმართულებით.

1924 წელს ერთა ლიგამ შეიმუშავა დეკლარაცია, რომელიც ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის პრინციპებს ითვალისწინებდა. ამ დეკლარაციას ჟენევის დეკლარაციის სახელით მოიხსენიებენ.

1959 წელს 20 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო ზოგადი დეკლარაცია ბავშვის უფლებათა შესახებ. მასში ნათქვამია, რომ ბავშვებს, ფიზიკური და გონებრივი უმწიფრობის გამო, ესჭიროებათ მზრუნველობა და დაცვა როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ.

1989წელს 20 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომლის მიხედვით, ყველა ბავშვი და ახალგაზრდა განსაკუთრებული უფლებებით დაჯილდოებული სრულფასოვანი ადამიანია. სადღეისოდ ბავშვთა შესახებ კონვენციის რატიფიცირება უკვე 191-მა ქვეყანამ მოახდინა, მათ შორის საქართველომაც.

სტრესი და თანადგომა

ნებისმიერი ადამიანის ბავშვობა ისე გადის, რომ ამა თუ იმ სტრესული ვითარებისა და სიტაუციის გამო იგი სხვადასხვა ფსიქოლოგიურ ტრავმას იღებს. გარკვეული ინტენსივობის სტრესს ბავშვი თვითონ ბუნებრივად გადაამუშავებს და ეს მისი გაძლიერების წყაროდაც შეგვიძლია განვიხილოთ. თუმცა, ხშირად ბავშვებზე სტრესული მოვლენა წარუშლელ გავლენას ახდენს. ამან, შესაძლოა, პიროვნების მრავალფეროვანი ორგანული და ფსიქიკური დარღვევები განაპირობოს. ბავშვები ზრდა-განვითარების პერიოდში იმყოფებიან და ჯერ კიდევ არ ჰყოფნით რესურსები, შესაბამისად გაუმკლავდნენ ცხოვრების მძიმე პირობებს.

ხშირად მათი ქცევითი აშლილობები თუ ემოციური პრობლემები წარმოადგენს მათ ადეკვატურ რეაქციას ცხოვრების არანორმალურ პირობებზე. ადეკვატურს ვუწოდებთ რეაქციას, როდესაც მოსწავლე, რომელიც საღამოს მორიგ ოჯახურ სცენას შეესწრო, მეორე დღეს სკოლაში თავისი დესტრუქციული ქცევით ცდილობს ხელი შეუშალოს მასწავლებელს გაკვეთილის ჩატარებაში, იყოს აგრესიული და უყურადღებო, ან პირიქით, ჩაკეტილი და უინიციატივო. ძალიან მნიშვნელოვანია, სკოლამ ეს ვითარება გააცნობიეროს და გაითვალისწინოს მოსწავლეებთან ურთიერთობისას.

სკოლა უნდა დაეხმაროს ბავშვებს მათი რესურსების რეალიზებაში, ცხოვრების კრიზისული პერიოდის წარმატებით გადალახვაში. ამისათვის კი სკოლაში უნდა იყოს მხარდამჭერი, თანამგრძნობი და შემოქმედებითი გარემო, ვინაიდან ასეთი გარემო ხელს უწყობს დადებითი ემოციების წარმოქმნას. თავის მხრივ, ამგვარი გარემო ზრდის ბავშვის ყურადღების მოცულობას, მეხსიერების ეფექტურობას, ამ დროს პროდუქტიული ხდება ფანტაზია და აზროვნება.

საწინააღმდეგო სურათს იძლევა უარყოფითი ემოციები. სტრესული გარემო აუარესებს პიროვნების თითქმის ყველა ფსიქიკურ ფუნქციას: მცირდება ხანმოკლე და უარესდება ხანგრძლივი მეხსიერება, ყურადღების მოცულობა მცირდება, აზროვნებას უჭირს ალტერნატივების დანახვა, ფანტაზია ხდება შეზღუდული და ა.შ. უარყოფითი ემოციები ფიზიკური ჯანმრთელობისთვისაც საზიანოა. მხარდამჭერი, თანამგრძნობი გარემოს ფონზე სხეულში ძლიერდება სასიცოცხლო პროცესები, ჭრილობებიც კი, როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი, უფრო მალე შუშდება. სკოლაში პოზიტიური ატმოსფეროს შექმნა თავისთავად გულისხმობს ტრავმირებული ბავშვის ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას.

ტრავმა

არსებობს ბევრი ფაქტორი, რომლებიც ბავშვის ნორმალური განვითარების შემაფერხებელი შეიძლება გახდეს. ზოგიერთმა ბავშვობაში ახლობელი ადამიანი დაკარგა, ზოგმაც ცხოველის სიკვდილთან დაკავშირებული ტკივილი გადაიტანა, ბევრი ბავშვი ოჯახებში გამეფებული ძალადობრივი ურთიერთობის მსხვერპლია, ზოგიც საომარი კონფლიქტების შედეგადაა ტრავმირებული. ტრავმა ის სულიერი ჭრილობაა, რომლის შეხორცებას შეიძლება მრავალი წელიც კი დასჭირდეს. ხანდახან, რაც დრო გადის, მიღებული ტრავმის შედეგები უფრო მეტი სიმწვავით იჩენს თავს.

ტრავმა არის განსაკუთრებული სიძლიერის მოვლენა, რომელიც ხასიათდება საფრთხით და მუქარით, შიშით და ძლიერი სტრესით. ის პიროვნების გამკლავების მექანიზმების დარღვევას იწვევს და სპეციფიკური შედეგებით ხასიათდება. როდესაც ბავშვი იზრდება ისეთ სიტუაციაში, სადაც მისი სიცოცხლე, ახლობლების სიცოცხლე ან ძირეული ფასეულობები მწარე დარტყმას განიცდის, იგი ღებულობს ტრავმას.

ტრავმატული მოვლენა შესაძლებელია იყოს მოულოდნელი, მასობრივი საშიშროების შემცველი (მაგ; მიწისძვრა, ხანძარი, სიკვდილი და ომი) ან, როგორც ოჯახში მიმდინარე ძალადობის დროს, გახანგრძლივებული, შემპარავი და ორაზროვანი ურთიერთობებით სავსე, ფსიქოლოგიური დამცირების, ღირსების შელახვისა და ბრალეულობის განცდების წარმომშობი.

იმ მოვლენებში, რომლებშიც დიდია ემოციური დატვირთვა, მათი გადამუშავებაც შეიძლება დროში გაიწელოს და მოგვიანებით იქნეს ათვისებული. მოვლენათა უმრავლესობას ადამიანი უმკლავდება და მისი გადამუშავების შედეგად

იღებს ცხოვრებისეულ გამოცდილებას, მაგრამ არის შემთხვევები, ეს უმეტესად ბავშვებს ეხება, როდესაც სახეზეა ინფორმაციული და ემოციური გადატვირთვა, ასეთი ინციდენტების გადამუშავება შეიძლება საერთოდ ვერ მოხერხდეს, მაგრამ ის ინახება ჩვენს მეხსიერებაში, რათა მოგვიანებით იჩინოს თავი.

ემოციური ტრავმა არის პასუხი/რეაქცია ექსტრემალურ მოვლენაზე და მტკივნეული, შოკის მომგვრელი და ამაღელვებელია. ასეთი მოვლენა წარმოშობს ემოციურ მახსოვრობას ტვინის ღრმა შრეებში. ზოგადად, რამდენადაც უფრო პირდაპირი და უშუალოა ძალადობასთან დაპირისპირება, იმდენად უფრო მაღალია ემოციური ზიანის რისკი, მაგრამ არაპირდაპირმა დაპირისპირებამაც ძალადობასთან შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ტრავმა, რომელმაც შეიძლება არ იჩინოს თავი დღეების ან კვირების განმავლობაში. ის ბავშვები, რომელთაც წინათაც განუცდიათ ძალადობა ან რომლებსაც აკლიათ ოჯახის თანადგომა, უფრო ძნელად ინელებენ ტრავმას.

ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანმა ბავშვობის ხანაში მიიღოს შესაბამისი მხარდაჭერა და პროფესიული დახმარება, რათა მოგვიანებით უფრო რთული და მწვავე პრობლემები არ შეუქმნას თავის თავსა და გარშემომყოფებს. იმ შემთხვევებშიც, როდესაც უშუალოდ ბავშვზე არ ხორციელდება ძალადობა და ის მხოლოდ შემსწრეა, ასეთი ფაქტებით მის ფიზიკურ და სულიერ სამყაროს ზიანი ადგება.

გვახსოვდეს, რომ:

ძალადობის ფაქტის შემსწრე ბავშვები მეორადი ტრავმის მსხვერპლნი არიან. ზოგიერთი ფსიქოლოგის მტკიცებით, როდესაც ბავშვი ვერ ხედავს ძალადობას და მხოლოდ ესმის, იგი შეიძლება მეტად ტრავმირებული აღმოჩნდეს, ვინაიდან მისი ფანტაზია წარმოიდგენს კიდევ უფრო მძიმე სურათს, ვიდრე რეალობაა.

ბავშვები ხედავენ და ესმით იმაზე მეტი, ვიდრე ჩვენ გვგონია:

- "მინდა მოვკვდე, როდესაც ვხედავ მამიკო დედიკოს როგორ სცემს..."
- "შეშინია სახლიდან გასვლა მას მერე, რაც ვნახე მეზობლად მომხდარი..."

ტრავმას ახასიათებს დეპრესიული **გუნება-განწყობა, შფოთვა, განრისხება, სირცხვილის გრძნობა** და **ბრალეულობის** განცდა. ეს დესტრუქციული ემოციები ადამიანის **ღირსების** გრძნობას ხელყოფს და ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. **განრისხება** შეიძლება განვიხილოთ, როგორც ჩანაცვლება ისეთი ემოციებისა, როგორებიცაა **შიში** და **საკუთარი უსუსურობის** განცდა. **სირცხვილის** გრძნობაა, როდესაც ადამიანს უჩნდება სურვილი, სადმე შორს გაიქცეს და დაიმალოს. **სირცხვილის** გრძნობა უპირატესად ძალადობის მსხვერპლთ უჩნდებათ. ტრავმა, ასევე, იწვევს ბავშვის კოგნიტური (შემეცნებითი) პროცესების ბლოკირებას, იზღუდება მათი ფანტაზიის უნარიც. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ტრავმირებული ბავშვის პორტრეტი: ეს არის შეშინებული, შერცხვენილი, განრისხებული, უსუ-

სური და უიმედო პატარა ადამიანი, რომელსაც თავისი ასაკის გამო არ გაა-ჩნია ისეთი ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმები, რომლებიც დაეხმარება გა-უმკლავდეს და გადაამუშაოს ტრავმატული მოვლენა და შედეგად მისგან ვიღებთ დესტრუქციულ ქცევას, ჰიპერაქტიურობას, დაბალ აკადემიურ მოს-წრებასა და სომატურ ჩივილებს ან ჩაკეტილობასა და პასიურობას.

მოზარდებთან ურთიერთობა, მათთან მუშაობა მიმართული უნდა იყოს ბავშვის პიროვნული ფუნქციონირების ყველა დონეზე. შესაძლოა გამოიყოს თითოეული დონისათვის შესატყვისი სპეციფიკური სარეაბილიტაციო ამოცანები:

1. ქცევა და ჩვევები – აქ მუშაობა მიმართული უნდა იყოს, უპირველეს ყოვ-ლისა, ქცევის არაკონსტრუქციული სტერეოტიპების დაძლევაზე.

2. ემოციები – აქ ყველაზე მნიშვნელოვანია ხელი შევუწყოთ ბავშვებსა და მოზარდებს, გადაამუშაონ საკუთარი ტრავმატული გამოცდილება.

3. შემეცნებითი ფუნქციები – აქ მუშაობა უნდა წარიმართოს ტრავმატული გამოცდილების გამო ბლოკირებული შემეცნებითი ფუნქციების განვითა-რების მიმართულებით.

4. რწმენათა სისტემა – აქ მნიშვნელოვანია მოხდეს სამყაროსა და საკუთარი თავის შესახებ არაადეკვატურ, დესტრუქციულ რწმენათა დაძლევა და კონსტრუქციულ რწმენათა შემუშავება.

5. ღირებულებათა სისტემა და განწყობები – მნიშვნელოვანია, რომ ბავშ-ვებსა და მოზარდებს ხელი შევუწყოთ, გაიაზრონ, გააცნობიერონ, გაი-შინაგნონ ისეთი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, როგორებიცაა: სიყ-ვარული, მეგობრობა, მიტევება, ტოლერანტობა და ა.შ

6. მე და პიროვნული იდენტობა – სარეაბილიტაციო პროცესში უნდა სუ-ფევდეს უსაფრთხო, დაცული ატმოსფერო, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვთა და მოზარდთა თვითგამოხატვას – ამის საფუძველზე საკუთარი თავის უკეთ გაცნობას, თვითცნობიერების, ადეკვატური თვითშეფასებისა და საკუთარი თავის პატივისცემის განვითარებას.

ბავშვების ემოციური მდგომარეობისა თუ ქცევის სირთულეების უკან ხშირად ოჯახსა და სკოლაში არსებული გადაუჭრელი პრობლემები დგას. მოწაფეებისა და მასწავლებლების ოჯახებში არსებული ვითარება, ბუნებრივია, აისახება სკოლის ფსიქოლოგიურ კლიმატზე. არაჯანსაღი ოჯახური ატმოსფერო, ძა-ლადობის აფიშირება მასმედიის საშუალებებით, ძალადობა ქუჩაში, სკოლაში, ძალოვან სტრუქტურებში და ა.შ. ბავშვის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ფსი-ქიკაზე, უდავოა, მძიმე კვალს ტოვებს.

პიროვნების ჩამოყალიბება ორ ძირითად გარემოში მიმდინარეობს: ოჯახსა და სკოლაში. ოჯახის თავისებურებიდან გამომდინარე, მის წიაღში შეღწევა

და მუშაობა სპეციალისტებისთვის ძნელია, სკოლა კი, სადაც ეს ოჯახები წარმოდგენილნი არიან ბავშვების სახით, კარგ საშუალებას იძლევა ინტერვენციისათვის. სკოლაში ჩვენ გვაქვს საშუალება, გარკვეული პრობლემების მქონე ბავშვებს დახმარება გავუწიოთ.

გვახსოვდეს, რომ:

1. **მზრუნველი უფროსი ადამიანი** საუკეთესო ფაქტორია, რომელსაც შეუძლია ბავშვისთვის **უსაფრთხო გარემოს** შექმნა, მისთვის **ყურადღებისა** და **სითბოს დეფიციტის შევსება.**

2. ბავშვები, რომლებიც ძალადობრივი ქცევის მსხვერპლნი არიან, საჭიროებენ **ყოველდღიურ შეხსენებას,** რომ ისინი **უყვართ, აღიარებენ მათ მნიშვნელობასა** და **გონებრივ უნარებს.**

აქედან გამომდინარე:

1. **უნდა ხელი შევუწყოთ,** რომ მოზარდებმა **ილაპარაკონ** თავიანთ **განცდებსა** და **ემოციებზე.** დაეხმარეთ ისწავლონ საკუთარ გრძნობებზე ლაპარაკი უფრო მეტად, ვიდრე ამას მოქმედებით გამოხატავენ, ისწავლონ პრობლემის გადაჭრა სიტყვიერად.

2. **უნდა ვეცადოთ,** გადამხდარი ინციდენტი, მოვლენა მათთვის **გასაგები, მარტივი ენით ავუხსნათ.**

3. **უნდა ვიზრუნოთ** ბავშვების **თვითშეფასების** გაზრდაზე.

4. მოზარდებს **პატივისცემით უნდა მოვეპყროთ.**

5. **უნდა ავუხსნათ, რომ მომხდარი ძალადობა** სულაც არ არის **მათი ბრალი** და მათ **არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა** მშობლების პრობლემების მოგვარებაში.

6. **უნდა ვასწავლოთ აგრესიის** გამოხატვის **ალტერნატიული** გზები. თქვენ თავად უნდა გახდეთ მოსწავლეებისთვის იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ურთიერთობა ურთიერთპატივისცემისა და არაძალადობრივი ქცევის საფუძველზე.

ბავშვებსა და მოზარდებს უამრავი პრობლემა აქვთ, რომელთა მოგვარებას დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ. ხშირად მშობელსაც უჭირს გაუგოს შვილს. ზოგჯერ მას არ აქვს სათანადო გამოცდილება და ცოდნა.

პრობლემები, რომელთა მოგვარებაში ბავშვებსა და მოზარდებს ჩვენი დახმარება სჭირდებათ:

– აგრესიულობა
– უხალისობა
– სიძნელეები სწავლაში
– მოუსვენრობა და ქცევასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები
– სირთულეები უფროსებთან და თანატოლებთან ურთიერთობაში
– ძილის დარღვევა
– შიში და შფოთვა
– ფსიქიკური განვითარების შეფერხება
– გარდამავალ ასაკთან დაკავშირებული პრობლემები

როგორ რეაგირებენ ბავშვები ტრავმაზე?

5 წლამდე და უფრო ადრეული ასაკის ბავშვები: რეაგირება შეიძლება გამოიხატოს მშობლებისაგან დაშორების შიშით, ტირილით, კანკალით, უმოძრაობითა და წამოკივლებით. მათ შეიძლება შეიბრუნონ ადრეული ჩვევები, როგორებიცაა: თითის წოვა, შარდშეუკავებლობა და სიბნელის შიში. მცირეწლოვან ბავშვებზე ძლიერ გავლენას ახდენს მშობლების რეაქცია.

სასკოლო ასაკის ბავშვები: ბავშვები შეიძლება ჩაიკეტონ თავის თავში, ვერ შეძლონ ყურადღების მოკრეფა ან გახევდნენ (ურეაქციობა), მათ შეიძლება ჰქონდეთ ღამის კოშმარები ან გაუმართლებელი შიში, უარი თქვან სკოლაში სიარულზე, იჩხუბონ, უჩიოდნენ მუცლის ტკივილის ან სხვა ფიზიკურ დისკომფორტს. მათ შეიძლება თავი აარიდონ იმ ადგილებს, რომლებიც მათ აგონებთ მომხდარ ამბებს.

ბავშვები 13-დან 19 წლამდე: (მოზარდები) მოზარდებმა, შეიძლება ხელახლა განიცადონ მომხდარის გახსენება, ღამის კოშმარები, ემოციური ინდიფერენტულობა და დეპრესია. შეიძლება ანტისოციალურები გახდნენ, მიეძალონ ნარკოტიკს ან ალკოჰოლს, ჰქონდეთ აკადემიური პრობლემები, დაკარგონ მომავლის იმედი და იფიქრონ თავის მოკვლაზე. მოზარდებს შეიძლება გაუჩნდეთ დანაშაულის გრძნობა იმის გამო, რომ არ ძალუძთ აიცდინონ ძალადობა ან მათ შეიძლება გაუჩნდეთ შურისძიების სურვილი. ისინი შეიძლება აუჯანყდნენ მთელ ქვეყანას, რაც მოკლებულია გონიერებას.

ბავშვები კარგად გრძნობენ თავს, როდესაც მათ საშუალებას აძლევენ გამოხატონ თავიანთი გრძნობები და ხედავენ თანაგრძნობას უფროსებისაგან და უბრუნდებიან ნორმალურ, ჩვეულ ცხოვრებას, რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს.

მაგრამ ზოგიერთებს სჭირდებათ პროფესიონალური დახმარება.

საშიშროების ნიშნებია, როდესაც ბავშვები განაგრძნობენ თავის არიდებას იმ ადგილებს/სიტუაციებს, რომლებიც ახსენებთ მათ ტრავმულ მოვლენას; თუ ისინი ემოციურად „გახევებულები" არიან, ან მშფოთვარე ძილი აქვთ ან

სხვა ფიზიკური პრობლემები. სტიქიური უბედურების შედეგად პოსტტრავმულ სტრესს განიცდის დაახლოებით 2% ზრდასრულებისა და ბავშვებისა, მაშინ, როდესაც 30% ზარალდება ტერორისტული აქტისა და ავიაკატასტროფების შედეგად.

ძალადობა ანგრევს ბავშვების რწმენას და ანგრევს მათ წარმოდგენას ამ ქვეყანაზე, როგორც უსაფრთხო ადგილზე და, აგრეთვე, მათ აღარ სჯერათ, რომ უფროსებს მათი დაცვა შეუძლიათ.

მოზარდობის პერიოდი

მოზარდობა ეს არის ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის გარდამავალი პერიოდი, რომელიც კონკრეტულ კულტურულ გარემოში მიმდინარეობს. 21-ე საუკუნეში მოზარდებს ისეთ გარემოში უწევთ განვითარება, რომლის განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენს ხანგრძლივი ეკონომიკური დამოკიდებულება უფროსებზე, გარე სამყაროს არასტაბილურობა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. საქართველოში კი ამას ემატება ჩვენი ქვეყნისთვის დამახასიათებელი სირთულეები, როგორებიცაა: სოციალურ-ეკონომიკსური პირობები, სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი, უმუშევრობა და ა.შ.

მოზარდობაში ხდება მნიშვნელოვანი მორფო-ფუნქციონალური ცვლილებები, რომელთა კულმინაციას ფიზიკური და სქესობრივი სიმწიფე წარმოადგენს, რაც გულისხმობს სწრაფ ზრდას, რეპროდუქტიული ორგანოების ჩამოყალიბებას და მეორადი სქესობრივი ნიშნების აღმოცენებას. სხეულის მნიშვნელოვანი ცვლილებები იწვევს „მე“-ხატისა თუ საკუთარ თავზე წარმოდგენის ცვლილებებს, მოზარდი საკუთარი სხეულის ცვლილებასთან დაკავშირებით ერთდროულად განიცდის ინტერესს, აღფრთოვანებას, შფოთვასა და შიშს. ამ ასაკში, ასევე, მიმდინარეობს კოგნიტური უნარების განვითარება ფორმალური ოპერაციების დონეზე, მოზარდს უკვე შეუძლია რთული აბსტრაქტული აზროვნება, ის იძენს თვითანალიზისა და თვითკრიტიკის უნარს, მას უკვე შეუძლია გაანალიზოს საკუთარი ქცევა, მოახდინოს მისი ინტეგრირება აწმყოსთან და იფიქროს საკუთარ მომავალზე.

მოზარდს უხდება გამკლავება სტრესთან, რომელიც დაკავშირებულია საკუთარი სხეულის მეტამორფოზებთან, ახალ სოციალურ როლებთან, ამისათვის ის იყენებს მანამდე დაგროვილ მთელ თავის გამოცდილებას, ენერგიასა და უნარებს. მოზარდები, ასევე, განიცდიან მშობლების ზეწოლას, რომლებსაც საკუთარი სწრაფვა წარმატებისკენ და უფრო მაღალი სოციალური სტატუსისკენ გაუცნობიერებლად საკუთარ შვილებზე გადააქვთ (Elkind, 1988). ბავშვები ამ ასაკში უნდა გაუმკლავდნენ ამ მძიმე შინაგან და გარეგან წნეხს, უნდა გადაჭრან სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებული ამოცანები და გააერთიანონ ამ გზაზე მიღებული გამოცდილება ერთ მთლიან, ნათელ და არაწინააღმდეგობრივ იდენტურობაში.

მოზარდობის პერიოდში ახალგაზრდებს პიროვნულ განვითარებასთან დაკავ-

შირებული ორი მნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრა უხდებათ:

1. **მშობლებისაგან გარკვეული დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის მიღწევა.**

2. **იდენტურობის (თვითმყოფადობის) ფორმირება, ერთიანი „მე“-ს ჩამოყალიბება.**

მოზარდობას ყოველთვის უყურებდნენ, როგორც “ქარიშხლისა და ზეწოლის” პერიოდს. ტერმინი “ქარიშხალი და ზეწოლა” XVIII-XIX ს.ს. გერმანული ლიტერატურული მიმდინარეობიდან არის აღებული და მოზარდების ემოციური მდგომარეობის დასახასიათებლად ის პირველად ზიგმუნდ ფროიდის ქალიშვილმა – ანა ფროიდმა გამოიყენა. 1958 წელს ის წერდა: „იყო ნორმალური მოზარდობის პერიოდში – ეს თავისთავად არანორმალურია”(Freud, 1958, პ.278). ზოგიერთი მონაცემით, მოზარდების 10-20%-ს აქვთ ამა თუ იმ ხარისხის ფსიქოლოგიური დარღვევები, ეს პროცენტი შეიძლება მაღალ მაჩვენებლად მოგვეჩვენოს, თუმცა ის არ არის ზრდასრული პოპულაციის მონაცემებზე მაღალი (Powers, Hauser, & Kilner, 1989).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოზარდებში ხშირია გუნება-განწყობის მკვეთრი ცვალებადობა, აპათია, ფეთქებადი ხასიათი, კონფლიქტები და ა.შ.

ერიკ ერიკსონი (1904-1994), ფროიდისტების მესამე თაობის წარმომადგენელი, თვლიდა, რომ იდენტურობის ფორმირება მოზარდობის პერიოდის მთავარი ამოცანაა. იდენტურობის ჩამოყალიბება მიმდინარეობს როგორც თვითშემეცნების გზით, ასევე რეფერენტულ ჯგუფებთან და „მნიშვნელოვან სხვასთან“ ურთიერთობის საშუალებით. ამ პერიოდშივე ხდება მორალური ნორმების ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს „ინდივიდის მიერ გარე სამყაროს გააზრებისა და გადაწყვეტილებების მიღების გზით საკუთარ განვითარებაში აქტიურ მონაწილეობას, რაც შემდგომში მის გარესამყაროში ქცევას განსაზღვრავს “ (Hart & Killen, 1995, c 7). თუ ბავშვი ხედავს, რომ მისი ქცევა უსამართლოდ იკიცხება უფროსების მხრიდან, მან შეიძლება უარი თქვას მცდელობაზე, მიიღოს სხვათა შეხედულებები, დაიწყოს ქცევის ნორმების იგნორირება და მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედოს.

ამავე პერიოდში ხდება მოზარდების მიერ მორალური ღირებულებების ათვისება. ეს მორალური ღირებულებები, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოზარდების შემდგომ ცხოვრებას. არაერთმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ, ძირითადად, ამ ნორმების ათვისება ხდება ოჯახში, თანატოლების წრეში, სკოლაში და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში.

ეს ძალიან ზოგადი მიმოხილვაც ნათლად აჩვენებს, რომ მოზარდობის პერიოდში სერიოზული ცვლილებები მიმდინარეობს პიროვნული განვითარების ყველა დონეზე. ასე რომ, ტრავმული გამოცდილების გარეშეც პიროვნული გან-

ვითარების ეს ეტაპი სპეციფიკურ სირთულეებს წარმოქმნის. ეს, ერთი მხრივ, ბუნებრივი მოვლენაა. მეორე მხრივ, უფროსების მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებასა და სიფაქიზეს მოითხოვს. იმ ოჯახებში, რომლებშიც ძალადობრივი ურთიერთობებია გამეფებული, მოზარდები უფრო მეტი საფრთხის წინაშე იმყოფებიან და მეტია ალბათობა იმისა, რომ მათ ვერ მოახერხონ პიროვნების განვითარების ამ მნიშვნელოვანი ეტაპის წარმატებით გავლა, რამაც შესაძლოა მთელ მათ ცხოვრებას დაასვას დაღი, ამიტომ **მოზარდებთან ურთიერთობას მეტი მოთმინებითა და გაგებით უნდა მოვეკიდოთ. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს დროებითი, გარდამავალ ასაკთან დაკავშირებული სიძნელეებია. მნიშვნელოვანია სკოლამ და ოჯახმა გაითვალისწინონ მოსწავლეთა ცხოვრებაში მიმდინარე ფსიქო-სოციალური და ფიზიკური პროცესები და, განათლების გარდა, უზრუნველყოს უსაფრთხო, პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული მხარდამჭერი გარემო.**

როგორია თანამედროვე მოზარდი და რა ჩივილები აქვთ უფროსებს?

პედაგოგები და ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ დაიწია ჰიპერაქტიური და აგრესიული მოსწავლეების ასაკმა, უკვე პირველივე კლასიდან სკოლებში ვაწყდებით მსგავს პრობლემას. მათი ქცევა ხშირ შემთხვევაში ჰიპერაქტიურია ან, პირიქით, ჰიპოაქტიური, ერთნი ვერ ახერხებენ თავიანთი ქცევის გაკონტროლებას და უმართავები ხდებიან. მეორენი, პირიქით, ძნელად ერთვებიან სოციუმში, ზედმეტად იკეტებიან საკუთარ თავში და განზე დგანან. ფსიქოლოგის კაბინეტში ხშირად ხვდებიან ბავშვები – ყურადღების დეფიციტის სინდრომით, ემოციური მოუმწიფებლობით, სხვადასხვა ფობიური ნევროზით, ენურეზით, ლოგონევროზით, მუტიზმით.

სერიოზულ კვლევას და კორექციას საჭიროებს მოზარდების ღირებულებითი სისტემა. ასევე, მე -კონცეფციის პიროვნული მოდელი, რომელიც მთლიანად აგებულია იმ შეფასებებზე, რომლებსაც მოზარდები გარშემომყოფებისაგან იღებენ. უფროსებისგან ხშირად ისმის: რა ზარმაცი ხარ! მშიშარა ყოფილხარ! როგორი მოუხერხებელი ხარ – არაფერი გამოგდის! უჭკუო, უტვინო! რა სასტიკი და დაუნდობელი ხარ! ბოროტო! და ა.შ.

როგორც სოციალური მოლოდინის თეორია აჩვენებს, ბავშვები "წარმატებით" ამართლებენ ასეთ მოლოდინებს და სწორედ იმ როლებს, იარლიყებს ირგებენ, რომლებსაც უფროსები "ჩავჩიჩინებთ".

ბოლო დროს პედაგოგები, მშობლები, ფსიქოლოგები და პოლიციის წარმომადგენლები სულ უფრო მეტ შეშფოთებას გამოხატავენ მოზარდებს შორის აგრესიისა და დელინკვენტური (დანაშაულებრივი) ქცევის გაზრდის გამო. მოზარდი მოზარდს სასიკვდილოდ იმეტებს, ჩაგრავს, აშანტაჟებს, "ძლიერები" "სუსტებს", მათივე ტერმინით რომ ვთქვათ, "აჩმორებენ". შემაშფოთებელია ბოლო პერიოდის მოზარდთა შორის სამართალდარღვევების სტატისტიკა. ყო-

ველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში მწვავედ დგას მოზარდთა შორის ძალადობრივი ურთიერთობის საკითხი, რომელსაც ევროპასა და ამერიკაში დიდ ყურადღებას აქცევენ და "ბულინგის" ტერმინითაა ცნობილი.

ფაქტობრივად, გამოიკვეთა მოზარდობის პერიოდში პიროვნებათშორისი ურთიერთობების პრობლემებთან დაკავშირებული 4 გარემო:

1. მოზარდი და ოჯახი;
2. მოზარდი და სკოლა;
3. მოზარდი და მოზარდი;
4. მოზარდი და "სხვა უფროსი".

ყველა ეს სფერო მჭიდრო ურთიერთკავშირშია და მოზარდებისთვის ერთდროულად წამოადგენს პრობლემებისა და რესურსების წყაროს. ყველაზე მეტ სირთულეს ვაწყდებით იმ შემთხვევაში, როცა მოზარდს ოთხივე ამ გარემოში ძალადობასთან უწევს შეხება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ტრავმაგადატანილ ბავშვს ერთ-ერთ გარემოში მაინც ეგულებოდეს თავშესაფარი – კეთილგანწყობა და მხარდაჭერა.

გვახსოვდეს, რომ:

- ახალგაზრდების მიერ ჩადენილი **დანაშაულების 74%** ხდება მათ მიერ, ვინც **ძალადობრივ ოჯახში გაიზარდა.**
- ამ კატეგორიის ბავშვებმა სავარაუდოა, **7-ჯერ უფრო ხშირად** სცადონ **თვითმკვლელობა.**
- ამ კატეგორიის ბავშვებში **50%-ით** მეტია ალბათობა, რომ გამოიყენონ **ალკოჰოლი** ან **ნარკოტიკები.**

ბოლო პერიოდში უცხოელი სპეციალისტები სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ბავშვის ცხოვრებაში უფროს ადამიანთან დადებითი ურთიერთობის ერთი მაგალითის არსებობას მაინც. ეს ადამიანი შეიძლება იყოს მეზობელი, ნათესავი, მეგობრის მშობელი და ა.შ. უფრო დიდია ალბათობა, რომ ამგვარი გამოცდილების მქონე ბავშვი დასძლევს ძალადობრივი გარემოს ზემოქმედებას, ვიდრე ამგვარი გამოცდილების არმქონე მოზარდი. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ბავშვს ასეთი ადამიანის პოვნა სკოლის კედლებში უნდა შეეძლოს.

ფიზიკური ძალადობის დროს	ემოციური (ფსიქოლოგიური) ძალადობის დროს	უგულებელყოფის დროს	სექსუალური ძალადობის დროს
უფროსების შიში; გამუდმებული შფოთვა	**მეტყველების დარღვევა (ენაბლუობა, მუტიზმი)**	**ფიზიკური ჩამორჩენა**	**აკვიატებული სექსუალური თამაშები**
ფიზიკური კონტაქტის შიში	**ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები (ადრეული ნევროზები)**	**მიტოვებულობის განცდა**	**მასტურბაცია სახალხოდ**

უცხო ხმების შიში	ენკოპრეზი, ენურეზი	ჰიგიენური ჩვევების უქონლობა	ენკოპრეზი, ენურეზი
სხვა ბავშვების ტირილზე შიშის რეაქცია	დეპრესია; დესტრუქციული, თვით-დესტრუქციული ქცევა	გამუდმებული შიმშილის გრძნობა	ასაკისათვის შეუსა-ბამო ცოდნა სექსის შესახებ
ქცევის უკიდურესობა-ჰიპერაქტიული ან ჰიპოაქტიური ქცევა	თვითიზოლაცია	დაღლილობა	სოციალური იზოლა-ცია
მოსალოდნელი სა-ფრთხის გამო კრიტიკისადმი ავადმყო-ფური დამოკიდებულება	გამუდმებული შფოთვა მოსალოდნელი საფრთხის გამო		
სისასტიკე ცხოველე-ბის მიმართ	მავნე ჩვევები (თითის წოვა, ფრჩხილების კვნეტა)	ვიწრო სოციალური კონტაქტები	
ტრავმის დაფარვა	ტყუილი	ქურდობა, ტყუილი	
სახლიდან გაქცევა	ახლობელი ადამიანების საფრთხესთან დაკავ-შირებული შფოთვა		
ავტოაგრესია	ჩამორჩენა ემოციურ განვითარებაში		მოსწრების გაუარესება
ღამის კოშმარები	ღამის კოშმარები	ღამის კოშმარები	ღამის კოშმარები
ბრალეულობის განცდა	ბრალეულობის განცდა	ბრალეულობის განცდა	ბრალეულობის განცდა
დაბალი თვითშეფასება	დაბალი თვითშეფასება	დაბალი თვითშეფასება	დაბალი თვითშეფასება
სასწავლო პროცე-სისადმი ინტერესის დაკარგვა	სასწავლო პროცე-სისადმი ინტერესის დაკარგვა	სასწავლო პროცე-სისადმი ინტერესის დაკარგვა	სასწავლო პროცე-სისადმი ინტერესის დაკარგვა

მოზარდობის წინა პერიოდი (11-14წ.)

თანატოლთა რეაქცია ამ ასაკში ძალიან მნიშვნელოვანია

ტიპური რეაქციებია:

- ძილის დარღვევები, მადის დარღვევა
- ამბოხება სახლში
- აგრესია და სისასტიკე სხვების მიმართ

- თვითდადანაშაულება
- უნდობლობა უფროსების მიმართ
- საშინაო დავალების მომზადებაზე უარის თქმა
- პრობლემები სკოლაში (ჩხუბი, გარიყულობა, ინტერესის დაკარგვა, ქცევა, რომელიც ყურადღებას იქცევს)
- სომატური პრობლემები (თავის ტკივილი, ბუნდოვანი ტკივილები, კანის გაღიზიანება, კუჭ-ნაწლავის პრობლემები)
- თანატოლებთან ურთიერთობების გაუარესება
- თავისი და სხვისი ნივთების განადგურება
- დესტრუქციული ქცევა სახლსა და სკოლაში

რით ვეხმარებით:

- დამატებითი ყურადღებით და მზრუნველობით
- საკუთარ გრძნობებზე და პრობლემებზე საუბრისკენ წაქეზებით
- მათი აზრებისა და გრძნობებისადმი პატივისცემით და ინტერესით
- კრიტიკისგან (კრიტიკული დამოკიდებულებისგან) თავის შეკავებით
- მასწავლებლების, სკოლის ფსიქოლოგისა და მშობლების მიერ ერთობლივი სტრატეგიის შემუშავებით
- ჯგუფურ აქტივობებსა და ყოველდღიურ რუტინულ საქმიანობში ჩართვით
- ისეთი აქტივობების განხორციელებით, რომლებშიც მოზარდებთან ერთად ჩართულები იქნებიან სკოლის სხვა ასაკობრივი ჯგუფები (მოზარდს უნდა ჰქონდეს ურთიერთობა მასზე უფროს ადამიანთან (მასწავლებელი ან მოსწავლე), როგორც მისაბაძ და მზრუნველ პიროვნებასთან და უმცროსთან, რომლისთვისაც თვითონ იქნება მისაბაძი და მზრუნველი.
- მისივე ასაკის ჯგუფურ აქტივობაში ჩართვა
- სტრუქტურული, მაგრამ არა მომთხოვნი პასუხისმგებლობების დაკისრებით

მოზარდობა (14-18წ.)

ტიპური რეაქციები:

- ფსიქოსომატური პრობლემები (ასთმა, გამონაყარი, კუჭ-ნაწლავის პრობლემები)
- ბრაზი და რისხვა
- ფეთქებადი ხასიათი
- სირცხვილი
- მეხსიერებისა და კონცენტრაციის დეფიციტი
- თავის ტკივილები და დაძაბულობა
- მადისა და ძილის დარღვევები
- ჰიპოქონდრია

- ამენორეა ან დესმენორეა
- ენერგიის შემცირება ან მომატება
- აპათია
- უპასუხისმგებლო და /ან დელინკვენტური ქცევა
- მშობლების კონტროლისაგან განმათავისუფლებელი ბრძოლის გამწვავება
- ცუდი კონცენტრაცია
- შეურაცხყოფა და ძალადობა მოზარდთა ურთიერთობებში
- ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარება
- ფიქრები თვითმკვლელობაზე

რით ვეხმარებით:

- დამატებითი ყურადღება და მზრუნველობა
- წაქეზება, ილაპარაკონ თავიანთ გრძნობებსა და პრობლემებზე
- პატივისცემა და ინტერესი მათი აზრებისა და გრძნობებისადმი
- თავის შეკავება კრიტიკისგან (კრიტიკული დამოკიდებულებისგან)
- პატივისცემით და ინტერესით მოეკიდეთ მათ აზრებსა და გრძნობებს
- მასწავლებლების, სკოლის ფსიქოლოგისა და მშობლების მიერ ერთობლივი სტრატეგიის შემუშავებ.
- ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებშიც მოზარდებთან ერთად ჩართულები იქნებიან სკოლის სხვა ასაკობრივი ჯგუფები. მოზარდს უნდა ჰქონდეს ურთიერთობა მასზე უფროს ადამიანთან (მასწავლებელი ან მოსწავლე), როგორც მისაბაძ და მზრუნველ პიროვნებასთან, ასევე უმცროსთან, რომლისთვისაც თვითონ იქნება მისაბაძი და მზრუნველი
- დაეხმარონ პატარა ბავშვებს ან მოხუცებს
- ხელი შეუწყოთ სოციალური აქტივობების აღდგენისათვის
- ხელი შეუწყოთ, თავიანთი გამოცდილების შესახებ დისკუსია გამართონ თანატოლებთან
- გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნუ მოელით, რომ სასკოლო დავალებებს კარგად შეასრულებს
- თუ გამოვლინდება სუიციდური აზრები, უიმედობა, უსუსურობა, მივმართოთ სპეციალისტს

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლებამოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:
სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:
მოზარდმა უნდა იცოდეს, როგორ ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:
დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილებების მიღება:
სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ

არსებულის ხარჯზე:
სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც:
სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს, არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის.

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებსა და ჯგუფებთან:
სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:
დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

სახელმწიფო მიზნად ისახავს ისეთი სასკოლო სისტემის შექმნას, რომელიც თითოეულ მოსწავლეს მისცემს აღნიშნული უნარ-ჩვევების შეთვისების თანაბარ შესაძლებლობას. სახელმწიფო არ დაუშვებს მოსწავლის დისკრიმინაციას სოციალური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან პოლიტიკური კუთვნილების, ფიზიკური შესაძლებლობებისა თუ სხვა ნიშნების მიხედვით.

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2004 წლის 18 ოქტომბრის
84 დადგენილებით

სამოქალაქო განათლების მე-9 კლასის საგნობრივი პროგრამა

დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით #256, 2009 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

(**მუქი შრიფტით** გამოკვეთილია შედეგები, რომლის მიღწევაშიც მოსწავლეს ეხმარება სამართლებრივი კულტურის დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა. შემდეგ დაჯგუფებულია აღნიშნული შედეგები და მათი ინდიკატორები)

შედეგები მიმართულებების მიხედვით

მოქ. IX	მიმართულებები	
მოქალაქეობა	**მმართველობა**	**ეკონომიკა**
1. მოსწავლე მსჯელობს საქართველოს მოქალაქის უფლებებზე, თავისუფლებებსა და კონსტიტუციურ მოვალეობებზე.	5. მოსწავლე იკვლევს დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძვლებს.	8. მოსწავლე ერთმანეთისგან განასხვავებს ადამიანის სურვილებს, შესაძლებლობებსა და ობიექტურ რესურსებს.
2. მოსწავლე შეისწავლის მოქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ფორმებსა და საშუალებებს. **3. მოსწავლე იკვლევს საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობების ხელისშემშლელ და ხელშემწყობ ფაქტორებს.** **4. მოსწავლე აფასებს ადამიანისა და საზოგადოების როლს სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში.**	5. მოსწავლე იკვლევს დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძვლებს. **6. მოსწავლე განასხვავებს საქართველოს ხელისუფლების შტოებსა და მათ ფუნქციებს; მსჯელობს მათ ურთიერთკავშირზე.** 7. მოსწავლე მსჯელობს მმართველობის დემოკრატიულობაზე საქართველოში.	8. მოსწავლე ერთმანეთისგან განასხვავებს ადამიანის სურვილებს, შესაძლებლობებსა და ობიექტურ რესურსებს. 9. მოსწავლე იკვლევს ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის ძირითად სფეროებსა და მათ ურთიერთკავშირს. **10. მოსწავლე გეგმავს თავის მომავალ საქმიანობას და კარიერას.**

შედეგები და ინდიკატორები

მოქალაქეობა

მოქ. IX -1. მსჯელობს საქართველოს მოქალაქის უფლებებზე, თავისუფლებებსა და კონსტიტუციურ მოვალეობებზე.

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- **მონაწილეობს საკლასო დისკუსიაში: „რა მოხდება, რომ ყველას ჰქონდეს მხოლოდ უფლება და არ ეკისრებოდეს მოვალეობა? საჭიროა თუ არა პასუხისმგებლობა და რისთვის?"**
- ადარებს საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს ადამიანის უფლებების საერთაშორისო დეკლარაციის დებულებებთან;
- **მსჯელობს საქართველოში მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის გარანტიებზე;**
- საკუთარი სკოლის, დასახლების ან ქვეყნის მაგალითზე ჩამოთვლის საკითხებს, რომელთა გადასაწყვეტად, მისი აზრით, მნიშვნელოვანია უმრავლესობის აზრის გამოვლენა (მაგ.: პლებისციტი, რეფერენდუმი, გამოკითხვა, არჩევნები და ა.შ.);

მოქ. IX -3. იკვლევს საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობების ხელისშემშლელ და ხელშემწყობ ფაქტორებს.

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- **აჯგუფებს კანონებს, რომლებიც შეესაბამება მის ზნეობრივ ღირებულებებს და რომლებიც მისთვის მიუღებელია, ასაბუთებს საკუთარ პოზიციას;**
- **ხსნის, თუ რატომ ევალება პიროვნებას კანონის დაცვა; ასახელებს იმ საშიშროებას, რომელიც მოსდევს არაკანონიერ მოქმედებას;**
- **თანაკლასელებთან ერთად, საკუთარი დაკვირვებების საფუძველზე, შეარჩევს და გაითამაშებს რომელიმე კონფლიქტურ სიტუაციას; განიხილავს მისი მოგვარების შესაძლო გზებს (მაგ.: ინტერესების პოზიციიდან – მოლაპარაკებით, წესების პოზიციიდან – სასამართლოთი თუ სხვა); არჩევს მოცემული შემთხვევისათვის ყველაზე ეფექტიანს; ასაბუთებს თავის მოსაზრებას;**
- **თანაკლასელებთან ერთად ქმნის მშვიდობიანი გარემოსთვის საჭირო ყოველდღიური ქცევის სახელმძღვანელო დოკუმენტს (მაგ.: ბუკლეტი, პლაკატი, სამახსოვრო).**

მოქ. IX- 4. აფასებს ადამიანისა და საზოგადოების როლს სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში.

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- ადამიანის რომელიმე მოთხოვნილებას შეუსაბამებს ადამიანის გარკვეულ უფლებას (მაგ.: კვება – სიცოცხლის, შრომის და სხვა უფლებები; ურთიერთობა – სიცოცხლის, სიტყვის, შრომის, უსაფრთხო გარემოს და სხვა უფლებები და ა.შ.) და ასაბუთებს საკუთარი პასუხის მართებულობას;
- მოიძიებს მასმედიის საშუალებით გამოქვეყნებულ ინფორმაციას მიუსაფარი ბავშვების შესახებ, აანალიზებს მას და თანაკლასელებს წარუდგენს ამ პრობლემის მოგვარების მისეულ გეგმას;
- **აღწერს იმ საშიშროებებს, რომლებიც მოსდევს მოზარდების მიერ თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გამოყენებას; განიხილავს შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებს საქართველოს, მეზობელი ქვეყნებისა და მსოფლიოსთვის; ასახელებს ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების მაგალითებს;**
- **წერს თხზულებას სოციალური დაავადებების (მაგ.: ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, შიდსი, ტუბერკულოზი და ა.შ.) მქონე ადამიანებისადმი საზოგადოების დანარჩენ წევრთა დამოკიდებულების შესახებ, სადაც ასაბუთებს საკუთარ პოზიციას თავის მიერ აღწერილი ურთიერთობის სამართლიანობის შესახებ;**
- განასხვავებს ტერმინებს – ლტოლვილი და დევნილი; ასახელებს შესაბამის მაგალითებს როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში; მსჯელობს მიზეზებზე, რომლებმაც შეიძლება აიძულოს ადამიანი დატოვოს საცხოვრებელი ადგილი (მაგ.: ომი და შეიარაღებული კონფლიქტები, ადამიანის უფლებების დარღვევა/დისკრიმინაცია, სიღარიბე და უმუშევრობა, სტიქიური მოვლენები და სხვა.);

მმართველობა

მოქ. IX- 6. განასხვავებს საქართველოს ხელისუფლების შტოებსა და მათ ფუნქციებს; მსჯელობს მათ ურთიერთკავშირზე.

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს განსხვავებებზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის;
- **თანაკლასელებთან ერთად აჯგუფებს ხელისუფლების სხვადასხვა შტოს (აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო) და განასხვავებს მათ ფუნქციებს;**
- ირჩევს ერთ-ერთ სახელმწიფო ორგანოს და უკავშირებს მას ხელისუფლების შესაბამის შტოს; განიხილავს ამ ორგანოს ფუნქციებს და მის კავშირს ხელისუფლების სხვა ორგანოებთან;
- **ჩამოთვლის იმ სახელმწიფო ორგანოებსა თუ დაწესებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მისი კონსტიტუციური უფლებების დაცვასა და მოვალეობების შესრულებას; გამოთქვამს აზრს მათი მოქმედების ეფექტიანობის შესახებ;**

- ადგენს საკუთარ დასახლებაში გადასაჭრელ საკითხთა ნუსხას და, შესაბამისად, ასახელებს ხელისუფლების იმ წარმომადგენელს, რომელთანაც უნდა მოხდეს პირველი მიმართვა; ასაბუთებს საკუთარ დასკვნას (შტოსა და დონის/ინსტანციის მიხედვით);
- თანაკლასელების ჯგუფთან ერთად ირჩევს რომელიმე სახელმწიფო ორგანოს (მაგ.: გამგეობა/მერია, პარლამენტი, სასამართლო, სამინისტრო და ა.შ.) და მონაწილეობს შესაბამის სიმულაციურ თამაშში: „სამსახურის ერთი დღე".

ეკონომიკა

მოქ. IX -10. გეგმავს თავის მომავალ საქმიანობას და კარიერას.

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- **ჩამოთვლის საკუთარ მიზნებს (მაგ.: ვიყო განათლებული, მდიდარი, ჯანმრთელი, ლამაზი, უსაქმური, ვიცხოვრო უსაფრთხოდ და ა.შ.), რომლებიც კარიერასთან არის დაკავშირებული; მსჯელობს მათ რეალურობასა და მიღწევის გზებზე; მიზნების განხორციელების გზებს აკავშირებს შესაბამის მოვალეობებთან;**
- საკუთარი შესაძლებლობებისა და მიზნების ანალიზის საფუძველზე ასახელებს საქმიანობის იმ სფეროს, რომელსაც სავარაუდოდ უკავშირებს საკუთარ მომავალ მოღვაწეობას; კლასში გამოავლენს თანამოაზრეებს, რომლებთან ერთადაც აგროვებს ინფორმაციას ამ სფეროს შესახებ და მისი მიმოხილვის შემდეგ მზად არის, იმუშაოს მინი-პროექტზე „ჩემი მომავალი პროფესია და კარიერა";
- მასწავლებლის დახმარებით, თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად სახავს იმ გზებს, რომლებიც დაეხმარება მას პროფესიის არჩევაში, რაც გულისხმობს ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის ეტაპებს, ვადებს, გამოსაყენებლი მეთოდების (მაგ.: გამოკითხვა, ინტერვიუ, ადგილზე გაცნობა და ა.შ.) განსაზღვრას;
- **საკუთარი შესაძლებლობებისა და მისწრაფებების ანალიზის საფუძველზე წერს თხზულებას „როგორ მესახება ჩემი მომავალი კარიერა" (დასახული მიზნები და მათი მიღწევის გზები, სასურველი და გარდაუვალი მოვლენები,მისი ჩანაფიქრის შესაბამისობა საზოგადოებრივ ინტერესებთან); თხზულებას წარუდგენს თანაკლასელებს.**

საქართველოს სამართლებრივი კულტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სამართლებრივი სოციალიზაციის ორგანიზებულ პროცესს მოზარდებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოში „ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება" (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 35.1) და, იმავდროულად, „დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა" (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 35.3). ეს ნიშნავს, რომ 6-დან 15 წლამდე ასაკის მოქალაქეები, ერთეული გამონაკლისების გარდა, ზოგადსაგანმნათლებლო სკოლების განუყრელი წევრები არიან.

პროგრამა განკუთვნილია 14-16 წლის მოზარდების (IX კლასელები), მათი პედაგოგების, მშობლების, აღმზრდელებისა და მათ სკოლებთან მომუშავე სამართალდამცველებისთვის. პროგრამა განსაკუთრებულია, რადგან საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელთან ერთად აუცილებლად მონაწილეობს სამართალდამცავი – პოლიციელი. სწავლა-სწავლების ეს ფორმა ხელს უწყობს მოზარდების, მასწავლებლებისა და სამართალდამცავების თანამშრომლობის გაღრმავებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამართლებრივი კულტურის საგანმანათლებლო პროგრამა ეხმაურება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რომელთა მიხედვითაც მოსწავლე უნდა ჩამოყალიბდეს კანონმორჩილ და ტოლერანტ მოქალაქედ.

პროგრამა მოსწავლეებს დაეხმარება გაიაზრონ, როგორ შეაფასონ კრიტიკულად პირადი შეხედულებები, როგორ აიცილონ და მოაგვარონ კონფლიქტი კანონთან, რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა და რას ნიშნავს აქტიური მოქალაქეობა; გაიაზრებენ, რამდენად მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება, გააცნობიერებენ თავიანთ უფლებამოვალეობებს და გაეცნობიან არასრულწლოვანთა შესახებ კანონმდებლობას. ეს ყველაფერი დაეხმარება მოსწავლეებს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში, გააუმჯობესებს მათ შორის ურთიერთობებს. დაანახებს მათ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანებთან სამართლიანი მოპყრობა და მთლიანად საზოგადოების მიმართ ტოლერანტული და კანონიერი დამოკიდებულება.

წინამდებარე პროგრამა რეკომენდებულია როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი რომელიმე ჩამოთვლილი ფორმით:

- სამოქალაქო განათლების დამატებითი საგანმნათლებლო პროგრამის სახით;
- ფაკულტატური სასწავლო კურსის სახით, 12-14 აკადემიური საათის ხანგრძლივობით (1სთ/კვ.-ში);
- სადამრიგებლო პროგრამის სახით.

იგი მოიცავს როგორც საგაკვეთილო პროცესს, ისე კლასგარეშე აქტივობების რეკომენდაციებს. პროგრამის კომპლექსურად განხორციელება ხელს უწყობს დასახული სასწავლო-აღმზრდელობითი მიზნების წარმატებით მიღწევას.

პროგრამის დასრულების შემდეგ მისაღწევი შედეგები

მოსწავლე:

- ასაბუთებს, თუ რატომ არის საჭირო საზოგადოებაში კანონიერების კულტურისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრება;
- მსჯელობს, თუ როგორ ემუქრება დანაშაული საზოგადოებრივ ღირებულებებს, მის ინსტიტუტებს, კანონიერების კულტურას;
- განსაზღვრავს კანონიერების დამკვიდრების ხელშემწყობ პირობებს, რომლებიც დაეხმარება როგორც მას, ასევე – საზოგადოებას დანაშაულის თავიდან აცილებაში.
- იზიარებს ქცევის ნორმებს, რომლებიც შეესაბამება დემოკრატიული საზოგადოების კანონსა და სამართალს;
- ავლენს უარყოფით დამოკიდებულებას დამნაშავეთა ღირებულებების მიმართ;
- ავლენს პირად დაინტერესებას კანონიერების დამკვიდრებით და მიაჩნია ეს თავის მოვალეობად.

პროგრამის ამოცანები:

- ახალგაზრდებისათვის სამართლებრივი ინფორმაციის მიწოდება და მათი დახმარება სამოქალაქო უნარების გამომუშავებაში;
- მათი აღჭურვა სამოქალაქო საზოგადოებაში ცხოვრებისა და ორიენტირებისათვის საჭირო ცოდნითა და შესაძლებლობებით;
- ქვეყანაში სამართალდამცავი ორგანოების როლისა და მნიშვნელობის წარმოჩენა;
- პოლიციასა და სკოლას შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა.

პროგრამის ზოგადი შინაარსი:

- არასრულწლოვანი და კანონი;
- არასრულწლოვნები და სრულწლოვანები კანონთან მიმართებით;
- მავნე ჩვევებისა და მათი სახიფათო შედეგებისგან თავდაცვა;
- პოლიციის ისტორია და მნიშვნელობა;
- ორგანიზებული დანაშაული;
- გულგრილობა თუ თანამშრომლობა;
- მორალური და კანონიერი არჩევანი.

თითოეული თემა მოიცავს:

- მეთოდიკის აღწერას მოცემული გაკვეთილისთვის;
- დავალებებს;
- დამატებით მასალას დავალებებისათვის;
- დამატებით ინფორმაციას მასწავლებლებისა და პოლიციის თანამშრომლებისთვის.

მოსწავლეების სამართლებრივი სოციალიზაციისა და შესაბამისი განათლების სხვადასხვა გზა არსებობს, მაგალითად: დისკუსიები, ექსკურსიები, კომპეტენტურ

პირებთან სკოლაში შეხვედრები, საილუსტრაციო მაგალითების შესწავლა და ა.შ. ძირითადად გამოიყოფა სამი მიდგომა:

1. ინფორმაციის მიწოდება წყაროების/დოკუმენტების, ფილმების, სამუშაო შეხვედრების სახით;
2. ნორმების სწავლება სიტუაციური ამოცანების ამოხსნის, მათი გათამაშების, იმიტირებული სასამართლო პროცესებისა და კონფლიქტების მოგვარების მოდელირების მეშვეობით;
3. მოსწავლეების ჩართვა ნამდვილი დილემებისა და პრობლემების გადაჭრაში.

წინამდებარე სახელმძღვანელოს, რომელიც საქართველოს სამართლებრივი კულტურის პროექტის ფარგლებში შეიქმნა, ავტორები შეეცადნენ ზემოჩამოთვლილი მეთოდები შეეჯერებინათ და სწავლების ისეთი გზები შეემუშავებინათ, რომლებიც ყველაზე მისაღები და რეალისტური იქნებოდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებისათვის.

მასწავლებლებისათვის მოცემული სახელმძღვანელოს გამოყენებით მეცადინეობის ჩატარება რეკომენდებულია სამოქალაქო განათლების გაკვეთილების ან „დამრიგებლის საათის" დროს, პოლიციის თანამშრომლის მონაწილეობით. ამ სახელმძღვანელოთი სარგებლობა შეუძლიათ, აგრეთვე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლებს.
მოცემული სასწავლო მასალა ერთობლივად შეადგინეს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა და პედაგოგებმა.

გაკვეთილები იმგვარადაა შედგენილი, რომ პედაგოგს საშუალება ეძლევა, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და იგი სხვადასხვაგვარი ინტერესების მქონე მოსწავლეებს მიუსადაგოს. ყოველი გაკვეთილის თემა, რომელიც წინასწარ არის განსაზღვრული, წარმოადგენს პედაგოგის ძირითად ამოცანას და იმ ინფორმაციის მინიმუმს, რომელიც მოსწავლემ უნდა მიიღოს. გაკვეთილის ძირითადი თემის ირგვლივ მუშაობა სასურველია არსებული სხვადასხვა სასწავლო მეთოდის გამოყენებით წარიმართოს.

მოსწავლეთათვის განსაზღვრული თემები და საკითხები მარტივიდან რთულისკენ ვითარდება. კითხვა, რომელიც მოსწავლისგან მოითხოვს მხოლოდ ფაქტების ცოდნას, ბევრად მარტივია, ვიდრე კითხვა, რომელიც გულისხმობს ინტერპრეტაციის, ანალიზისა თუ შეფასების უნარს. თემის დამუშავებისას პედაგოგის მოვალეობაა გაითვალისწინოს კლასის დონე (მოთხოვნები) და მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები. გაკვეთილის თემის მაქსიმალურად ამოწურვის შემთხვევაში მას საშუალება ეძლევა მოსწავლეებს შესთავაზოს იმავე საკითხის აზროვნების უფრო მაღალ რეგისტრში განხილვა.

პედაგოგის პრეროგატივაა მოსწავლეთა შეფასება იმის მიხედვით, თუ რას აძლევს უპირატესობას – საკლასო/საშინაო თუ ზეპირ/წერით დავალებებს.

იმედია, რომ ოჯახისა და სკოლის ერთობლივი ქმედება მოსწავლეს აღუძრავს პასუხისმგებლობის გრძნობას და სამართლებრივი სამოქალაქო საზოგადოების წევრად აქცევს.

ზოგადი მეთოდური რეკომენდაციები

გაკვეთილის სამფაზიანი მოდელი

სამფაზიანი გაკვეთილი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:
I – გამოწვევა;
II – სიღრმისეული წვდომა;
III – გააზრება, რეფლექსია.

გაკვეთილის სამფაზიანი მოდელის პირველი ეტაპი – **გამოწვევა** გულისხმობს მოცემულ საკითხზე, საგანსა ან მოვლენაზე არსებული ცოდნის, განცდების, შთაბეჭდილებების გააქტიურებას. მოსწავლეები იხსენებენ იმას, რაც იციან შესასწავლი საკითხის ირგვლივ. იწყებენ ახალ თემაზე ფიქრს. ხდება მოსწავლეთა გააქტიურება, ინტერესის გაზრდა, რაც საკითხის კვლევის პროვოცირებას უწყობს ხელს.

სიღრმისეული წვდომა – სწავლის პროცესის გააზრების მეორე ფაზაა. იგი შესასწავლი საკითხის შინაარსის გაგებასა და აღქმას უწყობს ხელს. მოსწავლე ეცნობა ახალ ინფორმაციას ტექსტის წაკითხვის, აუდიო და ვიდეო მასალის გაცნობის, ცდების ჩატარების საშუალებით. ამ ეტაპზე ხდება არსებული ცოდნისა და ახალი ინფორმაციის შეჯერება.

სიღრმისეული წვდომის უპირველესი ამოცანაა „გამოწვევის ფაზაზე“ გაღვიძებული ინტერესის შენარჩუნება და განმტკიცება.

გააზრების ეტაპზე მოსწავლეები ამთლიანებენ არსებულ და ახლად მიღებულ ცოდნას, ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მსჯელობა.

მოსწავლეთა მუშაობის ფორმები

არსებობს მუშაობის შემდეგი ფორმები: **ინდივიდუალური, წყვილში** და **ჯგუფური.**
მასწავლებელმა თავიდანვე უნდა განუმარტოს მოსწავლეებს მუშაობის ფორმების არსი. ასეთ შემთხვევაში თავიდან ავიცილებთ წყვილში და ჯგუფური მუშაობისას ხმაურსა და ქაოსს.

მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ:

ინდივიდუალურად მუშაობის პროცესში მოსწავლე საკუთარ თავზეა პასუხისმგებელი, წყვილში და ჯგუფური მუშაობისას ისინი პასუხისმგებლობას გრძნობენ თავიანთი მეწყვილის, ასევე, გუნდის წევრის მიმართ. წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობა ხელს უწყობს თანამშრომლობის ჩვევის გამომუშავებას. ამ სავარჯიშოების შესრულებისას მოსწავლეები სწავლობენ ერთმანეთის მოსმენას, სხვისი აზრის გაზიარებას, კრიტიკულ აზროვნებასა და შეფასებას,

საკუთარი აზრის გამოთქმას, დასაბუთებას და ა.შ. ისინი ეჩვევიან ფუნქციების დანაწილებას, დროის რაციონალურ გამოყენებას.

წყვილებში მუშაობის დროს ბავშვებს მოეთხოვებათ ყურადღების კონცენტრაცია. ისინი პასუხისმგებლობას გრძნობენ თავიანთი მეწყვილის მიმართ. წყვილებში გამომუშავებული თანამშრომლობის ჩვევა კიდევ უფრო მტკიცდება ჯგუფური სამუშაოების შესრულებისას.

თითოეულ ჯგუფში ერთი მაგიდის გარშემო თავს იყრიან სხვადასხვა ხასიათისა და ტემპერამენტის მოსწავლეები: აქტიურები, პასიურები, ლიდერები. ხშირად ჯგუფებში სწორედ ამიტომ წარმოიშვება კონფლიქტი. მასწავლებელი სთავაზობს გუნდს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზას. თუ ამას გუნდი ვერ მიაღწევს, ანუ ვერ იპოვის გამოსავალს, ის სამუშაო პროცესიდან ვარდება.

ჯგუფის შერჩევა სხვადასხვაგვარად ხდება: ჯგუფი შეიძლება შეირჩეს ისე, რომ თითოეულ მათგანში თანაბარი შესაძლებლობების ბავშვები გაერთიანდნენ, შეიძლება ცალ-ცალკე შედგეს ბიჭებისა და გოგონების გუნდები და სხვ. შესაძლებელია შემთხვევითი პრინციპით შერჩევაც, რათა მოსწავლეები მიეჩვიონ უცხო გარემოში ნებისმიერ პარტნიორთან ურთიერთობას. ჯგუფებად დანაწილება უნდა მოხდეს ოპერატიულად (2-3 წთ.).

შესაძლოა მასწავლებელმა თავად დაადგინოს ჯგუფის მუშაობის წესები (მაგ.: ლიდერის არჩევა), მაგრამ უმჯობესია მუშაობის სისტემის შექმნა მივანდოთ ბავშვებს (რა თქმა უნდა, მასწავლებლის რეკომენდაციების გათვალისწინებით). კარგია, თუ ჯგუფი თვითონ აირჩევს, ვინ წარადგენს კლასის წინაშე თავის ნამუშევარს. მასწავლებელი თვალს ადევნებს მოსწავლეების მუშაობას, თუმცა ეს იმგვარად ხდება, რომ ბავშვებს არ შეექმნათ შთაბეჭდილება, თითქოს მასწავლებელი მათ თავზე ადგათ. მასწავლებელი არ უნდა ჩაერიოს ჯგუფის მუშაობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ჯგუფი მისგან მოითხოვს რაიმე განმარტებას ან შეატყობს, რომ ჯგუფმა არასწორად გაიგო პირობა.

ჯგუფური მუშაობისას მასწავლებელი უკანა პლანზე გადადის. იგი გეზის მიმცემისა და მეთვალყურის როლს ასრულებს და ბოლომდე ნეიტრალურ წამყვანად რჩება. სამუშაოს დამთავრების შემდეგ ჯგუფები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს. პრეზენტაციის დროს მასწავლებელი კითხვებს არ უსვამს და არ აწყვეტინებს აზრს მომხსენებელს.

შემოწმების ტექნიკა და ინსტრუმენტები

სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვის მიზნით კარგი იქნება, თუ გამოვიყენებთ შეფასების თანამედროვე ხერხებს. მათი მეშვეობით იზომება არა მხოლოდ ცოდნა, არამედ შეძენილი უნარ-ჩვევები და აზროვნებაც.
გთავაზობთ შემოწმების ზოგიერთ ხერხს, რომელიც ინტერაქტიური სწავლებასწავლის პროცესში გამოიყენება:

1. საქაღალდე/პორტფოლიო – შემოწმების ამ ხერხის საშუალებით ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების შეგროვება. საქაღალდეში ხვდება ყველანაირი ნამუშევარი – საწყისი ვერსია, ცვლილებები და სრულყოფილი ვარიანტი. საწყისი და საბოლოო ვარიანტების შედარების საფუძველზე ვადგენთ მოსწავლის წინსვლის ხარისხს.

2. წარმოდგენა,პრეზენტაცია – წარმოდგენა არის განსახილველ საკითხთან დაკავშირებული სიტუაციის შექმნა (სიმულაცია), ხოლო პრეზენტაცია – შესწავლილი მასალის წარდგენა აუდიტორიის წინაშე.

3. რუბრიკები – თემასთან დაკავშირებული ინდიკატორების სისტემა, რომელსაც მასწავლებელი წინასწარ ადგენს და აცნობს მოსწავლეებს. რუბრიკებში მოცემულია მიღწევის დონეები (მაგ.: დაბალი, საშუალო, მაღალი).

4. თვითშეფასება და შეფასება წყვილებში – მოსწავლეები თვითონ ამოწმებენ და ადგენენ, თუ რა სჭირდებათ მათ შემდგომი განვითარებისათვის. მოსწავლეები ამოწმებენ და აფასებენ ერთმანეთის ნამუშევარს. შემდეგ ისინი მასწავლებელთან ერთად ცდილობენ დაადგინონ, კიდევ რა საკითხი უნდა დაემატოს შესწავლილ თემას სრულყოფისათვის.

5. შემოწმებისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ სპეციალურად შედგენილი კითხვარები.

კერძო მეთოდების მიმოხილვა

გონებრივი იერიში

გონებრივი იერიში დროის მცირე მონაკვეთში მრავალგვარი იდეის გენერაციის საშუალებას იძლევა. იგი ტარდება დამოუკიდებლად ან წარმოადგენს სხვა სავარჯიშოს ნაწილს. ამ მეთოდის გამოყენება თითოეული მოსწავლისგან ინდივიდუალურ აქტივობას მოითხოვს და საერთო პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტას განაპირობებს.

მასწავლებელი წინასწარ შეარჩევს თემას და შეკითხვის სახით ჩამოაყალიბებს მას. შეკითხვა უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული და მოსწავლეთათვის გასაგები ფორმით მიწოდებული.
ამის შემდეგ მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს და გვთავაზობენ პრობლემის გადაწყვეტის გზებს. იდეების გენერაციის დროს სასურველია დავიცვათ შემდეგი პრინციპები:

1. მოსწავლეთა მიერ მოსაზრების გამოთქმის დროს დაუშვებელია კამათი, კრიტიკა ან შეფასება. უნდა ვიმუშაოთ პრინციპით: ყველა მოსაზრება ღირებულია.

2. აზრის გამოთქმა ნებაყოფლობითი და თავისუფალია. მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან მოსაზრებები, როცა თავად მოისურვებენ და არა მაშინ, როცა ამას მასწავლებელი მოითხოვს, იდეა შეიძლება იყოს როგორც ორიგინალური, ისე სხვისი იდეის განვითარების შედეგი.

3. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია იდეების რაოდენობა და არა ხარისხი. ხარისხზე მსჯელობა უნდა მოხდეს გენერაციის ეტაპის დასრულების შემდეგ (შეფასების ეტაპი).

4. ყველა იდეა უნდა დაიწეროს დაფაზე ან დიდ ქაღალდზე (მათ შორის, ყველაზე მიუღებელიც კი).

5. შეფასების წინ მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ დაფიქრების საშუალება.

6. იდეების გენერაციის პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია გაკვეთილის მსვლელობაზე, თუმცა, მასწავლებელმა შეიძლება წინასწარ განსაზღვროს იგი (რეკომენდებულია 2-იდან 5 წუთამდე, თუმცა რთული საკითხის შემთხვევაში შესაძლოა 20 წუთამდეც).

მასწავლებელმა აქტიური სამუშაოს მსვლელობისას უნდა განსაზღვროს, რამდენი ხნის შემდეგ დაიწყება შეფასების ეტაპი: მაშინვე თუ მომდევნო დღეს. ამ ხნის განმავლობაში მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები უნდა ეწეროს დაფაზე ან კედელზე გაკრულ დიდ ქაღალდზე.

იდეების შეფასების ეტაპის დაწყებისას უნდა მოხდეს მოსაზრებათა მოკლე მიმოხილვა. მოსწავლეებმა მასწავლებელთან ერთად უნდა განსაზღვრონ, დაა-ჯგუფონ მსგავსი იდეები და განაზოგადონ ისინი.

მსგავსი იდეების გაერთიანების შემდეგ შესაძლებელია მცირე დისკუსია მათ ავკარგიანობაზე, რის შემდეგაც უნდა მოხდეს მათი დახარისხება მნიშვნელობის მიხედვით – თითოეულ მოსწავლეს შეუძლია ამოარჩიოს რამდენიმე, მისი აზრით, ყველაზე ფასეული თემა და დაალაგოს ისინი მნიშვნელობის მიხედვით (თავისი დამოკიდებულება გამოხატოს ქულებით).

ქულების შეჯამების შემდეგ უნდა გამოიკვეთოს 1,3 ან 5 იდეა, რომელთაც კლასი უპირატესობას მიანიჭებს.

მასწავლებელს, გაკვეთილის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, შეუძლია შეცვალოს შეფასების ეტაპის მიმდინარეობა. მაგ.: ძირითადი აქცენტი გადაიტანოს თავად დისკუსიაზე, რომელიც სრულდება არა შეფასებით (ქულებით), არამედ მოსწავლეთა შეთანხმებით, მაგრამ ეს შეთანხმება არ უნდა იყოს ხელოვნური და თავს მოხვეული.

სიტუაციური ამოცანა

სიტუაციური ამოცანა ჯგუფური მუშაობის რთული ფორმაა. ამ დროს ჯგუფური მუშაობის წესი და სტრუქტურა იგივე რჩება, რთულდება მხოლოდ თემა, რომელიც ჯგუფს სიტუაციური ამოცანის სახით მიეცემა (სიტუაციურ ამოცანას მასწავლებელი, საჭიროებისამებრ, საკუთარი შეხედულებიდან, კლასის ინტერესებიდან გამომდინარე ირჩევს ან იგონებს).

თითოეულმა ჯგუფმა უნდა გააანალიზოს შემოთავაზებული სიტუაცია, მიიღოს საერთო გადაწყვეტილება, იპოვოს გამოსავალი და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნა, რისთვისაც ჯგუფმა უნდა იმუშაოს შეთანხმებულად და მიაღწიოს კონსენსუსს.

თუ ჯგუფის წევრებს უჭირთ შეთანხმება, მასწავლებელმა შეიძლება მათ შესთავაზოს კენჭისყრის წესის ხერხი:

4-5 კაციანი ჯგუფის ყველა წევრი თითო ხმის უფლებით სარგებლობს. წინადადება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, ჯგუფურ გადაწყვეტილებად ჩაითვლება. შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღება მოხდეს გამსვლელი ხმების წინასწარ დადგენილი რაოდენობით (ორი მესამედი).

კონსენსუსი შეთანხმების ის ფორმაა, როცა გადაწყვეტილების მიღებისას ყველა ერთსულოვანია. იგი დემოკრატიული პროცესია.

დაუსრულებელი ისტორია

დაუსრულებელი ისტორია ჯგუფური სამუშაოს ერთ-ერთი საინტერესო ფორმაა, რომელიც საუკეთესოა მოსწავლის ფანტაზიისა და შემოქმედებითი აზროვნების გასავითარებლად. იგი ჯგუფური სამუშაოსთვის დამახასიათებელი ყველა უნარ-ჩვევის გამოყენებას მოითხოვს.

ჯგუფები ყურადღებით ისმენენ მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ ამბავს, რომლის დასასრულებლად ეძლევათ 15 წთ.

ეს საკმაოდ რთული პროცესია, რომლის დროსაც ჯგუფის წევრები მსჯელობენ, აზროვნებენ, გამოთქვამენ და ასაბუთებენ საკუთარ აზრს და იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს, თანხმდებიან და ერთად იგონებენ ამბის დასასრულს. შემდეგ წერილობით აყალიბებენ ამბის უკვე შეთანხმებულ განვითარებას. შესაძლებებლია, ნამუშევარი ილუსტრაციით გააფორმონ, რათა იგი პრეზენტაციისთვის უფრო საინტერესო გახდეს.

როლებით თამაში

როლებით თამაში მოსწავლის (ან მასწავლებლის) მიერ შექნილი პატარა იმპროვიზებული წარმოდგენაა, რომლის მიზანია კონკრეტული სიტუაციისა და ამბის გაცოცხლება. იგი საშუალებას იძლევა, უკეთ წარმოვიდგინოთ, გავიაზროთ და გავაანალიზოთ მოცემული ამოცანა.

სავარჯიშოსთვის მასწავლებელი შეარჩევს რეალური ცხოვრებიდან აღებულ ამბავს ან ტექსტს (სცენას) მასალიდან. შესაძლებელია მასწავლებლმა ან მოსწავლეებმა თავად მოიფიქრონ ისტორია საჭირო თემაზე და გაითამაშონ იგი.

მასწავლებელი თვალს ადევნებს როლების განაწილებას და მოქმედების განვითარებას. მოსწავლეები შემოქმედებითად უნდა მიუდგნენ თავიანთ როლებს, რაც იმის გარანტიაა, რომ ისინი კრიტიკულად განეწყობიან როგორც საკუთარი პერსონაჟის, ისე სხვა მოქმედი გმირების მიმართ. ბუნებრივია, მათ გაუჩნდებათ შეკითხვები, რომლებზედაც ძნელია ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა.

იმართება დისკუსია, რომლის დროსაც მოსწავლეები აქტიურად განიხილავენ და მსჯელობენ აღებული თემის ირგვლივ. არ უნდა დავუშვათ, შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ყველა შეკითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა შეიძლებოდეს. სულაც არ არის აუცილებელი, გამოთქმული აზრი გაიზიაროს ყველა მოქმედმა გმირმა. შეთანხმება არ უნდა იქცეს თვითმიზნად და არ უნდა ვეცადოთ მის ხელოვნურად მიღწევას.

საკითხი, რომელზედაც შეთანხმება ძნელია, შეიძლება ღიად დარჩეს.

სიტუაციის მოდელირება

სიტუაციის მოდელირება შეიძლება განვიხილოთ, როგორც როლებით თამაში, რომელშიც უკლებლივ მთელი კლასი მონაწილეობს. ის საშუალებას იძლევა, მოსწავლეებმა გამოსცადონ საკუთარი თავი და შესაძლებლობები „ექსტრემალურ" სიტუაციებში.

სიტუაციის მოდელირება მონაწილეთაგან დიდ ძალისხმევასა და მონდომებას მოითხოვს, ამიტომ იგი მეტად შთამბეჭდავია და დიდ ზემოქმედებას ახდენს მის მონაწილეებზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოდელირების შემდგომი ანალიზი. „მსახიობებმა" უნდა იმსჯელონ საკუთარ გრძნობებზე (რატომ გადაწყვიტეს ემოქმედათ ამგვარად, გრძნობდნენ თუ არა უხერხულობას და რამდენად მისაღებია მათთვის პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა).

მასწავლებელი ამ შემთხვევაში უნდა დაეხმაროს მათ, რათა მონაწილეებმა შეძლონ, განცდილი დააკავშირონ რეალობასთან.

საკლასო დისკუსია

ინტერაქტიური მეთოდიკის ერთ-ერთ ეფექტიან ხერხს წარმოადგენს საკლასო დისკუსია. იგი ხელს უწყობს ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: აქტიური მოსმენა, საკუთარი აზრის გამოთქმა და არგუმენტაცია, მსჯელობა, სხვისი მოსმენა-გათვალისწინება, განსხვავებული აზრის გაზიარების უნარი.

დისკუსიის წარმატებით ჩატარებისთვის საჭიროა კლასში იყოს ნდობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო, სადაც, პირველ ყოვლისა, მასწავლებელი უნდა იყოს მისაბაძი მაგალითი.

დისკუსიის სწორად წარმართვისათვის აუცილებელია მისი ორგანიზება და რეგულირება, დისკუსიის მონაწილენი უნდა იცავდნენ წესებს, რომლებსაც მასწავლებელთან ერთად თავად ჩამოაყალიბებენ. წესების ჩამონათვალი შეიძლება ამგვარი იყოს:

1. როცა ერთი ლაპარაკობს, სხვები უსმენენ;
2. აიწიე ხელი, როცა რაიმეს თქმა გსურს;
3. არ გააწყვეტინო სხვას სიტყვა;
4. არ უნდა გაიცინო, როცა სხვა ლაპარაკობს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი ხუმრობს;
5. კამათში ყველა მონაწილეობს;
6. და სხვა წესები (რომლებსაც კლასი დამატებით შემოგვთავაზებს).

დისკუსია იწყება მოტივაციით, რომელიც გულისხმობს:
პრობლემის დასმას ან კონკრეტული შემთხვევის აღწერას, ლექსის ან სიტუაციური ამოცანის წაკითხვას, ილუსტრაციების ჩვენებას, მელოდიების მოსმენას.

მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კიხვებს: რა? როგორ? რატომ? რა მოხდებოდა, რომ...? რამ იქონია გავლენა? არის თუ არა ალტერნატივა?

დისკუსიის მსვლელობა:

- იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ხმაური და ქაოსი გაკვეთილზე, თითოეულ მონაწილეს შეუძლია გამოსვლა წამყვანის, მასწავლებლის ან კლასის მიერ არჩეული ლიდერის ნებართვით;
- გამომსვლელმა უნდა დაიცვას რეგლამენტი;
- დაუშვებელია მონაწილეებს შორის დაპირისპირება;
- დისკუსიის მონაწილეები უნდა შეეცადონ, რომ თითოეული აზრი იყოს დასაბუთებული და ფაქტებით განმტკიცებული;
- თითოეულ მონაწილეს უნდა მიეცეს აზრის გამოთქმის საშუალება;
- თითოეული გამონათქვამი ყურადღებით უნდა იყოს განხილული;
- განხილვა მოითხოვს კორექტულობას, ურთიერთპატივისცემას;
- დაუშვებელია დამამცირებელი გამონათქვამები.

თუ დიალოგი დაიძაბა, მაშინ დისკუსია უნდა წარიმართოს სამოქალაქო ღირებულებებზე დაყრდნობით. მაგალითად, თუ მოსწავლეები მსჯელობენ ჩაცმის კულტურაზე, კერძოდ, სკოლაში გამომწვევი ჩაცმულობის აკრძალვაზე, კარგი იქნება, ჯერ გავარკვიოთ, თვლიან თუ არა ისინი, რომ სკოლამ უნდა გაითვალისწინოს ამა თუ იმ საკითხზე მოსწავლის შეხედულება.

ყველა მოსწავლეს აქვს უფლება, გამოთქვას საკუთარი აზრი. დისკუსიის დროს ყურადღება გაამახვილეთ სამოქალაქო ღირებულებებზე, აღნიშნეთ, ვის აქვს უფლება, გამოიტანოს გადაწყვეტილება.
გავრცელებულია დისკუსიის შემდეგი ფორმები:

„მრგვალი მაგიდა" – საუბარი, რომელშიც თანაბარ საწყისებზე მონაწილეობს მოსწავლეთა მცირე ჯგუფი (4-5 კაცი), ხდება აზრთა ურთიერთგაცვლა, როგორც ერთმანეთთან, ასევე – კლასთან.

„პანელური დისკუსია" – ჯგუფს ჰყავს წინასწარ არჩეული ლიდერი. ჯგუფი საკითხს განიხილავს დამოუკიდებლად და შემდეგ წარუდგენს კლასს. ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს თავისი მოსაზრებების საჯაროდ გამოთქმის უფლება.

„ფორუმი" – ჰგავს პანელურ დისკუსიას, რომლის დროსაც ჯგუფი ახდენს აზრთა და იდეათა ურთიერთგაცვლას კლასთან.

„სიმპოზიუმი" – მონაწილეები გამოდიან ინფორმაციებითა და დასკვნებით,

ისინი გამოთქვამენ საკუთარ თვალსაზრისს ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ, აგრეთვე, უპასუხებენ კლასის შეკითხვებს.

დებატები

დებატები – დისკუსიის ერთ-ერთი ფორმაა და აგებულია მონაწილეთა წინასწარ დაგეგმილ გამოსვლებზე. წამომადგენლებს ირჩევენ ჯგუფიდან. კამათი იწყება ორი დაპირისპირებული მხარის თითო წარმომადგენლის გამოსვლით. მათ შემდეგ ტრიბუნა ეთმობათ თითოეული მხარის სხვა მონაწილეებსაც შეკითხვებისა და კომენტარებისთვის. მასწავლებელმა თითოეული გამომსვლელისთვის უნდა დაადგინოს განსაზღვრული დრო.

როგორც წესი, დებატების დაწყებამდე და მისი დასრულების შემდგომ კლასის საერთო შეხედულება ფასდება, მაგალითად:

პოზიცია:	დებატების დაწყებამდე	დებატების დასასრულს
გამართლებულია გაუმართლებელია ზოგჯერ გამართლებულია, ზოგჯერ გაუმართლებელია		

დებატების გამოყენება

მაგალითად, სიკვდილით დასჯის თემა საკმაოდ აქტუალურია კულტურული, პოლიტიკური და, ზოგადად, ღირებულებითი თვალსაზრისით, ამიტომ, ბუნებრივია, მოსწავლეები თემის გარშემო მრავალფეროვან ინფორმაციას იკვლევენ. ერთნი სიკვდილით დასჯის გამამართლებელ არგუმენტებს იპოვიან, მეორენი, პირიქით, – სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგო არგუმენტებს. შესაძლოა ისე მოხდეს, რომ ორივე გუნდის არგუმენტები მესამემ საკუთარი პოზიციების დასაცავად გამოიყენოს. ამ ასაკის ბავშვებისათვის დამახასიათებელი მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმის მიუხედავად, აქტიური მეთოდებით ჩატარებული ოცამდე თემის გავლის შემდეგ კლასი საკმაოდ გახსნილი და გულახდილი იქნება. ბავშვები პიროვნული ამბიციებისა და ახირებების მიხედვით კი არ აირჩევენ, არამედ – არგუმენტებისა და კრიტერიუმების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.

მასწავლებლის მისიაა, მოსწავლეებს დებატებით სწავლების სტრატეგია დაანახოს, „ამოგზაუროს" შემეცნების ამ უაღრესად საინტერესო გზაზე, სადაც ცოდნის, განცდის, ემოციისა და დამოკიდებულების სინთეზი მიიღწევა.

მაინც, რა უპირატესობა აქვს დებატებს?

- დებატები სასწავლო პროცესის შესახებ ფიქრი და მასზე დაკვირვებაა. მოსწავლეებმა ბავშვობის ასაკიდან უამრავი რამ ისწავლეს. თავიდან ყველაფერი ერთი სიტყვის წარმოთქმით დაიწყო, შემდეგ ყველაფერი გამრავლდა და გაიშალა. დებატები არის ის საშუალება, რომელიც დასაშვებისა და დაუშვებელის, ნაწილისა და მთელის, სიტყვისა და საქმის პრინციპებს შეისწავლის, უკიდურესობებს გამოკვეთს და მსგავსება-განსხვავებებს წარმოაჩენს.
- დებატები ინფორმაციის მოპოვების ეფექტიანი მეთოდია. მოსწავლემ დებატებში წარმატებისათვის უამრავი ახალი მასალა უნდა მოიძიოს, აქტიურად უსმინოს ოპონენტის ინფორმაციას და ის დიალოგის წარმართვისათვის გამოიყენოს.
- დებატები საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ იდეები ზედმეტი რისკის გარეშე. ჩვეულებრივი კამათი შეიძლება კონტროლს აღარ დაემორჩილოს. დებატებისას პროცესები სრულად კონტროლდება. თავდაპირველად მოსწავლეებს წესები საკმაოდ მკაცრი და ძნელად დასაცველი ეჩვენებათ, მაგრამ მათ გარეშე სამართლიანობის შენარჩუნება და პირადი შეურაცხყოფის გამორიცხვა შეუძლებელია.
- დებატები იძლევა კამათის ხელოვნების პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში ასე მნიშვნელოვანია ადამიანისათვის. დებატებისათვის საჭირო უნარები აუცილებელია როგორც პროფესიული განვითარებისათვის, ასევე, ზოგადად, სამოქალაქო ცხოვრებისათვის. ლოგიკურ მსჯელობაზე, დამამტკიცებელ მასალაზე, მაგალითებსა და სტატისტიკურ მონაცემებზე დაფუძნებული დასკვნა, ანუ არგუმენტებისა და მტკიცებულებების ერთობლიობა, ქმნის პოზიციას, მტკიცეს ან მერყევს.

მეთოდი „კუთხეები„

მეთოდი „კუთხეები" გამოიყენება საკლასო დისკუსიის წარმართვისას, კამათის პროვოცირებისა და ჯგუფებს შორის პაექრობის გასაჩაღებლად ორი ან მეტი პოზიციის არსებობისას. ეს სავარჯიშო აქტიურად და ხალისიანად სრულდება. ეს მეთოდი, აგრეთვე, კარგია კლასში ტექსტის კითხვის, ლექციის მოსმენის, ფილმის ჩვენების შემდეგ შთაბეჭდილებების შესაფასებლად, განსხვავებული თვალსაზრისის დასაფიქსირებლად.

მეთოდი „კუთხეები" მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოთქვან საკუთარი აზრი და დაიცვან თავიანთი პოზიცია, აგრეთვე, ყურადღებით მოუსმინონ სხვების არგუმენტებს და ამის მიხედვით გარკვეული მსჯელობის შემდეგ გაიზიარონ ან არ გაიზიარონ განსხვავებული მოსაზრებები (შეცვალონ ან არ შეცვალონ საკუთარი პოზიცია).
პედაგოგი მოსწავლეებს სთავაზობს სადისკუსიო თემას. მოსწავლეები ინდივიდუალურად ირჩევენ გარკვეულ პოზიციას და იკავებენ საკლასო ოთახში „ამ პოზიციისათვის" განკუთვნილ ადგილს (შესაძლებელია არჩეულ იქნეს

საკლასო ოთახის კუთხეები, მერხები, სადაც კეთდება პოზიციის აღმნიშვნელი წარწერა).

დაჯგუფებული მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს და იწყებენ ჯგუფში მსჯელობას, რათა შემდეგ დაასაბუთონ თავიანთი ვერსია არგუმენტებით (შესაძლებელია, დასაბუთება წერილობით მოხდეს). მოსწავლეები უნდა შეეცადონ, პრეზენტაცია რაც შეიძლება დამაჯერებელი და საინტერესო იყოს.
საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი ეხმარება ჯგუფებს.

მოსწავლეებს შეუძლიათ დისკუსიის მსვლელობისას შეიცვალონ შეხედულება – გადაადგილდნენ ერთი კუთხიდან მეორეში და იმ ჯგუფში გადაინაცვლონ, რომლის მოსაზრებასაც ახლა ეთანხმებიან.

მოსმენის და კამათის დროს მოსწავლეებმა სასურველია გააკეთონ ჩანაწერები, რაც დაეხმარება მათ პოზიციის წერილობით გამოხატვასა და დაცვაში.

„მოზაიკა„

აქტივობა შედგება 4 ეტაპისგან:

I ეტაპი: ძირითადი ჯგუფების შედგენა და მასალის განაწილება.

კლასი იყოფა 4-კაციან ჯგუფებად. ჯგუფის თითოეულ წევრს ურიგდება მასალა, რომელიც ერთი მთლიანი ინფორმაციის (ტექსტის) რაღაც ნაწილს შეადგენს და აქვს გარკვეული რიგითი ნომერი (I, 2, 3, 4). მან ინდივიდუალურად 10 წთ-ის განმავლობაში უნდა დაამუშაოს იგი, შეისწავლოს, რათა შეძლოს მიღებული ინფორმაცია სხვასაც გადასცეს.

II ეტაპი: ექსპერტთა ჯგუფების მიერ მასალის შესწავლა.

ამ ეტაპზე ხდება ე.წ. „ექსპერტთა ჯგუფების" ჩამოყალიბება. ვინც ამუშავებს №1 ინფორმაციას, ერთიანდება მაგიდის ირგვლივ, რომლის რიგითი ნომერია 1, ვისაც აქვს ინფორმაცია №2, იკრიბება მეორე მაგიდის გარშემო და ა.შ. აქედან გამომდინარე, თითოეული მაგიდის ირგვლივ აღმოჩნდებიან ერთი და იმავე ინფორმაციის მქონე მოსწავლეები ოთხივე ჯგუფიდან, რომლებიც შემდგომში გადაიქცევიან ე.წ. ინფორმაციის „ექსპერტებად". ისინი ერთად კითხულობენ და კიდევ ერთხელ სწავლობენ საერთო მასალას, ეძებენ ამ მასალის სხვებისთვის გადაცემის საუკეთესო და ეფექტიან გზებს, მეთოდებს. წერენ გეგმას, ხაზავენ სქემებს და ა.შ.

III ეტაპი: ძირითად ჯგუფებში დაბრუნება მიღებული ცოდნის გადაცემის მიზნით.

მოსწავლეები ბრუნდებიან თავ-თავიანთ ძირითად ჯგუფებში და რიგითი ნომრის დაცვით (ჯერ გადასცემს I ნომერი, შემდეგ– II და ა.შ.) წარუდგენენ თავიანთ მასალას ერთმანეთს. ჯგუფის მიზანია, მისმა ყველა წევრმა სრულყოფილად აითვისოს თითოეული წევრის, „ექსპერტის" მიერ დამუშავებული მასალა.

IV ეტაპი: ინდივიდუალური და ჯგუფური პასუხისმგებლობა, მიღებული ცოდნის შეფასება.

ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია სათანადოდ აითვისოს თანაგუნდელების მიერ მოწოდებული მთელი ინფორმაცია (მოზაიკაც სწორედ ამიტომ ჰქვია, ნაწილებიდან – მთლიანისაკენ). მიღებული ცოდნა შეიძლება შემოწმდეს სხვადასხვა გზით (მაგ.: წერილობითი ფორმით, ზეპირი თხრობით, კითხვა-პასუხით და სხვა სახის წარდგინებით).

ვენ-დიაგრამა

გამოიყენება ორი ისეთი ცნების შესადარებლად, რომელთაც როგორც საერთო, ისე განსხვავებული ნიშნები აქვთ. მაგ.: 2 პერსონაჟის, მოვლენის, ცნების და ა.შ. დიაგრამა საშუალებას იძლევა დადგინდეს საერთო და განმასხვავებელი (თვისებები, ნიშნები) მათ შორის. მაგ.: მარცხენა რგოლში იწერება ყველა ის ნიშანი, რომელიც დანაშაულს ახასიათებს, მარჯვნივ – შეცდომის მახასიათებლები. შუაში (რგოლების გადაკვეთის ადგილას) – ყველაფერი, რაც საერთოა დანაშაულისა და შეცდომისათვის.



ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე

ნასწავლი მასალის შეჯერების, გამეორებისა და ცოდნის განმტკიცების მიზნით მასწავლებელს შეუძლია ეფექტიანად გამოიყენოს სქემა: „ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე".

სამუშაო სრულდება ინდივიდუალურად, წყვილებსა ან ჯგუფებში. ფურცელი ან დაფა იყოფა 3 ვერტიკალურ გრაფად, რომელთაც ვაწერთ: „ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე".

ვიცი	ვისწავლე	მინდა ვიცოდე

მასწავლებელი მოსწავლეებს მოკლედ უხსნის მათ წინაშე დასმულ ამოცანას და, თუ საჭიროდ ჩათვლის, სვამს კითხვებს პროვოცირებისთვის.
ამის შემდეგ მოსწავლეები თანმიმდევრობით ავსებენ სამივე გრაფას: „ვიცი" გრაფაში წერენ ყველაფერს, რაც მათ იცოდნენ განსახილველი სკითხის შესახებ. „ვისწავლე" გრაფაში წერენ იმას, რაც შეიტყვეს ახალი, ხოლო „მინდა ვიცოდე" გრაფაში წერენ იმას, რაც მათ აინტერესებთ (რასაც შეიძლება შეკითხვის სახეც ჰქონდეს).
თუ სავარჯიშო სრულდება ჯგუფებში, სამუშაოს დამთავრების შემდეგ ხდება პრეზენტაცია, რომლის დროსაც ჯგუფები არ იმეორებენ უკვე თქმულს, არამედ ავსებენ მათ თავიანთი ინფორმაციით.
სავარჯიშო განსაკუთრებით კარგი და მოსახერხებელია ერთი რომელიმე კონკრეტული თემის შესაჯამებლად, წინა კლასებში განვლილი მასალის გასახსენებლად და ახალ ნასწავლთან დასაკავშირებლად, ანალიტიკური და კვლევითი უნარის გასავითარებლად.

T დიაგრამა

ეს სქემა მასწავლებელმა შეიძლება მრავალმხრივ გამოიყენოს. იგი ძალზე მოსახერხებელია საპირისპირო მოსაზრებათა გამოსათქმელად, მოვლენებისა თუ ფაქტების შესაპირისპირებლად და შესადარებლად, მოქმედ გმირთა დასახასიათებლად.

T სქემა საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ დაპირისპირება განსახილველ საკითხებს (ფაქტებს, მოვლენებს, ადამიანებს, საგნებს და ა.შ.) შორის.

სავარჯიშო კარგია ინფორმაციის დასახარისხებლად (ვთქვათ, დადებითად და უარყოფითად) და დასაჯგუფებლად. სამუშაო სრულდება ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად, მასწავლებლის შეხედულებისამებრ: დაფაზე, რვეულში ან თაბახის ფურცელზე. ივსება ჯერ სქემის მარცხენა მხარე (5 წთ.), შემდეგ – მარჯვენა (5 წთ.).



აზრობრივი რუკა

აზრობრივი რუკის მიზანია კონკრეტულ საკითხებზე მოსწავლეთა (კლასის) ცოდნის დადგენა-შემოწმება. იგი ხელს უწყობს არსებული ინფორმაციის შეკრება-მობილიზებას, ახალი იდეების დაბადებასა და გამოხატვას.

წრის შუაგულში იწერება ერთი ან ორი სიტყვა (ნაწარმოების სათაური, საკვანძო სიტყვა, გამონათქვამი, პერსონაჟის სახელი, ადგილის სახელწოდება და ა.შ...), ირგვლივ კი - ყველა აზრი, რომელიც ამ სიტყვას უკავშირდება.



აზრობრივი რუკა წარმოადგენს ეფექტიან საშუალებას პერსონაჟის, მოვლენის, იდეის დასახასიათებლად. იგი შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლეთა მოტივაციისთვის.

„რეიტინგი"

მეთოდი გამოიყენება კლასისათვის კონკრეტული ინფორმაციის მისაწოდებლად ან ჯგუფებში მიზანმიმართული დისკუსიის წახალისება-სტიმულირებისათვის. მასწავლებელი წინასწარ ამზადებს ბარათების კომპლექტს – თითოეული ჯგუფისთვის 9 ბარათს და განსახილველ თემასთან დაკავშირებულ 9 მოსაზრებას (თითო წინადადებას წერს თითო ბარათზე).

ჯგუფებში განიხილავენ შემოთავაზებულ მოსაზრებებს და ალაგებენ მათ მნიშვნელობის ხარისხის მიხედვით. რეიტინგის სქემას შეიძლება კიბის ან მრავალკუთხედის ფორმა მიეცეს. საფეხურებრივი რეიტინგის შედგენისას ყველაზე მნიშვნელოვანი მოსაზრება სულ ზემოთ თავსდება, მის ქვემოთ მასზე ნაკლებ მნიშვნელოვანი, მომდევნო საფეხურზე – კიდევ უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი და ა.შ. ყველაზე უმნიშვნელო გამონათქვამი ყველაზე ქვემოთ აღმოჩნდება.

საფეხურებრივი რეიტინგი

„მრავალწახნაგა" რეიტინგის შედგენისას, თავდაპირველად, უნდა განისაზღვროს, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი მოსაზრება, შემდეგ მნიშვნელობით მისი მომდევნო ორი გამონათქვამი, შემდეგ – სამი საშუალოდ ძლიერი მოსაზრება, შემდეგ ორი მომდევნო და ბოლოს – ყველაზე უმნიშვნელო.

მრავალწახნაგიანი რეიტინგი

საკითხების ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯვნა, როგორც წესი, ძალიან რთულია. აქედან გამომდინარე, რეიტინგის ამგვარი ფორმა უფრო პირობითი და მისაღებია მოსწავლისათვის. გარდა ამისა, იგი კონსენსუსის მიღწევის მეტ

შესაძლებლობასაც იძლევა. რეიტინგის შედგენისას შეიძლება ბარათებზე 8 მოსაზრება დაიწეროს, ერთი ბარათი კი ცარიელი დარჩეს და ის თავად მონაწილეებმა შეავსონ.

პროექტები

პროექტი – კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაო,რომელშიც წარმმართველია კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარების განვითარება. ეს მეთოდი საშუალებას იძლეოდა და იძლევა აქტიური და მიზანმიმართული სწავლისა.

მოსწავლეები მუდმივად სვამენ შეკითხვებს: რატომ გვასწავლით ამა თუ იმ საკითხს? რაში გამომადგება ეს ცოდნა? მასწავლებლებს უჭირთ ამ კითხვებზე დამაჯერებელი და არგუმენტირებული პასუხის გაცემა. ამ პრობლემის მოგვარებაში მასწავლებელს დაეხმარება იმის ცოდნა, თუ როგორ ამუშაოს მოსწავლეები სასწავლო პროექტზე. პროექტზე მუშაობისას მოსწავლეები რეალური პრობლემის გადასაჭრელად შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იყენებენ. პროექტით სწავლება იწვევს მოსწავლეთა მოტივაციას და ზრდის მათ პასუხიმგებლობას. ისინი ხალისით ასრულებენ სამუშაოებს და შეუძლიათ ხანგრძლივად იმუშაონ დასმულ საკითხებზე.

საკითხებს მოსწავლეები ხანგრძლივი დროის (ერთი ან რამდენიმე კვირის) განმავლობაში ამუშავებენ და შემდგომ წარუდგენენ მთელ კლასს ან უფრო ფართო აუდიტორიას. პროექტები ეხმარება მოზარდს რეალურ ცხოვრებაში გამოიყენოს მიღებული ცოდნა და გამოცდილება დასახული მიზნის მისაღწევად.

პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუკი მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი (მაგ.: წერილობითი დოკუმენტი, მაკეტი, ინსცენირება, დებატები, აქცია, თანმიმდევრული ღონისძიებები და ა.შ.).

მასწავლებელი სასწავლო პროექტების მიმდინარეობისას კონსულტანტის როლს ასრულებს, ხელმძღვანელობს სამუშაოებს, ძიებისა და კვლევის დროს აძლევს მიმართულებას. ასევე, იგი უთითებს საინფორმაციო წყაროებს.

პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეს სჭირდება შემოქმედებითობა, საინფორმაციო სივრცეში ორიენტაციისა და დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევები.
სასწავლო პროექტის დაგეგმვის დროს მასწავლებელი ითვალისწინებს:

- რამდენად მნიშვნელოვანია პრობლემა, რომელიც კვლევას ითხოვს;
- მოსალოდნელი შედეგების ნოვაციურობას (ობიექტურს ან სუბიექტურს);
- პროექტზე მუშაობის დროს გამოყენებული მეთოდების კავშირს კვლევასთან;
- არჩევანის საშუალების არსებობას, რაც მოსწავლეთა პასუხისმგებლობის ზრდას იწვევს.

პროექტი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ერთი საგნის ფარგლებში; რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია);
მასწავლებელი-მოსწავლეები დამოკიდებულების მხრივ შეიძლება გამოიყოს სამი ტიპის სასწავლო პროექტი:

1. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს გამზადებულ პროექტს. იგი თავად განსაზღვრავს პრობლემას, სახავს მისი გადაჭრის სტრატეგიასა და ტაქტიკას. მოსწავლე კი დამოუკიდებლად გადაჭრის პრობლემას;

2. მასწავლებელი სვამს პრობლემას, მოსწავლე დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის მეთოდებს და პრობლემის გადაჭრის გზებს;

3. მოსწავლე განსაზღვრავს პრობლემას, დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის მეთოდებსა და პრობლემის გადაჭრის გზებს.

პროექტის სტრუქტურა

პროექტის აღწერა

პროექტის აღწერა არის მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილი. აღნიშნული პუნქტი სასურველია დაიყოს ქვეპუნქტებად, რომლებშიც გაერთიანდება შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) **პრობლემის განსაზღვრა** (იდენტიფიკაცია) – გულისხმობს იმ კონკრეტული პრობლემის ხაზგასმას, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული თქვენი პროექტი.
ბ) **მიზანი** – გულისხმობს ფართო, ზოგად დებულებას იმის შესახებ, თუ რის მიღწევა გსურთ. პროექტის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ისეთი სასურველი გარემოს ან პირობების შექმნა, რომლებიც ლოგიკურ კავშირში იქნება (მიმართული იქნება) ზემოაღწერილ პრობლემასთან.
გ) **ამოცანები** – გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად. აქ უნდა მიუთითოთ, რა ამოცანების გადაჭრას ისახავთ თქვენს პროექტში მითითებული მიზნის მისაღწევად. მიზნის მისაღწევად შეიძლება დაისახოთ ერთი, ორი ან რამდენიმე ამოცანა იმის გათვალისწინებით, თუ როგორია თქვენი პროექტის სპეციფიკა.
დ) **განხორციელების გზები** – გულისხმობს კიდევ უფრო კონკრეტულ ნაბიჯებს თქვენ მიერ დასმული ამოცანების შესასრულებლად. განხორციელების გზები არის პროცესი, რომელმაც უნდა უპასუხოს კითხვებს:
   1) „როგორ?" - როგორ განახორციელებთ თქვენი პროექტის ამოცანებს?

2) „ვინ” - ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში და რა არის მათი ფუნქციები პროექტში?

პროექტის შესრულების ვადები

უნდა შეიცავდეს პროექტის დროში განაწილებულ მსვლელობას. მასში უნდა აისახოს ეტაპებად დაყოფილი პროექტის შესასრულებლად გასაწევი საქმიანობა, განაწილებული დღეების, კვირების, თვეების მიხედვით, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მოსალოდნელი შედეგები

ამ ნაწილში აღწერეთ ის სავარაუდო ეფექტი ან მოსალოდნელი შედეგი, რომელიც მოჰყვება პროექტის წარმატებით განხორციელებას.

მონიტორინგი

ამ ნაწილში უნდა მიუთითოთ, თუ როგორი იქნება კონკრეტულად თქვენი პროექტის განვითარებაზე თვალყურის დევნების (მონიტორინგის) მექანიზმი და პერიოდულობა.

შეფასება

მიუთითეთ ის სავარაუდო კრიტერიუმები (მაჩვენებლები), რომლებიც განსაზღვრავენ თქვენი პროექტის წარმატებას.

პროექტის შეფასების კრიტერიუმები:

პრობლემის იდენტიფიცირება;
თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება;
ინფორმაციის მოძიების უნარი;
კვლევების დაგეგმვისა და ჩატარების უნარი;
საზოგადოებასა და შესაბამის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის უნარი;
ჯგუფის შემოქმედებითი უნარი;
მოძიებული ინფორმაციის კლასიფიკაციის და ინტერპრეტაციის უნარი;
კვლევის შედეგების ანალიზის უნარი;
პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება;
გადაწყვეტილებების მიღება;
წარმოდგენილი ნამუშევრის ორგანიზება;
მოსწავლეების მიერ შექმნილი თვალსაჩინოებები.

მასწავლებლებისა და სამართალდამცავების საყურადღებოდ:

- **უპირველესად, პროგრამის დაწყებამდე სულ მცირე 1 კვირით ადრე, სკოლის ადმინისტრაციამ და დამრიგებლებმა უნდა უზრუნველყონ თითოეული კლასის მშობლების/მეურვეების საინფორმაციო შეხვედრები პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელსა და სამართალდამცველთან. აღნიშნულ შეხვედრას უნდა ესწრებოდნენ სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრები. შეხვედრის დროს მშობლებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია სამართლებრივი კულტურის პროგრამის მიზნების, შინაარსისა და პროცესის შესახებ. არსებითია, რომ მშობლები დარწმუნდნენ სკოლისა და სამართალდამცველის საგანმანათლებლო თანამშრომლობის სარგებლიანობაში. საინფორმაციო შეხვედრის მიზნის უკეთ მისაღწევად შესაძლებელია, მასწავლებელმა და სამართალდამცველმა აუდიტორიას წარუდგინონ რამდენიმე აქტივობა სამართლებრივი კულტურის საგანმანათლებლო პროგრამიდან.**
- **მოეპყარით ბავშვებს ისე, როგორც თქვენ ისურვებდით, რომ თქვენს საკუთარ შვილებს მოპყრობოდნენ.**
- კარგი იქნება, თუ შეძლებთ სამართლებრივ კულტურასთან დაკავშირებული ღირებულებების ინტეგრირებულ სწავლებას. ამისთვის პროგრამის ფარგლებში შესასწავლი თემები უნდა გააცნოთ საბაზო საფეხურის სხვადასხვა საგნის პედაგოგს და ერთად დაგეგმოთ, თუ როგორ გამოიყენებთ მოცემულ მასალას ცალკეულ დისციპლინაში. მაგ.: ბუნებისმეტყველებასთან შესაძლებელია ჯანსაღი ცხოვრების წესის ინტეგრირება. ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე შესაძლებელია კანონმორჩილი ადამიანის დამახასიათებელი თვისებების გამოკვეთა შესასწავლ პერსონაჟთან მიმართებით. მაგ.: მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, ვინ არის ნაწარმოების გმირი (გმირები)? როგორ არის ნაწარმოებში წარმოჩენილი კონფლიქტების არსი? როგორია ეს კონფლიქტები – მატერიალური, ინტელექტუალური, მორალური თუ ემოციური? ისტორიულ ჭრილში შევასწავლოთ მოსწავლეებს ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიები, მათი მოქმედების კანონიერება, რა გავლენას ახდენენ ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ა.შ..
- საგაკვეთილო პროცესს მიუდექით შემოქმედებითად; თუ გაკვეთილში გაწერილი ყველა აქტივობა ერთი 45-წუთიანი გაკვეთილის განმავლობაში ვერ ესწრება, შეგიძლიათ აირჩიოთ ესა თუ ის აქტივობა/სავარჯოშო, რომელსაც განახორციელებთ.
- სასურველია, მოსწავლეებს გააცნოთ ყოველი თემის მიზნები და დაუკონკრეტოთ, რა უნარ-ჩვევები უნდა განუვითარდეთ მათ შესასწავლ მასალასთან მიმართებით. გაკვეთილის მიზნები მოსწავლეებს უნდა მივაწოდოთ მათთვის გასგები ენით.
- იყავით გულწრფელი, კეთილგანწყობილი და შემწყნარებელი, ნუ იქნებით მეტისმეტად სერიოზული, გაეხუმრეთ ხოლმე ბავშვებს, რომ მათ თქვენგან სითბო იგრძნონ.

- წინასწარ მოემზადეთ ყოველი დავალებისათვის. დაწყებამდე დარწმუნდით, რომ ყველა მონაწილეს კარგად ესმის, თუ რა მოეთხოვება. დავალების პირობის ახსნისას ნუ აჩქარდებით, დაწვრილებით განუმარტეთ მონაწილეებს, რა ევალებათ.
- საშუალება მიეცით მოსწავლეებს, წარმოადგინონ მათ მიერ შესრულებული სამუშაო და უპასუხონ კითხვებს. ეს დაგეხმარებათ იმის განსაზღვრაში, თუ რა ქმნის სავარჯიშოს სირთულეს.
- მაქსიმალურად გამოიყენეთ ვიზუალური მასალა. კედლებზე გააკარით მოსწავლეების ნამუშევრები, მნიშვნელოვანი ტერმინები, განმარტებები და სხვ.
- კარგად დააკვირდით ჯგუფის მუშაობას, დარწმუნდით, რომ ყველას კარგად ესმის შესასრულებელი დავალება. თუ საჭიროა, კიდევ ერთხელ აუხსენით, რა მოეთხოვებათ.
- დააცადეთ მონაწილეებს, გაიხსენონ, რაც უკვე იციან განსახილველი თემის შესახებ. ნუ მიაწვდით მოსწავლეებს ისეთ აზრებს, რომლებიც უკვე იციან ან შეუძლიათ მიხვდნენ. საშუალება მიეცით, საკუთარი დასკვნები გამოიტანონ.
- მოსთხოვეთ მათ იმუშაონ, რადგან იმის შეგნება, რომ შეძლეს დაკისრებული სამუშაოს შესრულება, სიამაყესა და საკუთარი თავის პატივისცემას გააღვიძებს მათში. დაიმახსოვრეთ, რომ რაც უფრო მკაფიო მითითებებს მისცემთ ბავშვებს, მით უკეთ შეასრულებენ ისინი დავალებებს.
- ჯგუფური მუშაობის დროს ხმაური, ჩვეულებრივ, ენთუზიაზმის ნიშანია. ენთუზიაზმი კი დავალებული სავარჯიშოს შესრულებას უნდა ემსახურებოდეს.
- მოკლედ მიმოიხილეთ წინა თემა ყოველ ახალ თემაზე გადასვლამდე.
- ყოველი თემის ირგვლივ მოცემული დეფინიციები ახსენით ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე.
- წაახალისეთ ბავშვები, საკუთარი სიტყვებით გადმოსცენ ამა თუ იმ ცნების განსაზღვრება, ამით თავიდან ავიცილებთ „გაზეპირების" პრობლემას.
- თუ დაგრჩათ შთაბეჭდილება, რომ ბავშვებმა ბოლომდე ვერ გამოთქვეს სათქმელი დროის სიმცირის გამო, მიეცით დავალება, რომ მათ შინ დაასრულონ სავარჯიშო.
- ეცადეთ, საგაკვეთილო პროცესში ჩართოთ არა მარტო აქტიური ბავშვები, რომლებიც უპასუხებენ ყოველ შეკითხვას, არამედ – პასიურებიც.
- კარგი იქნება, თუ გამოვიყენებთ კლასგარეშე მუშაობასაც, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებაში. ამგვარი სწავლების პროცესი ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა განხორციელდეს. უპირველესად, მოსწავლეებს უნდა განუვითაროთ ინფორმაციის მოპოვების უნარ-ჩვევა. მაგ.: შესაძლებელია მოსწავლეებმა თავად შეისწავლონ საკუთარი თემის, რაიონის, სოფლის, ქალაქის ცხოვრება. შეაგროვონ ახალი ამბები, გამოჰკითხონ მოქალაქეები, შეკრიბონ ინფორმაცია ადამიანთა ურთიერთობებზე, სამართალდამცავ საქმიანობაზე და სხვ. მათ შეუძლიათ დაწერონ იმ ადამიანთა ბიოგრაფიები, რომლებმაც გავლენა იქონიეს კანონიერების დამკვიდრებაზე. ასეთი კვლევის შედეგები შესაძლებელია დაიბეჭდოს გაზეთებში, გაშუქდეს რადიო-გადაცემებში, სპეციალურ პუბლიკაციებში.

- ეცადეთ, ზოგიერთი ხმაურიანი აქტივობის დასრულების შემდეგ ჯგუფი დააწყნაროთ და მხოლოდ შემდეგ გააგრძელოთ გაკვეთილი; შეგიძლიათ ეს არავერბალურად ანიშნოთ ბავშვებს, შეგიძლიათ, ხმადაბლა განუმარტოთ სათქმელი.
- გახსოვდეთ, რომ ყოველი აქტივობის ან განხილული თემის დამთავრების შემდეგ კარგი იქნება **უკუკავშირის** მიღება. ძირითადად ეს პროცესი ხორციელდება გაკვეთილის ბოლო, მესამე, გააზრების ეტაპზე. ამრიგად, უკუკავშირი არის გაკვეთილის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი. უკუკავშირის დროს მოსწავლეები ხელახლა გაიაზრებენ მთელ გაკვეთილს ან მის გარკვეულ ნაწილს. აფასებენ ჩატარებულ სამუშაოს.

ეს მეთოდები და რჩევები მოსწავლეებს ეხმარება იმაში, რომ გაკვეთილებზე სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეები იყვნენ და არა უბრალო მსმენელები.

თემა 1 – ვინ არის სამართალდამცველი

მიზანი

მოსწავლეებისათვის სამართლებრივი კულტურის პროგრამის მიზნების, მასში ჩართული პოლიციის თანამშრომლისა და მისი საქმიანობის, სამართალდამცველი ორგანოების არსებობის ისტორიულ-გეოგრაფიულ ასპექტების და საქართველოს პოლიციის საქმიანობის საფუძვლების გაცნობა.
მოსწავლეების მიერ თითოეული მოქალაქისა და მთელი საზოგადოებისთვის პოლიციის მნიშვნელობის გააზრება.

საჭირო რესურსები - ფურცლები, კალმები, მარკერები, დიდი ფორმატის ქაღალდები

ხანგრძლივობა - ერთი გაკვეთილი (აკადემიური საათი)

გაკვეთილის პროცესი

მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს სამართალდამცველს, რომელთან ერთადაც წარმართავს სამართლებრივი კულტურის საგანმანათლებლო პროგრამას. ერთმანეთის უკეთ გაცნობის მიზნით იგი ყველას სთავაზობს, მოკლედ იმსჯელონ, რისი ცოდნაა საინტერესო და მნიშვნელოვანი იმ პიროვნების შესახებ, რომელსაც პირველად ხვდებიან.

ამისათვის მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებსა და სამართალდამცველს, გონებრივი იერიშით განსაზღვრონ ადამიანის უკეთ გაცნობისთვის საჭირო ინფორმაციის კატეგორიები. მაგალითად, სახელი, ასაკი, სქესი, ეროვნება, ოჯახის როლი, რელიგია, გენდერული სტატუსი, ეთნიკური წარმომავლობა, სამსახური/სწავლა, მუსიკალური გემოვნება, ჰობი, სპორტი, ზოგადი სიმპათიები და ანტიპათიები და სხვ. მასწავლებელი ყველა მოსაზრებას ჩამოწერს დაფაზე (დრო – 5 წუთი).

შემდეგ მასწავლებელი მიმართავს კლასს კითხვით: „გონებრივი იერიშის დროს დასახელებული კატეგორიებიდან რომელი სამია ყველაზე მნიშვნელოვანი?" მიღებულ პასუხებს იგი რაიმე განსაკუთრებული აღნიშვნით გამოკვეთს თავდაპირველ ჩამონათვალში. მასწავლებელი შენიშნავს, რომ მიღებული შედეგი მიუთითებს მოზარდებისა და ზრდასრულების (ამ შემთხვევაში სამართალდამცველის) ინტერესების როგორც მრავალფეროვნებაზე, ისე მსგავსებებზეც. იქვე იგი სთხოვს სამართალდამცველს, გააცნოს საკუთარი თავი მოსწავლეებს წინა სავარჯიშოში გამოკვეთილი ყველაზე მნიშვნელოვანი სამი მახასიათებლის მიხედვით.

გაკვეთილის მე-2 ეტაპზე მასწავლებელი განმარტავს, თუ რას ნიშნავს/გულისხმობს ტერმინი სამართალდამცველი. იგი მოკლედ აცნობს მოსწავლეებს პოლიციის წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორიულ მიმოხილვას სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე (დრო – 7-10 წუთი).

შემდეგ მასწავლებელი წარმართავს მოკლე დისკუსიას კითხვებით: „რისთვის არის საჭირო პოლიცია და ვინ შეიძლება გახდეს პოლიციელი?". სამართალდამცველი წერს მოსწავლეთა შესაბამის მოსაზრებებს დაფაზე (დრო – 5-7 წუთი).

მასწავლებელს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე მოყავს მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება პოლიციელს და ადარებს მოსწავლეთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებიც დაფაზეა აღნიშნული.

ახლა უკვე სამართალდამცველი მოკლედ აცნობს მოსწავლეებს საქართველოს პოლიციის ამოცანებს, საქმიანობის საფუძვლებსა და პირნციპებს „პოლიციის შესახებ კანონის" შესაბამისად (დრო - 5 წუთი).

შემდეგ იგი ჩამოთვლის საქართველოში პოლიციელების ძირითად მოვალეობებს, რომლებიც მოყვანილია მოსწავლის წიგნში და მიმართავს კითხვით მოსწავლეებს: "თქვენი აზრით, კიდევ რა მოვალეობები აქვს პოლიციელს?" მასწავლებელი პირველ 5 პასუხს ინიშნავს დაფაზე, ხოლო სამართალდამცველი განმარტავს რამდენად შეესაბამება ეს მოსაზრებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (დრო - 5 წუთი).

ახლა სამართალდამცველი წინა აქტივობის მსგავსად განიხილავს პოლიციელების უფლებებს (დრო - 5 წუთი).

შემდეგ იგი ყოფს მოსწავლეებს 3 ჯგუფად და სთხოვს, გაეცნონ და შეადარონ ერთმანეთს მოსწავლის წიგნში მოცემული ინფორმაცია სხვა ქვეყნებსა და საქართველოში პოლიციელების სამსახურში მიღების, დათხოვნისა და პროფესიული მომზადების წესებთან დაკავშირებით და ამ ანლიზის საფუძველზე წარმოადგინონ ჯგუფში შეთანხმებული მოსაზრება/შეფასება ამ საკითხებთან დაკავშირებით. სამუშაოდ ჯგუფებს ეძლევათ 10 წუთი, ხოლო პრეზენტაციისათვის – 3-3 წუთი. მუშაობის დროს სამართალდამცველი ეხმარება ჯგუფებს საჭირო ინფორმაციის მოძიებასა და გაუგებარი ცნებების განმარტებაში.

მასწავლებელი დაფაზე აღნიშნავს თითოეული ჯგუფის ძირითად მოსაზრებებსა და არგუმენტებს, გამოყოფს მსგავს დებულებებსა და არგუმენტებს. პრეზენტაციების დასრულების შემდეგ (დრო - 10 წუთი), მასწავლებელი აჯამებს მიღებულ შედეგებს.

შემდეგ სამართალდამცველი 5 წუთის განმავლობაში დამატებით აცნობს მოსწავლეებს პოლიციელების ძირითად უფლება-მოვალეობებს, რომლებიც გაკვეთილის წინა ეტაპზე არ განხილულა.

ბოლოს მასწავლებელი, გონებრივი იერიშის გამოყენებით, ავლენს მოსწავლეთა დამოკიდებულებას პოლიციელის პროფესიისადმი (რამდენად დაუკავშირებდნენ ისინი საკუთარ კარიერას ამ პროფესიას).

ჩამოწერილ იდეებს აჯამებს პოლიციელი, რომელიც აკავშირებს ამ შეხედულებებს თავის პირად შეხედულებებთან ცხოვრების იმ ეტაპიდან, როდესაც მოსწავლეების ტოლი იყო.

საქართველოს კანონი
პოლიციის შესახებ

თავი I.

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საქართველოს პოლიცია (11.11.2005 2103)

1. საქართველოს პოლიცია (შემდგომში – პოლიცია) არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი, სპეციალური, პოლიციური და გასამხედროებული დაწესებულებების სისტემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.
2. პოლიცია თავისი ფუნქციების განხორციელებისას წარმოადგენს სახელმწიფოს.
3. პოლიციის სისტემაში დასაქმებული პირები შეიძლება ატარებდნენ პოლიციის სპეციალურ წოდებებს ან სამხედრო წოდებებს.
4. აკრძალულია საპოლიციო ფუნქციების მქონე ფორმირების შექმნა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
5. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო პოლიციის საქმიანობაზე. (29.12.2006 4269)

მუხლი 2. პოლიციის ამოცანები (11.11.2005 2103)

პოლიციის ამოცანებია:

ა) ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან;
ბ) პრევენციული ღონისძიებების განხორციელება დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების შესაძლო საფრთხის თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით, ასეთი ქმედებების გამოვლენა, გამოძიება, დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის ან/და ბრალდებული პირის ძებნა და დაკავება, აგრეთვე დამნაშავეობასთან ბრძოლის ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავება;
გ) საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულება.

მუხლი 3. პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები (11.11.2005 2103)

1. პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, საქართველოს კანონები, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის სამართლებრივი აქტები და სხვა ნორმატიული აქტები.
2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პოლიცია თანამშრომლობს უცხო ქვეყნების სათანადო სამსახურებთან.
3. საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით პოლიცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან.

მუხლი 4. პოლიციის საქმიანობის პრინციპები

1. პოლიციის საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების, პატივისა და ღირსების დაცვის, ჰუმანიზმისა და საჯაროობის პრინციპებს. (11.11.2005 2103)
2. პოლიცია მოვალეა პატივი სცეს და დაიცვას პიროვნების უფლებები და თავისუფლებები მიუხედავად მისი მოქალაქეობრივი, სოციალური, ქონებრივი მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, ასაკისა, განათლებისა, ენისა და სარწმუნოებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა.
3. აკრძალულია პოლიციაში პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა და მასში მონაწილეობა.

მუხლი 5. საჯაროობა პოლიციის საქმიანობაში (11.11.2005 2103)

1. პოლიცია თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აწვდის სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და მოქალაქეებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. პოლიციას უფლება არა აქვს გაამჟღავნოს სახელმწიფო, სამსახურებრივი, პროფესიული, პირადი ან კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია და გაახმაუროს წინასწარი გამოძიების მასალები, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

თავი II.

პოლიციის მოვალეობები და უფლებები

მუხლი 8. პოლიციის მოვალეობები: (11.11.2005 2103)

პოლიცია თავისი ამოცანების განხორციელებისას მოვალეა:

ა) მკაცრად დაიცვას მოქალაქის კანონიერი უფლებები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სათანადო დახმარება აღმოუჩინოს სახელმწიფოს სხვა ორგანოებსა და მოქალაქეებს;

გ) მოქალაქესთან ურთიერთობისას მკაცრად დაიცვას სამსახურებრივი ეთიკის ნორმები;

გ[1]) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააკონტროლოს ოჯახში ძალადობისაგან დამცავი ორდერით გათვალისწინებული შეზღუდვების შესრულება; (25.05.2006 3145)

დ) დაადგინოს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების გამომწვევი მიზეზები და პირობები, მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად, გამოავლინოს, გამოიძიოს და აღკვეთოს დანაშაული;

ე) სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს დაკვირვების ელექტრონული საშუალებების (ტელეფონი, მიკროფონი, რადიოკავშირის სპეციალური ტექნიკა და დაკვირვების სხვა საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც გამომჟღავნდება დაფარული კავშირები ერთ-ერთი მხარის თანხმობის გარეშე) საქართველოში შემოტანის, საქართველოდან გატანის, დამზადების და გამოყენების კონტროლი;

ვ) გამოავლინოს, გამოიძიოს და აღკვეთოს სათანადო ლიცენზიის ან ნებართვის გარეშე იარაღით, საბრძოლო მასალით, ბირთვული და რადიაქტიური ნივთიერებებით, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებებით ვაჭრობა, აგრეთვე მათი დამზადება, შეძენა, შენახვა, ტარება, გამოყენება, გადატანა-გადაზიდვა და გადაგზავნა;

ზ) განახორციელოს კონტროლი ტირების, სასროლეთების და სხვა ობიექტების გახსნისა და საქმიანობის წესების დაცვაზე;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს შებამისი ღონისძიებები საქართველოს სახელმწიფო საზღვრის და განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების დაცვის, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა უმაღლესი თანამდებობის პირების უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად;

თ[1]) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად განახორციელოს სახელმწიფო ობიექტების ფიზიკური დაცვა; (28.04.2006 2951)

ი) განახორციელოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

კ) კანონით დადგენილი წესით განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები;

ლ) მიიღოს და რეგისტრაციაში გაატაროს შემოსული ინფორმაცია დანაშაულის და სხვა სამართალდარღვევის შესახებ, დაუყოვნებლივ მოახდინოს მასზე რეაგირება, აწარმოოს სამართალდარღვევებისა და მათი ჩამდენი პირების აღრიცხვა;

მ) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ

შემთხვევებში დაიწყოს წინასწარი გამოძიება და ამის შესახებ აცნობოს პროკურორს;

ნ) დაეხმაროს შესაბამის უწყებებს დაკარგული და გატაცებული იარაღის, საბრძოლო მასალისა და ტექნიკის, სამხედრო ქონების მოძებნაში, აგრეთვე იმ პირთა მოძებნაში, რომლებიც თავს არიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს;

ო) შეასრულოს პროკურორისა და გამომძიებლის წერილობითი დავალებები და მითითებები საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, დახმარება აღმოუჩინოს მათ საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისას;

პ) საქართველოს კანონმდებლობით თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე, კანონით დადგენილი წესით აწარმოოს წინასწარი გამოძიება, დანაშაულში ეჭვმიტანილ, ბრალდებულ, განსასჯელ და მსჯავრდებულ პირთა ძებნა და დაკავება, ასევე განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოსაძებნად;

ჟ) ჩაატაროს ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევები ოპერატიულ-სამძებრო მასალებსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე;

რ) აღკვეთოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, კანონით დადგენილი წესით განიხილოს და გადაწყვიტოს თავის კომპეტენციას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები;

ს) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს დადგენილი რეჟიმის დაცვაში, ხოლო ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების დროს – საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებაში;

ტ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს უზრუნველყოს სახელმწიფოს სამობილიზაციო-გამწვევი პუნქტებისა და ოპერატიულ-მმართველობითი შტაბების უსაფრთხოება და მზადყოფნა, აგრეთვე უზრუნველყოს პირადი შემადგენლობის სრული სამობილიზაციო მზადყოფნა;

უ) მიიღოს გადაუდებელი ზომები, თუ ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნა, აგრეთვე ავარიის, კატასტროფის, ხანძრის, სტიქიური უბედურებისა და სხვა საგანგებო შემთხვევების დროს უმეთვალყურეოდ დარჩენილი ქონების დასაცავად;

ფ) გადაუდებელი დახმარება აღმოუჩინოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებულ, უმწეო მდგომარეობაში, აგრეთვე ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფ პირს, თუ მას დაკარგული აქვს დამოუკიდებლად გადაადგილების უნარი, ან შეუძლია საფრთხე შეუქმნას საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ;

ფ[1]) სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, რომლის მიმართაც არსებობს საკმაო საფუძველი, რომ იგი ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაშია, და გამოკვლევის მიზნით წარადგინოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირთან; (28.04.2006 2950 გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს)

ფ[2]) სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, რომლის მიმართაც არსებობს საკმაო საფუძველი, რომ იგი ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაშია; თუ დამრღვევი სადავოდ არ ხდის ალკოჰოლის მიღების ფაქტს და ამას ადასტურებს ოქმზე ხელმოწერით, ადგილზე შეუფარდოს ადმინისტრაციული სახდელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილზევე შეამოწმოს იგი; თუ შემოწმების შედეგად დასტურდება მძღოლის მიერ ალკოჰოლის მიღების ფაქტი, შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელშიც აისახება ალკოჰოლური სიმთვრალის შედეგები; (28.04.2006 2950 გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს)

ქ) განახორციელოს დაზარალებულის, მოწმისა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეების, მათი ოჯახის წევრების დაცვის ღონისძიებები, თუ მათი სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან/და ქონება საფრთხეშია;

ღ) მოაწესრიგოს საგზაო მოძრაობა, ზედამხედველობა გაუწიოს საგზაო მოძრაობის წესების, ნორმატივებისა და სტანდარტების დაცვას, აღრიცხოს და რეგისტრაციაში გაატაროს სატრანსპორტო საშუალებები, გასცეს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობები;

ყ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმების საფუძველზე შესაბამის უწყებებთან ერთად მიიღოს ზომები საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლობების პირადი და ქონებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

შ) უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები უზრუნველყოს განცალკევებული, დახურული საქალაქთაშორისო სატელეფონო „მაღალი სიხშირის“ კავშირით, ასევე რადიოკავშირით და სატელეგრაფო კავშირით;

ჩ) აღასრულოს სასამართლო გადაწყვეტილებები, მოსამართლის, პროკურორისა და გამომძიებლის დადგენილებები იმ პირთა წარმოდგენის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ სასამართლოში, პროკურატურაში ან საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას;

ც) აღასრულოს სასამართლოს, პროკურორის და გამომძიებლის გადაწყვეტილებები დაკავების ან დაპატიმრების შესახებ, ასევე მოსამართლის დადგენილებები ადმინისტრაციული დაპატიმრების შესახებ, უზრუნველყოს დაკავებული ან დაპატიმრებული პირის დაცვა და საპატიმრო დაწესებულებაში გადაყვანა;

ძ) უზრუნველყოს მშვიდობიანი მიტინგების, დემონსტრაციების და მოქალაქეთა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოება;

წ) განახორციელოს დანაშაულებრივი ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შედეგად დაკარგული ქონების ძებნა და დადგენა;

ჭ) განახორციელოს გადაუდებელი ღონისძიებები უპატრონო ქონების დასაცავად, ვიდრე ქონება არ გადაეცემა შესაბამის სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირს ან მესაკუთრეს;

ხ) უზრუნველყოს ნაპოვნი ან ჩაბარებული დოკუმენტების, ნივთების, ფასეულობებისა და სხვა ქონების დაცვა ან/და შენახვა, მიიღოს ზომები კანონიერი მფლობელისთვის მათ გადასაცემად ან დადგენილი წესით მათი

რეალიზაციისათვის;

ჯ) სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ბავშვთა მაწანწალობის, უმეთვალყურეობის თავიდან აცილებასა და არასრულწლოვანთა დამნაშავეობის აღკვეთის პრევენციულ ღონისძიებებში;

ჰ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს საარჩევნო პროცესისა და მასში მონაწილე პირთა უსაფრთხოება;

ჰ1) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობები.

მუხლი 9. პოლიციის უფლებები (11.11.2005 2103)

1. პოლიციას დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად უფლება აქვს:

ა) კანონით დადგენილი წესით განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებები და საგამოძიებო მოქმედებები იმ დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენის და აღკვეთის მიზნით, რომლის გამოძიება საქართველოს კანონმდებლობით პოლიციის კომპეტენციას განეკუთვნება;

ბ) თუ დაყოვნება საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, დაუბრკოლებლად შევიდეს საცხოვრებელ ბინებში და მოქალაქეთა კუთვნილ სათავსებში, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობებში (დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულოებისა და იმ საერთაშორისო ორგანიზაციების შენობა-ნაგებობათა გარდა, რომლებიც სარგებლობენ დიპლომატიური ხელშეუხებლობით) დანაშაულის აღსაკვეთად ან/და იმ პირის დასაკავებლად, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული ან ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეადგინოს ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ და შეუფარდოს დამრღვევს ადმინისტრაციული სახდელი;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით შესამოწმებლად წარადგინოს პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის შედეგად საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ, შეინახოს მისი ნივთები და დოკუმენტები, რის შესახებაც ადგენს სათანადო ოქმს; (28.04.2006 2950 გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს)

დ[1])ოჯახში ძალადობის ფაქტის უშუალოდ დაფიქსირებისთანავე დაუყოვნებლივ გამოსცეს შემაკავებელი ორდერი; (25.05.2006 3145)

ე) აღკვეთოს უკანონო მიტინგი, დემონსტრაცია, პიკეტირება და სხვაგვარი აქცია, აგრეთვე მიმდინარე აქცია, თუ იგი საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, საკუთრებას და კანონით დაცულ სხვა უფლებებს;

ვ) საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების დაცვის, ცალკეული ოპერატიულ-სამძებრო და სა-

გამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნით აკრძალოს ან შეზღუდოს მოძრაობა გზებსა და ქუჩების მონაკვეთებზე;

ზ) აკრძალოს სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება, თუ მათი კონსტრუქცია და ტექნიკური მდგომარეობა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს; სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში გააჩეროს და დაათვალიეროს სატრანსპორტო საშუალებები, შეამოწმოს მძღოლის მართვის უფლების მოწმობა და სხვა საჭირო დოკუმენტები, მიიღოს ზომები სამართალდარღვევათა აღსაკვეთად; მოაწესრიგოს საგზაო მოძრაობა, გააკონტროლოს საგზაო მოძრაობის წესების, ნორმატივებისა და სტანდარტების დაცვა; აღრიცხოს და რეგისტრაციაში გაატაროს სატრანსპორტო საშუალება; (29.12.2006 4199)

თ) სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, რომელსაც არა აქვს მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა; (28.04.2006 2950 გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს)

ი) დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში საწარმოებზე, ორგანიზაციებზე, დაწესებულებებსა და მოქალაქეებზე გასცეს ნებართვა იარაღის, საბრძოლო მასალის შეძენაზე, შენახვაზე, ტარებაზე, გადატანა-გადაზიდვასა და გადაგზავნაზე; გააუქმოს ეს ნებართვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; მისცეს პოლიციელებს იმ სამსახურებრივ-საშტატო იარაღისა და საბრძოლო მასალის შენახვისა და ტარების ნებართვა, რომელთა გამოყენება დაშვებულია ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით;

კ) დადგენილი წესით გასცეს ტირის, სასროლეთის და სასროლო-სანადირო სტენდის გახსნის ნებართვა, გააუქმოს ასეთი ნებართვა, თუ მისი მფლობელი არღვევს დადგენილ წესს;

ლ) გადაუდებელი აუცილებლობისას გამოიყენოს მოქალაქეთა, საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და საზოგადოებრივ გაერთიანებათა კუთვნილი სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებები (გარდა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა, საკონსულოთა და უცხო ქვეყნის სხვა დაწესებულებათა, საერთაშორისო ორგანიზაციათა სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებებისა); ამასთან, პოლიცია ვალდებულია სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებების მფლობელებს აუნაზღაუროს გაწეული ხარჯი ან\და მიყენებული ზარალი;

მ) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებისას დანაშაულის შესახებ საკმარისი მონაცემების არსებობის საფუძველზე საბაჟო სამსახურთან ერთად ჩაატაროს მოქალაქეთა პირადი და სატრანსპორტო საშუალებათა შემოწმება;

ნ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პირობებში, აგრეთვე დამნაშავეთა და სამართალდამრღვევთა დაკავების მიზნით დასახლებულ პუნქტებში, საავტომობილო გზებზე და ტერიტორიულ წყლებში მოაწყოს რეიდები; რეიდის დროს პოლიციას უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით გააჩეროს პირი და სატრანსპორტო საშუალება (დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების, საერთაშორისო ორგანიზაციების და სპეციალური ტრანსპორტის გარდა, რომლებიც სარგებლობენ დიპლომატიური ხელშეუხებლობით);

ო) სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლითა და წესით ჩაატაროს სატრანსპორტო საშუალების, ტვირთების შემოწმება და ჩხრეკა, მოქალაქის პირადი შემოწმება და პირადი ჩხრეკა;

პ) კანონით დადგენილი წესით ისარგებლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დანაშაულის გარემოებათა და მის ჩამდენ პირთა დასადგენად, გამოძიებისაგან და სასამართლოსაგან მიმალული, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მოსაძებნად, ამოუცნობი გვამის ვინაობის დასადგენად, სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად, მართლწესრიგის განსამტკიცებლად;

ჟ) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის (განსასჯელის), ამოუცნობი გვამის რეგისტრაცია, დაქტილოსკოპია, ვიდეო- და აუდიოჩაწერა, კინო- და ფოტოგადაღება, შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების აღება;

რ) მგზავრების პირადი უსაფრთხოების დაცვის, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის, ბრალდებულის დაკავების ან დაპატიმრების მიზნით დადგენილი წესით, გონივრული ვადით შეაყოვნოს სარკინიგზო, საზღვაო ან საჰაერო ტრანსპორტის გასვლა;

ს) გამოიყენოს საქართველოს მოქალაქეთა, უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ნებაყოფლობითი კონფიდენციალური დახმარება, რისთვისაც მათთან ამყარებს ღია ან ფარულ ურთიერთობას;

ტ) დანაშაულის გამოვლენის, წინასწარი გამოძიებისა და აღკვეთის მიზნით ისარგებლოს მოქალაქეთა დახმარებით;

უ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს მატერიალურ ფასეულობათა დაცვა და დაცვის კონტროლი.

ფ) პირის მიერ კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, უზრუნველყოს აღნიშნული პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთა, გარდა სავარაუდო ხელმყოფის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევისა. პოლიციის უფლებამოსილი პირის მიერ სავარაუდო ხელმყოფისთვის მიცემული წერილობითი გაფრთხილების ადმინისტრაციული წესით გასაჩივრება არ აჩერებს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ხელყოფის აღკვეთის ღონისძიებების განხორციელებასა და წერილობითი გაფრთხილების (ადმინისტრაციული აქტის) მოქმედებას. (4.07.2007 5211)

2 პოლიციის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. გამოყენებული მეთოდები და საშუალებები არ უნდა აყენებდეს ზიანს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, არ უნდა ლახავდეს მის პატივსა და ღირსებას, აგრეთვე ზიანს არ უნდა აყენებდეს გარემოს.

თავი III.

ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება

მუხლი 10. ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება

1. სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას პოლიციელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, სპეციალური საშუალებები და სამსახურებრივი დანიშნულების ცეცხლსასროლი იარაღი ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და წესით. (11.11.2005 2103)
2. პოლიციელი ვალდებულია ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს პირი, მისცეს საკმარისი დრო, რათა მან შეასრულოს პოლიციელის კანონიერი მოთხოვნა იმ შემთხვევის გარდა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს მოქალაქის ან/და პოლიციელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, სხვა მძიმე შედეგი, ან თუ შექმნილ სიტუაციაში შეუძლებელია ასეთი გაფრთხილების გაკეთება. (11.11.2005 2103)
3. სპეციალური საშუალების სახე, ფიზიკური იძულების ინტენსიურობა განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, სამართალდარღვევის ხასიათისა და სამართალდამრღვევის ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებით.

მუხლი 11. ფიზიკური იძულების გამოყენება (11.11.2005 2103)

პოლიციელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, მათ შორის, ორთაბრძოლის სპეციალური ხერხები პირადი ან/და მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, დანაშაულის ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, დამნაშავისა და ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის დასაკავებლად, თუ უძალადო მეთოდების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს პოლიციელის მიერ კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

მუხლი 12. სპეციალური საშუალებების გამოყენება

1. სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას, საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვის, დანაშაულთან და საზოგადოებრივად საშიშ ქმედებებთან ბრძოლის მიზნით პოლიციას უფლება აქვს, გამოიყენოს სპეციალური საშუალებები: ხელბორკილი ან შებორკვის სხვა საშუალება, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, დაბრკოლების დამანგრეველი და ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება, წყალსატყორცნი, ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება, სპე-

ციალური საღებავი, სასამსახურო ძაღლი და ცხენები, ელექტროშოკური მოწყობილობა; (11.11.2005 2103)

ა) ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალება – დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის მიმართ, რომელიც უძალიანდება ან შეიძლება გაუძალიანდეს პოლიციელს, ან ცდილობს გაქცევას; დაკავებულის და დაპატიმრებულის ბადრაგირებისას, თუ პირს თავისი საშიში მოქმედებით შეუძლია ზიანი მიაყენოს თავის თავსა და გარეშე პირს;

ბ) რეზინის ხელკეტი – მოქალაქეზე, პოლიციელზე ან/და დაცულ ობიექტებზე თავდასხმის მოსაგერიებლად; დანაშაულის ჩამდენი, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი პირის დაკავებისას, თუ იგი ბოროტად არ ემორჩილება პოლიციელის კანონიერ მოთხოვნას; საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად;

გ) ცრემლსადენი გაზი – მოქალაქეზე, პოლიციელზე, დაცულ ობიექტებზე თავდასხმის მოსაგერიებლად; საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად; დანაშაულის, საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დაკავებისას ან მისი იძულების მიზნით, რათა მან დატოვოს დაკავებული სატრანსპორტო საშუალება ან შენობა-ნაგებობა, სადაც თავს აფარებს;

დ) ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა –სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ობიექტებზე თავდასხმის მოსაგერიებლად, პოლიციელზე ან/და მოქალაქეზე თავდასხმის მოსაგერიებლად, შეიარაღებული წინააღმდეგობის გამწევი პირის დასაკავებლად, შენობა-ნაგებობიდან, მიწის ნაკვეთიდან, სატრანსპორტო საშუალებიდან შეჭრილი დამნაშავის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის გამოსაძევებლად, მძევლების გასათავისუფლებლად;

ე) ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება – სატრანსპორტო საშუალების იძულებით გასაჩერებლად, რომლის მძღოლმა არ შეასრულა პოლიციელის მოთხოვნა გაჩერების შესახებ;

ვ) დაბრკოლების დამანგრეველი საშუალება – დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დაკავებისას, მძევლების გასათავისუფლებლად;

ზ) წყალსატყორცნი და ჯავშანმანქანა – საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევის აღსაკვეთად, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ობიექტებზე ჯგუფური თავდასხმის მოსაგერიებლად, სატრანსპორტო საშუალების იძულებით გასაჩერებლად, რომლის მძღოლმაც არ შეასრულა პოლიციელის მოთხოვნა გაჩერებულიყო; შეიარაღებულ დამნაშავეთა დასაკავებლად;

თ)სპეციალური საღებავი – დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად;

ი) სასამსახურო ძაღლი – დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დევნისას და დაკავებისას, დაკავებული ან დაპატიმრებული პირის ბადრაგირებისას, მოქალაქეზე ან პოლიციელზე თავდასხმის მოსაგერიებლად;

კ) სასამსახურო ცხენი – დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დევნისას და დაკავებისას, საპატრულო სამსახურის

შესრულებისას, საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევის აღსაკვეთად;

ლ) ელექტროშოკური მოწყობილობა – მოქალაქეზე, პოლიციელზე ან დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად.

2. პოლიციელი ვალდებულია პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს ფიზიკური იძულების ან სპეციალური საშუალებების გამოყენებით დაზარალებულ პირს, დაუყოვნებლივ აცნობოს ფიზიკური ან სპეციალური საშუალების გამოყენების შედეგად პირის დაჭრის ან დაზიანების შესახებ უშუალო უფროსს და პროკურორს. (11.11.2005 2103)
3. აკრძალულია ფიზიკური იძულების და სპეციალური საშუალებების გამოყენება ორსულობის, მცირეწლოვნობის, ინვალიდობის, ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ, იმ შემთხვევების გარდა, როცა ისინი შეიარაღებულ ან ჯგუფურ თავდასხმას ახორციელებენ, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ პოლიციას, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა და პოლიციელის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუ სხვაგვარი ხერხებითა და საშუალებებით ასეთი თავდასხმის მოგერიება შეუძლებელია. (11.11.2005 2103)
4. პოლიციის შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესი დგინდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნორმატიული აქტებით. (16.10.97. 946 პარლამენტის უწყებანი 44)
5. პოლიციელს ეკრძალება ისეთი ფიზიკური იძულების და სპეციალური საშუალების გამოყენება, რომელიც ადამიანის მძიმე დასახიჩრებას იწვევს, დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან ან იკრძალება საერთაშორისო კონვენციებითა და საერთაშორისო აქტებით. (11.11.2005 2103)

მუხლი 13. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება

1. პოლიციელს უფლება აქვს შეინახოს, ატაროს და გამოიყენოს სამსახურებრივ - საშტატო იარაღი. (11.11.2005 2103)
2. პოლიციელის განკარგულებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების წესს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. (11.11.2005 2103)
3. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებად ითვლება გამიზნული გასროლა.
4. პოლიციელს უფლება აქვს, უკიდურესი ღონისძიების სახით გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი: (11.11.2005 2103)

ა) მოქალაქისა და თავისი თავის დასაცავად ისეთი საფრთხისაგან, რომელიც რეალურ საშიშროებას უქმნის მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

ბ) ცეცხლსასროლი იარაღის წართმევის აღსაკვეთად;

გ) მძევლების გასათავისუფლებლად;

დ) დაკავების ან პატიმრობის ადგილიდან გაქცევის აღსაკვეთად;

ე) მძიმე დანაშაულის აღსაკვეთად, ასეთი დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისას, თუ იგი წინააღმდეგობას უწევს პოლიციელს ან შეეცდება გაქცევას;

ვ) მოქალაქეთა ბინებზე, დაცულ ობიექტებზე, სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კერძო საკუთრების ობიექტებზე თავდასხმის მოგერიებისას;
ზ) მოქალაქეთა დაცვისას საშიშ ცხოველთა თავდასხმისაგან;
თ) განგაშის სიგნალის მიცემის ან დამხმარე ძალის გამოძახებისას;
ი) სატრანსპორტო საშუალების გაჩერების მიზნით სატრანსპორტო საშუალების დაზიანებისათვის, თუ მძღოლის მოქმედება რეალურ საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, ხოლო მძღოლი არ ემორჩილება პოლიციელის არაერთგზის მოთხოვნას სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ.

5. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს სიტყვიერი გაფრთხილება მისი გამოყენების შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამაფრთხილებელი გასროლა.
6. გაფრთხილების გარეშე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება შეიძლება:

ა) შეიარაღებული, საბრძოლო ტექნიკის, ნებისმიერი სახის სატრანსპორტო ან მექანიკური საშუალებით მოულოდნელი თავდასხმისას;
ბ) ტრანსპორტის გამოყენებით ან სატრანსპორტო საშუალებიდან დაკავებულის ან პატიმრის გაქცევისას;
გ) დამნაშავის დაკავების ან დაპატიმრების დროს შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისას;
დ) დაკავებულის ან დაპატიმრებულის შეიარაღებული გაქცევისას;
ე) დაკავებულის ან დაპატიმრებულის სატრანსპორტო საშუალებიდან, ან შეზღუდული ხილვადობის და ტყიან ადგილებში გაქცევისას.

7. აკრძალულია ცეცხლსასროლი იარაღის ისეთ ადგილებში გამოყენება, სადაც შესაძლოა სხვა პირთა დაშავება, აგრეთვე ცეცხლსაშიშ და აფეთქებადსაშიშ ადგილებში; ასევე ორსულობის, მცირეწლოვნობის, ინვალიდობის, ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ისინი შეიარაღებულნი ან ჯგუფურად ესხმიან თავს, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქის ან პოლიციელის სიცოცხლეს. (11.11.2005 2103)
8. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევაში პოლიციელი მოვალეა, ყოველი ღონე იხმაროს სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დაზარალებულისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გასაწევად. (11.11.2005 2103)
9. პოლიციელი ვალდებულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს თავის უშუალო უფროსსა და პროკურორს. (11.11.2005 2103)
10. პოლიციის შეიარაღებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების ნუსხა დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.
11. აკრძალულია ისეთი სახის ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გამოყენება, რომელიც ადამიანის მძიმე დასახიჩრებას იწვევს, დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან და იკრძალება საერთაშორისო კონვენციებით და საერთაშორისო აქტებით.

თავი IV.

პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა

მუხლი 14. პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პრინციპები

1. დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების მიზნით პოლიცია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას ეწევა ღია და ფარული საშუალებებით და მეთოდებით.
2. აკრძალულია ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებანი, რომლებიც:

ა) საფრთხეს უქმნის პიროვნების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, ქონებას;

ბ) საფრთხეს უქმნის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მეწარმეთა ქონებას და კანონით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს;

გ) დაკავშირებულია მოტყუებასთან, შანტაჟთან, ძალით დაყოლიებასთან დანაშაულის და სხვა სახის სამართალდარღვევის ჩასადენად.

3. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, რომელიც დროებით ზღუდავს პიროვნების პირადი ცხოვრების, მიმოწერის, სატელეფონო საუბრის და სატელეგრაფო შეტყობინებათა საიდუმლოებას, გამოიყენება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

მუხლი 15. პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანები

1. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით მოპოვებული საგნები, დოკუმენტები და ინფორმაცია გამოიყენება:

ა) დანაშაულის გასახსნელად და თავიდან ასაცილებლად, დანაშაულის ჩამდენი პირის დასაკავებლად;

ბ) სისხლის სამართლის საქმის მტკიცებულებათა მოსაპოვებლად;

გ) იმ ფაქტობრივი მონაცემების მისაღებად, რომლებიც საფუძვლად დაედება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას.

2. აკრძალულია სისხლის სამართლის საქმის მტკიცებულებად ოპერატიულ-სამძებრო გზით მიღებული საგნის, დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოყენება, თუ იგი მიღებული, შემოწმებული და შეფასებული არ იქნება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას კონტროლს უწევს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. (26.10.2004 495)
4. პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა რეგულირდება ამ კანონით, კანონით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შესახებ და სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 15[1]. იმ პირის უფლებები და მოვალეობები, რომელიც დახმარებას უწევს პოლიციას (11.11.2005 2103)

1. სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით პირს უფლება აქვს ნებაყოფლობით ითანამშრომლოს და დახმარება აღმოუჩინოს პოლიციას.
2. პირს, რომელიც დახმარებას უწევს პოლიციას, უფლება აქვს:
ა) დადოს მასთან კონტრაქტი კონფიდენციალური თანამშრომლობის შესახებ;
ბ) პოლიციელებისაგან მიიღოს განმარტებები თავისი ამოცანების, უფლებებისა და მოვალეობების თაობაზე;
გ) კონსპირაციის მიზნით გამოიყენოს პირადობის დამადასტურებელი დაშიფრული დოკუმენტები;
დ) მიიღოს ანაზღაურება კონტრაქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ ზიანის კომპენსაცია, რომელიც მას მიადგა პოლიციისათვის დახმარების გაწევისას.
3. პირი, რომელიც სპეციალური კონტრაქტის საფუძველზე დახმარებას უწევს პოლიციას, ვალდებულია:
ა) შეასრულოს დავალებები პოლიციის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად;
ბ) დაიცვას დადებული კონტრაქტის პირობები;
გ) განზრახ არ მიაწოდოს პოლიციას ყალბი ან ცილისმწამებლური ინფორმაცია.
4. პირი, რომელიც დახმარებას უწევს პოლიციას, პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პოლიციისათვის განზრახ ყალბი ან ცილისმწამებლური ინფორმაციის მიწოდებისათვის, ან/და ამ კანონით დაცული იმ ინფორმაციის გამჟღავნებისათვის, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა პოლიციასთან თანამშრომლობის შედეგად.

მუხლი 15². პოლიციის ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებები (11.11.2005 2103)

1. პოლიცია ამ კანონით და საქართველოს სხვა კანონებით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში ქმნის და იყენებს ოპერატიულ-ტექნიკურ საშუალებებს და უზრუნველყოფს მათ დაცვას.
2. პოლიციის მიერ გამოყენებულმა ოპერატიულ-ტექნიკურმა საშუალებებმა და მათი გამოყენების მეთოდებმა არ უნდა შელახოს პირის პატივი და ღირსება, საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, საფრთხეში არ უნდა ჩააგდოს ადამიანის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა, ზიანი არ უნდა მიაყენოს გარემოს.
3. ოპერატიულ-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 15³. პოლიციის საინფორმაციო უზრუნველყოფა (11.11.2005 2103)

1. პოლიციის საინფორმაციო უზრუნველყოფა ხორციელდება საინფორმაციო სისტემების შექმნითა და გამოყენებით.
2. პოლიციის საინფორმაციო სისტემებში არსებული, კანონით დაცული ცნობების მოქალაქისათვის გაცნობის საფუძველი და წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი V.

პოლიციის ორგანიზაცია

მუხლი 16. პოლიციის სისტემა (11.11.2005 2103)

1. პოლიციის სამსახურები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სისტემაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების და მისი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახით.
2. პოლიციის ორგანიზებასა და სტრუქტურას განსაზღვრავს სამინისტროს შესახებ დებულება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 17. ამოღებულია (11.11.2005 2103)
მუხლი 18. ამოღებულია (11.11.2005 2103)

თავი VI.

სამსახური პოლიციაში. პოლიციის კადრები

მუხლი 19. პოლიციელი (11.11.2005 2103)

1. პოლიციელი არის საჯარო მოსამსახურე, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფო სპეციალური წოდება და დადებული აქვს ფიცი.
2. პოლიციელის ფიცის ტექსტს ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.
3. სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას პოლიციელი არის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი.

მუხლი 20. პოლიციელთა სამსახურში მიღების წესი (11.11.2005 2103)

1. პოლიციაში სამუშაოდ მიიღებიან 18-დან 35 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები: (4.07.2007 5211)

ა) რომლებსაც თავიანთი პიროვნული და საქმიანი თვისებების, განათლების, ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად შეუძლიათ შეასრულონ დაკისრებული მოვალეობები;

ბ) რომლებიც ფლობენ სახელმწიფო ენას.

11. წვევამდელმა პოლიციაში მიღებამდე ან მიღების შემდეგ უნდა გაიაროს სპეციალური მომზადების პროგრამა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესით. (4.07.2007 5211)
12. წვევამდელს პოლიციაში მიღების შემდეგ მიენიჭება პოლიციის რიგითის უმცროსი სპეციალური წოდება. (27.03.2007 4513)
13. წვევამდელს პოლიციაში 4 წლის ვადით უწყვეტი სამსახური ჩაეთვლება სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდად. (27.03.2007 4513)

14. წვევამდელის მიერ გაწვევით სავალდებულო სამხედრო სამსახურის ან საკონტრაქტო სამსახურის მოხდის წესი და ვადა განისაზღვრება ამ კანონის 211 მუხლით. (27.03.2007 4513)
2. სამინისტროს სამხედრო სამსახურში ჩაირიცხებიან მოქალაქეები, რომლებიც გაივლიან დამატებით სპეციალურ შემოწმებას.
3. პოლიციაში შესაძლებელია სამუშაოდ მიღებულ იქნეს 35 წელს გადაცილებული პირი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის თანხმობით.
4. განსაკუთრებულ შემთხვევაში შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე პოლიციაში სამუშაოდ მიიღებიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, მიუხედავად მათი ასაკისა.
5. პოლიციაში სამუშაოდ არ მიიღება:
ა) ნასამართლევი პირი;
ბ) ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური ან/და სხვა ქრონიკული სნეულებით დაავადებული პირი. ქრონიკულ სნეულებათა ჩამონათვალს ერთობლივად ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი; (4.07.2007 5211)
გ) პირი, რომელიც სასამართლო წესით ცნობილია ქმედუუნაროდ.

მუხლი 21. პოლიციაში სამსახურის გავლის წესი (11.11.2005 2103)

1. პოლიციაში სამსახურის გავლის წესი განისაზღვრება სამინისტროს ნორმატიული აქტებით.
2. აკრძალულია პოლიციელის გაფიცვა ან მასში მონაწილეობა.
3. პოლიციელს აკრძალული აქვს, სამსახურთან ერთად ეკავოს რაიმე თანამდებობა ან ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს რომელიმე სხვა სახაზინო დაწესებულებაში ან სახაზინო საწარმოში.
4. პოლიციელს აკრძალული აქვს, ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე საწარმოში.

მუხლი 21[1]. სამხედრო ვალდებულების მოხდა პოლიციაში (28.04.2006 2951)

1. პოლიციაში სამხედრო ვალდებულების მოსახდელად შეიძლება ჩაირიცხოს წვევამდელი, რომელსაც სამხედრო სამსახურის ვადა განესაზღვრება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით.
2. პოლიციაში ჩასარიცხ წვევამდელთა შერჩევის, სამხედრო სამსახურის გავლისა და დაფინანსების წესი განისაზღვრება „პოლიციაში სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის წესის შესახებ“ დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.
3. პოლიციაში წვევამდელის მიერ სამხედრო სამსახურის გავლა ჩაითვლება სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდად და აღნიშნული პირი სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ ჩაირიცხება საქართველოს

სამხედრო ძალების რეზერვში რიგითის სამხედრო წოდებით.

მუხლი 22. პოლიციელთა სამსახურიდან დათხოვნის წესი (11.11.2005 2103)

1. პოლიციელი შეიძლება სამსახურიდან დათხოვნილ იქნეს:
ა) განსაზღვრული ასაკის მიღწევის გამო ან წელთა ნამსახურობის გამო შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის მიხედვით;
ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, დასახიჩრების ან ქრონიკული დაავადების გამო, რომელთა მიზეზით აღარ შეუძლია სამსახურის გაგრძელება;
გ) სამსახურებრივი შეუსაბამობის გამო;
დ) სამსახურებრივი დისციპლინის უხეში ან სისტემატური დარღვევისათვის;
ე) რეორგანიზაციისას ან/და შტატების შემცირებისას;
ვ) საკუთარი სურვილით;
ზ) ფიცის გატეხისათვის, პოლიციელისათვის შეუფერებელი საქციელისთვის;
თ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე;
ი) კორუფციული სამართალდარღვევისათვის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;
კ) შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ;
ლ) შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის.
2. პოლიციელის დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ან საამისოდ უფლებამოსილი პირი.
3. კადრების განკარგულებაში აყვანილი პოლიციელები განკარგულებაში აყვანის დღიდან ითვლებიან შესაძლო დათხოვნის შესახებ გაფრთხილებულად.

მუხლი 23. პოლიციის კადრების პროფესიული მომზადება (27.03.2007 4513)

1. პოლიციის კადრების პროფესიული მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება სამინისტროს შესაბამის სპეციალურ პროფესიულ დაწესებულებაში.
2. პოლიციაში სამუშაოდ მისაღებ პირს, ასევე პოლიციის უმცროსი სპეციალური წოდების მქონე პოლიციელს, შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნისას, სპეციალური მომზადების პროგრამის გავლის შემდეგ მიენიჭება პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. (4.07.2007 5211)

თავი VII.

პოლიციელის სამართლებრივი და სოციალური დაცვა, პოლიციელის პასუხისმგებლობა (11.11.2005 2103)

მუხლი 24. ამოღებულია (11.11.2005 2103)

მუხლი 25. პოლიციელის სამართლებრივი დაცვა (11.11.2005 2103)

1. პოლიციელი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას არის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი და მას იცავს სახელმწიფო. მისი კანონიერი მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა ყველა მოქალაქისა და თანამდებობის პირისათვის.
2. არავის არა აქვს უფლება, ჩაერიოს პოლიციელის სამსახურებრივ საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
3. პოლიციელისათვის სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას ხელის შეშლა, მისი პატივისა და ღირსების შელახვა, მუქარა, მისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ძალადობა ან მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების ხელყოფა, იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.
4. პოლიციელი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით. აშკარად უკანონო ბრძანების ან მითითების მიღებისას პოლიციელი ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები კანონის შესასრულებლად.
5. პოლიციელს უფლება აქვს თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 26. ამოღებულია (11.11.2005 2103)

მუხლი 27. პოლიციელის ქმედებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება (11.11.2005 2103)

პოლიციელის უკანონო ქმედებით მოქალაქეებისთვის, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისთვის მიყენებული ზარალი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 28. პოლიციელის ფორმა (11.11.2005 2103)

1. პოლიციელი ატარებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ტანსაცმელს.
2. პოლიციელს თავისი უფლებამოსილების დასადასტურებლად ეძლევა პირადობის მოწმობა და სპეციალური ჟეტონი.

მუხლი 29. პოლიციელის წახალისება (4.07.2007 5211)

1. პოლიციელის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშოდ შესრუ-

ლებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისათვის გამოიყენება წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) ფულადი პრემია;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) სამინისტროს სიგელით დაჯილდოება;
ე) სამკერდე ნიშნით დაჯილდოება;
ვ) სამინისტროს მედალიონით დაჯილდოება;
ზ) სამინისტროს მედლით დაჯილდოება;
თ) მორიგი სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება;
ი) დადებული დისციპლინური სასჯელის ვადამდე მოხსნა;
კ) სამოქალაქო ან სამსახურებრივ-საშტატო იარაღით დაჯილდოება;
ლ)სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენა.

2. ერთდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.
3. პოლიციელის წახალისება შეუძლია საამისოდ უფლებამოსილ პირს.
4. პირის მიერ პოლიციისთვის გაწეული დახმარებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წახალისების ფორმები, გარდა „ე“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წახალისების ფორმებისა.
5. პოლიციელის წახალისების წესს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

მუხლი 30. პოლიციელის პასუხისმგებლობა (11.11.2005 2103)

1. პოლიციელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დანაშაულისათვის პასუხს აგებს საერთო წესით.
2. დანაშაულისათვის დაკავებული, დაპატიმრებული ან მსჯავრდებული პოლიციელი მოთავსდება ან სასჯელს იხდის სხვა სპეცკონტინგენტისაგან იზოლირებულად.
3. სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის პოლიციელის მიმართ გამოიყენება დისციპლინური სახდელები:

ა) შენიშვნა;
ბ) საყვედური;
გ) სასტიკი საყვედური;
დ) სამკერდე ნიშნის ჩამორთმევა;
ე) სპეციალური წოდების ერთი საფეხურით ჩამოქვეითება;
ვ) თანამდებობიდან ჩამოქვეითება;
ზ) სამსახურიდან დათხოვნა.

4. დისციპლინური სახდელების შეფარდებისა და მოხსნის წესს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

მუხლი 31. პოლიციელის სოციალური დაცვა (23.12.2005 2493)

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს პოლიციელის სოციალურ დაცვას.

2. პოლიციელისათვის დადგენილია არანორმირებული სამუშაო დღე.
3. პოლიციელი ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევას.
4. პოლიციელის ხელფასი (ფულადი სარგო) შედგება თანამდებობრივი და წოდებისათვის დადგენილი სარგოებისაგან.
5. პოლიციელს ხელფასის გარდა მიეცემა ხელფასზე (ფულად სარგოზე) დანამატი და კომპენსაცია, რომელთა გაცემის წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

5[1]. პოლიციელის თანამდებობრივი და წოდებისათვის დადგენილი სარგოების, აგრეთვე ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დანამატისა და კომპენსაციის ოდენობებს განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. (25.05.2006 3151)

6. პოლიციელი შეიძლება აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არა უმეტეს ოთხი თვისა. კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში პოლიციელს ორი თვის განმავლობაში უნარჩუნდება ხელფასი (ფულადი სარგო) ბოლო დაკავებული თანამდებობის შესაბამისად.
7. სამსახურიდან დათხოვნილ პოლიციელს ეძლევა ერთდროული დახმარება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
8. პოლიციელის წლიური შვებულების ხანგრძლივობა არის 30 კალენდარული დღე.
9. ზიანი, რომელიც მიადგა პოლიციელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სრულად აუნაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციელის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება არა უმეტეს 15 ათასი ლარისა. პოლიციელის დაკრძალვის ხარჯებს აანაზღაურებს სახელმწიფო.
11. პოლიციელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დასახიჩრების ან/და დაინვალიდების შემთხვევაში, სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეძლევა ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 7 ათასი ლარისა.
12. პოლიციელს, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის იყენებს სახელმწიფო ან პირად საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებას, საწვავით უზრუნველყოფს სახელმწიფო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.
13. პოლიციელთა საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14. პოლიციელის და მისი ოჯახის წევრის (წევრების) სამედიცინო მომსახურების წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.
15. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ფარგლებში პოლიციელისათვის შეიძლება განისაზღვროს ამ კანონით გაუთვალისწინებელი სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებები და შეღავათები.

თავი VIII.

პოლიციის დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

მუხლი 32. პოლიციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა (11.11.2005 2103)

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი IX.

პოლიციის საქმიანობაში მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერების დაცვის გარანტიები

მუხლი 33. პოლიციელის ქმედობის გასაჩივრების უფლება

მოქალაქეს უფლება აქვს გაასაჩივროს პოლიციელის ქმედება პოლიციის ზემდგომ თანამდებობის პირთან, პროკურორთან ან სასამართლოში.

მუხლი 34. განცხადებებისა და საჩივრების განხილვა პოლიციაში

1. პოლიცია განიხილავს შემოსულ განცხადებებსა და საჩივრებს კანონიერების დარღვევებზე.
2. პოლიციაში შემოსული განცხადება და საჩივარი განიხილება არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.
3. დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ პოლიციაში შემოსული განცხადება ან საჩივარი დაუყოვნებლივ განიხილება.
4. ანონიმური განცხადება და საჩივარი არ განიხილება.

მუხლი 35. ამოღებულია (11.11.2005 2103)

თავი X.

სახელმწიფო კონტროლი სამინისტროს საქმიანობაზე (11.11.2005 2103)

მუხლი 36. საპარლამენტო კონტროლი

სამინისტროს საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის ფორმები და მეთოდები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. საქართველოს პარლამენტის წევრებმა კანონით დაცული ინფორმაცია შეიძლება მიიღონ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 37. საპრეზიდენტო და სამთავრობო კონტროლი

1. სამინისტრო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის წინაშე.
2. სამინისტროს საქმიანობის სახელმწიფო პროგრამებს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 38. სასამართლო კონტროლი

იმ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა ჩატარება, რომლებიც ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, დაიშვება სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილებით, კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 39. საფინანსო კონტროლი

სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს საქართველოს კონტროლის პალატა.

მუხლი 40. საპროკურორო ზედამხედველობა

1. სამინისტროს საგამოძიებო ორგანოების საპროცესო ხელმძღვანელობას და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობას კანონით დადგენილი წესით ახორციელებენ საქართველოს გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები.
2. მონაცემები იმ პირებზე, რომლებიც უწევენ ან უწევდნენ კონფიდენციალურ დახმარებას სამინისტროს, თანამშრომლობენ ან თანამშრომლობდნენ მასთან, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ხასიათის ინფორმაციის მოპოვების მეთოდები, ტაქტიკა და ორგანიზება არ წარმოადგენს საპროკურორო ზედამხედველობის საგანს.

მუხლი 41. გარდამავალი დებულება (27.03.2007 4513)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2007 წლის 1 ივნისამდე შეიმუ-

შაოს და გამოსცეს ამ კანონის მე-20 მუხლის 11 პუნქტითა და 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სპეციალური მომზადების პროგრამები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის
სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე.**
თბილისი,
1993 წლის 27 ივლისი.

პოლიციის ეთიკის კოდექსი

1. პრეამბულა

პოლიციის ეთიკის კოდექსი შეიცავს ზოგად ძირითად პრინციპებს, რომელიც არეგულირებს პოლიციის თანამშრომლებს შორის ურთიერთობას, აგრეთვე მათ ურთიერთობას მოქალაქეებთან და ორგანიზაცია-დაწესებულებებთან და განსაზღვრავს პასუხისმგებლობას კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისათვის.

პოლიციის ეთიკის კოდექსი წარმოადგენს ძირითადი ეთიკური და მორალური პრინციპების ერთობლიობას და ეფუძნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დეკლარაციას, საერთაშორისო კონვენციას სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, დეკლარაციას ყველა ადამიანის წამებისაგან და სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის სხვა ფორმებისაგან დაცვის შესახებ, პოლიციის ეთიკის ევროპულ კოდექსს, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, საქართველოს კონსტიტუციას, კანონებს და სხვა საერთაშორისო და ეროვნულ ნორმატიულ აქტებს.

პოლიციის ეთიკის კოდექსი არის პოლიციის ყველა თანამშრომლის ნების გამოხატულება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისა თუ არასამუშაო დროს დაიცვას კანონიერების, სამართლიანობის, ჰუმანურობის პრინციპები, მოიქცეს ტაქტიანად. აღნიშნული პრინციპები შეადგენს პოლიციელთა სასწავლო პროგრამის განუყოფელ ნაწილს. პოლიციაში მიღებისას პირი დებს ფიცს, რომ ის მკაცრად დაიცავს კოდექსის მოთხოვნებს.

2. ზოგადი დებულებები

2.1. საქართველო არის დემოკრატიული ქვეყანა, რომელიც აღიარებს კანონის უზენაესობას. ეს პრინციპი საქართველოს პოლიციის საქმიანობის ძირითადი საფუძველია;

2.2. პოლიცია კანონის განუხრელი დაცვის გზით უზრუნველყოფს რა თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებას და იცავს მის უფლებებსა და თავისუფლებებს, სარგებლობს მათი მხარდაჭერით;

2.3. პოლიცია, როგორც საზოგადოების სამსახურში მდგომი სახელმწიფო ორგანო, ანგარიშვალდებულია ქვეყნის მოქალაქეების წინაშე. კოდექსი მიზნად ისახავს როგორც მოქალაქის, ისე პოლიციელის მიმართ ამ პრინციპის სამართლიანი განხორციელებით ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებას სამართალდამცავი სისტემის მიმართ.

2.4. პოლიციელი აცნობიერებს, რომ სამსახურებრივი პასუხისმგებლობა გულისხმობს არა მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონის მოთხოვნათა შესრულებას, არამედ წარმოადგენს მორალური, ეთიკური და სხვა ღირებულებების დაცვის ვალდებულებას, რაც ხელს უწყობს პოლიციის

როლის განსაზღვრას საზოგადოებაში.

3. პრინციპები

პოლიციის მუშაობა ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს: კონსტიტუციურობა, კანონიერება, პასუხსიმგებლობა, ჰუმანურობა, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, კეთილსინდისიერება და კოლეგიალურობა სამსახურებრივ ურთიერთობებში.

დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში პოლიციის ძირითადი დანიშნულებაა:

- კანონისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;
- ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა;
- დანაშაულის პრევენცია და აღკვეთა;
- კომპეტენციის ფარგლებში საზოგადოებისათვის დახმარებისა და მომსახურების გაწევა.

კონსტიტუციურობა, კანონიერება, ჰუმანურობა და პასუხისმგებლობა

3.1. პოლიციელმა სამსახურებრივი მოვალეობები ყოველთვის უნდა შეასრულოს კანონის ფარგლებში, დაიცვას ადამიანები უკანონობისაგან პროფესიისათვის სავალდებულო პასუხისმგებლობით;

3.2. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს პოლიციელმა პატივი უნდა სცეს და დაიცვას ადამინის უფლებები, თავისუფლებები და ღირსება;

3.3. პოლიციელმა დაკისრებული მოვალეობები უნდა შეასრულოს სამართლიანად, მიუკერძოებლად და უზრუნველყოს ყველა მოქალაქის კანონის წინაშე თანასწორობა განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, განათლებისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა ან სხვა სახის პირადი მდგომარეობისა;

3.4. პოლიციელი იცავს დაზარალებულთა და მოწმეთა, აგრეთვე დაკავებულთა, დაპატიმრებულთა, დაკითხვაზე მყოფ პირთა კონსტიტუციურ უფლებებს, ღირსებას და უზრუნველყოფს მათ და აგრეთვე დაკავებულთა, დაპატიმრებულთა და დაკითხვაზე მყოფთა უსაფრთხოებას.

3.5. პოლიციელმა ძალა უნდა გამოიყენოს მხოლოდ მაშინ, როცა ამას განსაკუთრებული აუცილებლობა მოითხოვს და იმ ფარგლებში, რაც მოვალეობის შესრულებისთვისაა აუცილებელი. ძალის გამოყენება უნდა იყოს მისაღწევი კანონიერი მიზნის თანაზომიერი. ყველა შემთხვევაში პოლიციელი უნდა შეეცადოს, მინიმუმამდე დაიყვანოს ზარალი და ზიანი, პატივის სცეს და დაიცვას ადამიანის სიცოცხლე, უზრუნველყოს,

რომ დაჭრილის შველა და სამედიცინო დახმარება მოხდეს პირველივე შესაძლებლობისთანავე;

3.6. პოლიციელმა არ უნდა წამოიწყოს,წააქეზოს ან დაუშვას წამების ან სხვა-გვარი სისასტიკის ნებისმიერი აქტი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა;

3.7. პოლიციელს უფლება აქვს დაარღვიოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებ-ლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს აბსოლუტური აუცი-ლებლობა, ხორციელდება კანონის შესაბამისად და მიმართულია კანო-ნიერი მიზნის მისაღწევად;

3.8. პოლიციელი პატივს სცემს და იცავს კანონისა და ამ კოდექსის ნორმებს და ეწინააღმდეგება მათ ნებისმიერ დარღვევას;

3.9. დაუშვებელია წინასწარი შეცნობით პოლიციელის მიერ მართლსაწი-ნააღმდეგო ბრძანების ან განკარგულების შესრულება. ამგვარი მითი-თების შემთხვევაში თანამშრომელმა უარი უნდა თქვას ამოცანის შეს-რულებაზე და იმოქმედოს კანონის ფარგლებში. პოლიციელზე,რომელიც უარს ამბობს შეასრულოს უკანონო ქმედება,არ გავრცელდება არანაირი დისციპლინარული ან სხვა სახის სანქცია.

პროფესიონალიზმი, მიუკერძოებლობა, კეთილსინდისიერება და პასუხისმგებლობა

3.10. პოლიციელს მოეთხოვება სამართლიანობა, ობიექტურობა, კომუნიკაბე-ლურობა, ის არ უნდა იყოს შეზღუდული სტერეოტიპებით, საჭიროების შემთხვევაში უნდა გამოავლინოს ლიდერის და მენეჯერის თვისებები. პოლიციელი კარგად უნდა იცნობდეს მოცემული საზოგადოების სოცია-ლურ გარემოს და კულტურულ ღირებულებებს;

3.11. პოლიციელმა არ უნდა ჩაიდინოს კორუფციული ქმედება და, აგრეთვე, მკაცრად უნდა შეეწინააღმდეგოს და ებრძოლოს ყველა მსგავს გამოვ-ლინებას;

3.12. დაუშვებელია სამოქალაქო ტანსაცმელში ცეცხლსასროლი იარაღის ღია-ად, გამოსაჩენად ტარება;

3.13. პოლიციელმა, სამსახურებრივი მოვალეობის დროს მიღებული კონფიდენ-ციალური ინფორმაცია უნდა შეინახოს საიდუმლოდ, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა. აკრძალულია სამსახურებრივი საქმიანო-ბისას მოპოვებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება კერძო ინტერესებისათვის.

3.14. პოლიციელი ვალდებულია პროფესიული საიდუმლოება დაიცვას სამსა-ხურის შეწყვეტის შემდეგაც;

3.15. დაუშვებელია პოლიციელის მიერ სამსახურებრივი სტატუსის გამოყენება საკუთარი სარგებლის მისაღებად. პოლიციელს არ აქვს მოქალაქეებისა-გან გასხვავებული პრივილეგიები ან სხვა რაიმე უპირატესობა;

3.16. სპოლიციის თანამშრომელი არ უნდა ეწეოდეს პოლიტიკურ საქმიანობას როგორც მოვალეობის შესრულებისას,ისე არასამუშაო დროს. პოლიციის თანამშრომელმა არ უნდა გაავრცელოს პროპაგანდისტული მასალები,არ

უნდა მიიღოს მონაწილეობა მიტინგებსა და უკანონო შეკრებებში;

3.17. სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, პოლიციელი მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყოს დღე-ღამის ნებისმიერ დროს გამოძახებისთანავე გამოცხადებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებობს დადასტურებული ობიექტური ხელისშემშლელი გარემოება;

3.18. პოლიციელმა სამსახურში არყოფნის დროსაც საკუთარი ინიციატივით უნდა აღმოუჩინოს დახმარება საფრთხეში ჩავარდნილ ადამიანს და მიიღოს ზომები კანონდარღვევის თავიდან ასაცილებლად.

საზოგადოებრივი ურთიერთობები, ურთიერთობა მედიასთან და პასუხისმგებლობა

3.19. საზოგადოების წევრებთან თავისი უფლებამოსილების და სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების დროს პოლიციელი მოქმედებს მტკიცედ, მაგრამ ტაქტიანად, პატივს სცემს მოქალაქის რეპუტაციას, არ აწუხებს უსაფუძვლოდ ან არ აკისრებს არააუცილებელ ვალდებულებებს.

3.20. პოლიციელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მათ, ვინც საჭიროებს დამატებით დახმარებას და მზრუნველობას.

3.21. საზოგადოების წევრებთან ურთიერთობისას პოლიციის თანამშრომელი უნდა იყოს თავაზიანი, მშვიდი და გაწონასწორებული; ამასთან ერთად, დაკისრებული ამოცანა შეასრულოს სამართლიანად, იხელმძღვანელოს მიუკერძოებლობის პრინციპით, არ მოახდინოს დისკრიმინაცია.

3.22. ითვალისწინებს რა მედიის, როგორც დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტის, როლს დანაშაულის პრევენციაში, პოლიციელი – თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, კანონის მოთხოვნათა დაცვით, უწყების მედიასთან ურთიერთობის სახელმძღვანელო ინსტრუქციების გათვალისწინებით, ეხმარება მედიის წარმომადგენლებს თავისი პროფესიული მოვალეობების განხორციელებაში.

კეთილსინდისიერება, კოლეგიალურობა სამსახურეობრივ ურთიერთობებში და პასუხისმგებლობა

3.23. პოლიციელებს შორის ურთიერთობა ემყარება განსაზღვრულ იერარქიულ წესრიგს, ურთიერთპატივისცემას, ურთიერთდახმარებას და სოლიდარობას, ტოლერანტობას, გულწრფელობას, ნდობას და ღირსებას;

3.24. პოლიციელები იცავენ და განამტკიცებენ პოლიციის რეპუტაციას, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ისე პირად ცხოვრებაში. საჯარო, სამართლიანი, ზრდილობიანი და პროფესიონალური საქმიანობით პოლიციელი მოიპოვებს საზოგადოების ნდობასა და მხარდაჭერას.

4. ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფა

4.1. ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესრულების ყოველდღიურ ზედამხედველობას და დარღვევებზე რეაგირებას, დებულების შესაბამისად ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია;

4.2. ამასთანავე, მინისტრის ბრძანებით იქმნება მუდმივმოქმედი საბჭო, რომელიც:

ა) მოისმენს გენერალური ინსპექციის პერიოდულ ანგარიშებს;

ბ) მოსმენილი ანგარიშების საფუძველზე ამზადებს რეკომენდაციებს და წინადადებსა და მოსაზრებებს წარუდგენს მინისტრს;

გ) მინისტრის დავალებით განიხილავს კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის ცალკეულ შემთხვევებს.

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება, 2007 წლის 26 იანვარი.

თემა 2 - არასრულწლოვანი და კანონი

მიზანი

მოსწავლეები გაეცნობიან კანონებს და გააანალიზებენ მათ აუცილებლობას საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის სამართლებრივ სახელმწიფოში. ისინი, აგრეთვე, გაიგებენ, თუ რა უფლებები და მოვალეობები აქვთ არასრულწლოვნებს.

საჭირო რესურსები – ფრაგმენტი ფილმიდან "როცა აყვავდა ნუში", ვიდეოსიუჟეტები: "რუსთავის ბავშვთა სახლი","არასრულწლოვანი ატენელები","არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარის დაწევის შესახებ". ფურცლები, კალმები, მარკერები, დიდი ფორმატის ქაღალდები.

ხანგრძლივობა - ორი გაკვეთილი (აკადემიური საათი)

I გაკვეთილი

გაკვეთილის პროცესი

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს 3-5 წუთის განმავლობაში წყვილებში კითხვარის შევსებას, რათა მოსწავლეები ერთმანეთს დაეხმარონ სწორი პასუხების გაცემაში. მუშაობის დროს სამართალდამცველი გადაადგილდება კლასში, ყურადღებით აკვირდება წყვილებს და თუ ამჩნევს, რომ რომელიმე წყვილს უჭირს პასუხების გაცემა, მიუახლოვდება მას და სთავაზობს მხოლოდ დასმული კითხვის გააზრებაში დახმარებას.

კითხვარი:

რომელი ასაკიდან მოქმედებს საქართველოში შემდეგი ქმედებების მომწესრიგებელი კანონები:

1. **მანქანის მართვის უფლების აღება?**
2. **დაქორწინება?**
3. **არჩევნებში მონაწილეობა?**
4. **სამხედრო სამსახურში წასვლა?**
5. **პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმა?**
6. **სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება?**
7. **იარაღის ტარების უფლების მიღება?**
8. **აზარტულ თამაშებში მონაწილეობა?**
9. **საშემოსავლო გადასახადის გადახდა?**

შემდეგ მასწავლებელი წყვილებს სთავაზობს, თანმიმდევრობით წარმოადგინონ პასუხები, ხოლო სამართალდამცველი დაფაზე ცხრილში ინიშნავს მათ. თუ

რომელიმე პასუხი განმეორდა, იგი იქვე აღნიშნავს ჯერადობას (დრო - 7-10 წუთი).
ამ აღრიცხვის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს სამართალდამცველს, ჯერ აღნიშნოს და წაახალისოს სწორი პასუხები და მიუთითოს ის კანონები ან სამართლებრივი აქტები, რომლებიც აწესრიგებენ აღნიშნულ ქმედებებს. შემდეგ სამართალდამცველი თანმიმდევრობით ასახელებს და იქვე ასწორებს მცდარ პასუხებს. იგი ამ შემთხვევაშიც ასახელებს შესაბამის ნორმატიულ აქტს და მოკლედ განმარტავს შესაბამის დებულებას. იგი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ უფრო ვრცლად ამ სამართლებრივი დებულებების ნახვა მათ შეუძლიათ მოსწავლის წიგნსა და მის დანართში (დრო - 12-15 წუთი).

შემდეგ მასწავლებელი წარმართავს ხანმოკლე საკლასო დისკუსიას კითხვით: მოგწონთ თუ არა ეს ასაკობრივი ზღვრები?

იგი უხსნის მოსწავლეებს, რომ თითოეულმა მოსწავლემ პასუხის მოცემული სამი ვარიანტიდან ერთ-ერთი უნდა აირჩიოს და მიუთითოს არგუმენტი:

1. ძალიან მაღალი;
2. ძალიან დაბალი;
3. ნორმალური.

მასწავლებელი აჯამებს სავარჯიშოს დასკვნით, რომ ადამიანებს, მოქალაქეებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში აქვთ როგორც გარკვეული უფლებები, ისე მოვალეობები და ისინი იცვლება ასაკთან ერთად.

შემდეგ მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს არასრულწლოვანობის განმარტებას და აცნობს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითად უფლება-მოვალეობებს, რითაც გამოირჩევა სწრულწლოვანი ადამიანი.

შემდეგ სამართალდამცველი აცნობს კლასს "მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ" კანონის ძირითად დებულებებს. მასწავლებელი ყოფს კლასს 3 ან 4 ჯგუფად. თითოეული ჯგუფის დავალებაა, 5 წუთის განმავლობაში ჩამოაყალიბოს ორი არგუმენტი, თუ რატომ არის აუცილებელი ქვეყანაში ამგვარი კანონის არსებობა.

თითოეული ჯგუფის არგუმენტების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი ადარებს ნამუშევრებს შეჯერებული დასკვნის გამოსატანად, რომ ასეთი კანონი, უპირველესად, არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვისათვის არის საჭირო.

ამის შემდეგ მასწავლებელი მოკლედ მიმოიხილავს არასრულწლოვნის უფლება-მოვალეობებს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად. მიმოხილვის დასასრულს მასწავლებელი კვლავ ყოფს მოსწავლეებს 3-4 ჯგუფად და ყველას აძლევს განსახილველად შემთხვევა №1-ს მოსწავლის წიგნიდან. იგი ჯგუფებს იქვე მოცემული დავალების შესასრულებლად აძლევს 5 წუთს. ჯგუფების წარმოდგენილ მოსაზრებებს სამართალდამცველი ჩანიშნავს დაფაზე და ბოლოს

შესაბამისი სამართლებრივი განმარტებებით აჯამებს მათ.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლებს მოკლე ვიდეოსიუჟეტს რუსთავის ბავშვთა სახლში მომხდარი შემთხვევის შესახებ. ამის შემდეგ იგი კვლავ ყოფს კლასს ჯგუფებად და სთხოვს მოსწავლეებს, შეადარონ წინა დავალებაში განხილული შემთხვევა ნანახ ამბავს, გამოავლინონ მსგავსებები და განსხვავებები მიზეზებში, გარემოებებსა და შედეგებში. სამართალდამცველი კვლავ ჩაინიშნავს ჯგუფების დასკვნებს და ბოლოს სამართლებრივი განმარტებებით აჯამებს მათ.

ახლა სამართალდამცველი მოკლედ უხსნის მოსწავლეებს ადმინისტრაციული პასუხისმგელობის სახეებს, ხოლო მასწავლებელი 3-5 წუთის განმავლობაში მოსწავლეებს აჩვენებს ფრაგმენტს ქართული მხატვრული ფილმიდან "როცა აყვავდა ნუში".
მოსმენილისა და ნანახის სამართლებრივად უკეთ გააზრებისათვის იგი მოსწავლეებს სთხოვს წყვილებში განიხილონ მოსწავლის წიგნში მოცემული ორი შემთხვევა და განსაზღვრონ, ვინ არის დამნაშავე თითოეულ მათგანში. ამისათვის მოსწავლეებს ეძლევათ 5 წუთი.
შემდეგ მასწავლებელი საშუალებას აძლევს 3 სხვადასხვა წყვილს, რომლებმაც ყველაზე ადრე დაასრულა სამუშაო, გამოთქვან თავიანთი გადაწყვეტილებები, ხოლო შემდეგ წარმართავს მცირე საკლასო დისკუსიას, რომელშიც მთავარი განმარტებით-დამაზუსტებელი ფუნქცია ენიჭება სამართალდამცველს. თუ წყვილების პასუხებში გამოიკვეთება განსხვავებული შეფასებები, მასწავლებელს შეუძლია დისკუსია წარმართოს "კუთხეების" მეთოდით (დრო - 7-10 წუთი).

ბოლოს მასწავლებელი აჯამებს დისკუსიის შედეგებს და უხსნის მოსწავლეებს, რომ მოქალაქეს ასაკის მატებასთან ერთად ემატება არა მარტო უფლებები, არამედ მოვალეობები და პასუხისმგებლობები. ამ დასკვნის საილუსტრაციოდ იგი სთხოვს სამართალდამცველს, ჩამოთვალოს პასუხისმგებლობები, რომლებიც ახლავს კითხვარში აღნიშნულ ქმედებებს (დრო 3-5 წუთი).

II გაკვეთილი

გაკვეთილის პროცესი

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ ძირითად საკანონმდებლო პრინციპებს. შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, წყვილებში შეასრულონ დავალება – ჯერ გაეცნონ დანართში მოცემულ სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 117-ე, 137-ე, 178-ე (გარდა პირველი ნაწილისა), 179-ე და 238[1] –ე მუხლებს. შემდეგ ჩამოაყალიბონ მოსაზრება კანონის გამკაცრების მიზეზებისა და მიზნის თაობაზე (დრო – 5-7 წუთი).

რამდენიმე წყვილის მიერ წარმოდგენილი დასკვნების მოსმენის შემდეგ მასწავ-

ლებელი კლასს აჩვენებს ვიდოსიუჟეტს "არასრულწლოვანი ატენელები". მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად, იგი სთხოვს მოზარდებს, წინა დავალებაში განხილული საკანონმდებლო ნორმები განიხილონ ნანახი სიუჟეტის კონტექსტში და კვლავ დაადგინონ კანონის გამკაცრების მიზეზები (დრო – 5-7 წუთი).
სამართალდამცველი განხილვის პროცესში ჯგუფებს ეხმარება ფაქტების დაზუსტებასა და კანონის დებულებათა სწორ ინტერპრეტაციაში.

შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს კლასს ვიდოსიუჟეტს არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარის დაწევის ინიციატივის შესახებ. ახლა იგი სთხოვს მოზარდებს, წინა დავალებაში განხილული საკანონმდებლო ნორმები განიხილონ ნანახი სიუჟეტის კონტექსტში და კვლავ დაადგინონ, რამდენად შეესაბამება მიღებული გადაწყვეტილება კანონის გამკაცრების თავდაპირველ მიზნებს (დრო – 5-7 წუთი).

მასწავლებელი წარმართავს მცირე დისკუსიას (დრო – 10 წუთი), რომლის დროსაც სამართალდამცველი მოსწავლეებს ეხმარება არგუმენტების დაზუსტებასა და კანონის დებულებათა სწორ ინტერპრეტაციაში.

შემდეგ მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების მნიშვნელობასა და კავშირს არასრულწოვანებთან. იგი ავალებს მათ, წაიკითხონ დანართში სსსკ-ის 142-ე და 145-ე მუხლები, რის შემდეგაც მოკლედ ჩამოაყალიბონ არასრულწლოვნების დაკავების საფუძვლები და წესები. (დრო 7-10 წუთი).

მასწავლებელი სთხოვს 3-4 მოსწავლეს, წარმოადგინონ საკუთარი დასკვნები, ხოლო სამართალდამცველი შეაჯამებს მოსწავლეთა დავალებებს და აღნიშნავს სწორად გააზრებულ დასკვნებს, ხოლო დაშვებულ შეცდომებს გაუსწორებს დამაზუსტებელი განმარტებების გზით.

იქვე სამართალდამცველი აცნობს მოსწავლეებს არასრულწლოვან მოწმესთან დაკავშირებულ საპროცესო ნორმებს და სთხოვს ჯგუფებში განიხილონ მოსწავლის წიგნში მოცემული შემთხვევა. მოსწავლეებს ევალებათ, განსაზღვრონ და ჩამოთვალონ, რომელი კოდექსის რომელი კონკრეტული მოთხოვნები დაარღვიეს პოლიციელებმა ამ შემთხვევაში. ხუთწუთიანი მუშაობის შემდეგ ოთხივე ჯგუფი წარმოადგენს თავის ნამუშევარს (დრო 5-7 წუთი).

პრეზენტაციების შემდეგ მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმის წარმოების წესის თავისებურებებს. შემდეგ იგი სთხოვს მოსწავლეებს, რომ წყვილებში იმსჯელონ და დაადგინონ კანონმდებლების ასეთი გადაწყვეტილების მიზეზები. (დრო 3-5 წუთი).

ბოლოს მასწავლებელი სთხოვს სამართალდამცველს, 2-3 წუთის განმავლობაში უამბოს მოსწავლეებს იმ ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობებიბს შესახებ, რომლებიც მას, როგორც ზრდასრულს, აქვს ცხოვრებაში, სამსახურებრივი მოვალეობების გარდა.

არასრულწლოვანებთან დაკავშირებული სისხლის სამართალი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

მუხლი 108. განზრახ მკვლელობა

განზრახ მკვლელობა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე.

მუხლი 109. განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში

1. განზრახ მკვლელობა:
ა) მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;
ბ) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით;
გ) ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;
დ) სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თოთხმეტ წლამდე.
2. განზრახ მკვლელობა:
ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა;
ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა;
გ) ხულიგნური ქვენა გრძნობით;
დ) რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო;
ე) ჯგუფურად, –ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცამეტიდან ჩვიდმეტ წლამდე.
3. განზრახ მკვლელობა:
ა) ორი ან მეტი პირისა;
ბ) განსაკუთრებული სისასტიკით;
გ) ანგარებით ან შეკვეთით;
დ) მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით;
ე) არაერთგზის (გარდა ამ კოდექსის 110-ე–114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობებისა), – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

შენიშვნა: ამ კოდექსში ახლო ნათესავად ითვლება: მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე.

მუხლი 117. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება

1. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ანდა რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.
2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.
3. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი:

ა) მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

ბ) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით;

გ) ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

დ) სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან რვა წლამდე.
5. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი:

ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;

ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ;

გ) ხულიგნური ქვენა გრძნობით;

დ) რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო;

ე) ჯგუფურად, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ცხრა წლამდე.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან ათ წლამდე.
7. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი:

ა) ორი ან მეტი პირის მიმართ;

ბ) განსაკუთრებული სისასტიკით;

გ) ანგარებით ან შეკვეთით;

დ) მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით;

ე) არაერთგზის (გარდა ამ კოდექსის 110-ე – 114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობებისა);

ვ) იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 108-ე ან 109-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თორმეტ წლამდე.
8. ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა,– ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან ცამეტ წლამდე.

მუხლი 137. გაუპატიურება

1. გაუპატიურება, ესე იგი სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.
2. იგივე ქმედება:
ა) ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.
3. იგივე ქმედება, ჩადენილი:
ა) არაერთგზის;
ბ) იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 138-ე–141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული;
გ) ჯგუფურად;
დ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის ან არასრულწლოვნის მიმართ, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თორმეტ წლამდე.
4. იგივე ქმედება:
ა) ჩადენილი დაზარალებულის ან სხვა პირის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით;
ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა,– ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე.
5. გაუპატიურება იმისა, ვისაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი, –ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე.

მუხლი 178. ძარცვა

2. ძარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით,
ა) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;
ბ) ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.
3. იგივე ქმედება, ჩადენილი:
ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
ბ) არაერთგზის;
გ) ბინაში უკანონო შეღწევით;
დ) ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრ-

თელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;
ე) სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.
4. იგივე ქმედება, ჩადენილი:
ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
ბ) დიდი ოდენობით;
გ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის,- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თერთმეტ წლამდე.

მუხლი 179. ყაჩაღობა

1. ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით,- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
ა) სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით;
ბ) ჯგუფურად;
გ) სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.
3. იგივე ქმედება, ჩადენილი:
ა) არაერთგზის;
ბ) ბინაში უკანონო შეღწევით;
გ) დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით,- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე.
4. იგივე ქმედება, ჩადენილი:
ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
ბ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის,- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე.

მუხლი 238. ცეცხლსასროლი იარაღის (მათ შორის, გლუვლულიანი სანადირო თოფის) დაუდევრად შენახვა

ცეცხლსასროლი იარაღის (მათ შორის, გლუვლულიანი სანადირო თოფის) დაუდევრად შენახვა, რითაც შექმნილი იყო პირობა მისი სხვა პირის მიერ გამოყენებისათვის, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი,- ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

მუხლი 238[1]. 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება (29.12.2006 4213)

1. 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, – ისჯება ჯარიმით.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
ა) არაერთგზის;
ბ) იმის მიერ, ვინც ნასამართლევი იყო განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

მუხლი 142. დაკავების საფუძველი

1. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავება შეიძლება, თუ არსებობს შემდეგი საფუძვლები:
ა) პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე;
ბ) თვითმხილველები, მათ შორის, დაზარალებულებიც, პირდაპირ მიუთითებენ ამ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე;
გ) პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდება ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;
დ) პირი მიიმალა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაგრამ შემდგომ იგი ამოიცნო დაზარალებულმა;
ე) პირის მიმართ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) ძებნის წარმოების შესახებ.
ვ) პირი შესაძლოა მიიმალოს.
3. დაკავებისაგან განთავისუფლებული პირის ხელმეორედ დაკავება იმავე ეჭვით არ შეიძლება.

მუხლი 145. დაკავების წესი

1. თუ პოლიციის თანამშრომელი ან სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირი დაადგენს, რომ არსებობს ამ კოდექსში აღნიშნული დაკავების საფუძვლები, იგი ვალდებულია გასაგები ფორმით შეატყობინოს ეს ეჭვმიტანილს, განუმარტოს, სახელდობრ, რა დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი და ასევე აცნობოს, რომ მას აქვს დამცველის ყოლის, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება და რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ სასამართლოში. დაუშვებელ მტკიცებულებებს წარმოადგენს ის განცხადებები, რომლებიც გაკეთებულ იქნა დაკავებული პირის მიერ ამ ნაწილით გათვალისწინებული განმარტების მიღებამდე.
2. პოლიციის თანამშრომელი ან სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირი ვალდებულია, დაკავებული დაუყოვნებლივ მიიყვანოს პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში.
3. თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ეჭვისათვის, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან აპირებს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულებები, დამკავებელ თანამდებობის პირს ამ კო-

დექსით დადგენილი წესით უფლება აქვს ჩაატაროს ჩხრეკა, რაზედაც კეთდება აღნიშვნა დაკავების ოქმში. ამ შემთხვევაში ოქმი პირადი ჩხრეკის თაობაზე არ დგება.

4. მოქალაქე ამ კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული პირობის არსებობისას ვალდებულია დაკავებული დაუყოვნებლივ მიიყვანოს პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში ანდა გადასცეს იგი ხელისუფლების წარმომადგენელს.
5. პოლიციის თანამშრომელმა ან სხვა კომპეტენტურმა თანამდებობის პირმა, რომელიც ახორციელებს ეჭვმიტანილის დაკავებას ამ კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლებით, დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა შეადგინოს დაკავების ოქმი. თუ დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე ობიექტური მიზეზით (მიზეზებით) შეუძლებელია, იგი უნდა შედგეს პოლიციის დაწესებულებაში დაკავებულის მიყვანისთანავე. დაკავების ოქმში უნდა აღინიშნოს: ვინ, სად, როდის, რა ვითარებაში, კანონში მითითებულ რომელ საფუძველზეა დაკავებული, დაკავებულის ფიზიკური მდგომარეობა დაკავების მომენტში, რომელი დანაშაულის ჩადენაშია იგი ეჭვმიტანილი, მისი პოლიციის დაწესებულებაში მიყვანის ზუსტი დრო, ამ კოდექსის 73-ე მუხლით გათვალისწინებული ეჭვმიტანილის უფლებების ჩამონათვალი, აგრეთვე შესაბამის შემთხვევაში ის ობიექტური მიზეზი (მიზეზები), რომლის (რომელთა) არსებობის გამო შეუძლებელი იყო დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე. ოქმს ხელს აწერენ თანამდებობის პირი ან მოქალაქე, რომელმაც პირი დააკავა, დაკავებული და მისი დამცველი (მისი ყოფნის შემთხვევაში). ეჭვმიტანილის პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე დაკავების ოქმს ხელმოწერით ადასტურებს პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილი პირი. თუ დაკავებისას პირს არ განემარტა დუმილის, დანაშაულის არდაბრალების, ასევე დამცველის მოწვევის უფლების თაობაზე, არ გადაეცა დაკავების ოქმი, ან თუ დაკავების ოქმი შედგენილია არსებითი დარღვევით, რომელიც აუარესებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, თავისუფლებაშეზღუდული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. ეჭვმიტანილის დაკავების შემთხვევაში პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილება არ გამოიტანება.
6. ეჭვმიტანილი დაკავების შემდეგ შეიძლება დაიკითხოს ამ კოდექსით დადგენილი წესით. დაკავებული, მისი მოთხოვნით, დაკითხვის შემდეგ უნდა შეამოწმოს ექიმმა და უნდა შედგეს სათანადო ცნობა.
7. დაკავების ვადა დაკავების მომენტიდან ბრალდების წაყენებამდე არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან აღკვეთის ღონისძიების სხვა სახის გამოყენების შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
8. გამომძიებელს, რომელიც იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, შეუძლია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად და დასაზუსტებლად, დაკავების კანონიერების შესამოწმებლად.
9. დაკავების ვადის გასვლამდე პირს უნდა წაუყენონ ბრალდება და სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს (თანამდებობის პირის) გა-

დაწყვეტილებით შესაძლებელია დაკითხოს, როგორც ბრალდებული, ამ კოდექსის 311-ე მუხლით დადგენილი წესით. ამის შემდეგ გამოძიების ორგანოს უფლება აქვს მიმართოს მოსამართლეს შუამდგომლობით ამ კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული წესით აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ. ეჭვმიტანილი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს, თუ მას დაკავების ვადის განმავლობაში ბრალდება არ წარედგინა.

მუხლი 148. დაკავების დროის ჩათვლა

პირის ეჭვმიტანილის სახით დაკავების მომენტიდან აღრიცხული დრო ითვლება ბრალდებულის პატიმრობის ვადაში.

მუხლი 149. დაკავებულის ყოფნის ადგილი

დაკავებული იმყოფება დროებითი ყოფნის იზოლატორში, ხოლო სამხედრო მოსამსახურე – ჰაუპტვახტში. დაკავებულთა ყოფნის წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

მუხლი 150. დაკავებისაგან განთავისუფლების საფუძველი და წესი

1. დაკავებული უნდა განთავისუფლდეს, თუ:
ა) არ დადასტურდა ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული;
ბ) დაკავებულის დაპატიმრება არ არის აუცილებელი;
გ) გავიდა დაკავების კანონით დადგენილი ვადა, ანდა არ იქნა მიღებული უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის თანხმობა;
დ) დაკავებისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონი.
2. დაკავებული თავისუფლდება იმ თანამდებობის პირის დადგენილებით, რომელმაც იგი დააკავა აგრეთვე გამომძიებლის, ან პროკურორის დადგენილებით, ანდა დაკავებულთა ყოფნის ადგილის უფროსის დადგენილებით, თუ დაკავების ვადა გავიდა.
3. დაკავებულს განთავისუფლებისას მიეცემა ცნობა, რომელშიც აღინიშნება, ვინ, სად, როდის, რის საფუძველზე დააკავა იგი და რის საფუძველზე და როდის იქნა განთავისუფლებული.
4. უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავების შედეგად მიყენებული ზიანი სრული მოცულობით ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, იმის მიუხედავად, იქნება თუ არა დაკავებული მსჯავრდებული.
5. პროკურორის დადგენილებით, შესაძლებელია დაკავებულის დროებითი გამოყვანა დაკავების ადგილიდან მის მიერ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად,

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩასატარებელია ისეთი საგამოძიებო მოქმედება, რომელში მონაწილეობაც მოითხოვს დაკავებულის თანხმობას. დაკავებულს საგამოძიებო მოქმედების დასრულებისთანავე, დაუყოვნებლივ აბრუნებენ დაკავების ადგილას.

თემა 3 - მართლმსაჯულება

მიზანი

მოსწავლეები გაეცნობიან მართლმსაჯულების სისტემას, მისი მოქმედების წესს და გააანალიზებენ დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების აუცილებლობას საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში.

საჭირო რესურსები – სასამართლოს ატრიბუტიკის შესაბამისი თვალსაჩინო სქემა ან პლაკატი, ფურცლები, კალმები, მარკერები, დიდი ფორმატის ქაღალდები.

ხანგრძლივობა - ორი გაკვეთილი (აკადემიური საათი)

გაკვეთილი I – სასამართლო

გაკვეთილის პროცესი

ამ გაცნობითი, საინფორმაციო ხასიათის გაკვეთილის ჩატარებისთვის უპირატესობა ენიჭება სკოლის შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის სასამართლოში ვიზიტს/ექსკურსიას. თუმცა, შესაძლებელია შესაბამისი სპეკერ-მოსამართლის მოწვევაც კლასში ჩატარებულ გაკვეთილზე. უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლებელია გაკვეთილი ჩატარდეს კლასში მასწავლებლისა და სამართალდამცველის მიერ, სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრების მონაწილეობით. აქ აღწერილია ბოლო ვარიანტის შესაბამისი სცენარი:

სამართალდამცველი მოსწავლეებს განუმარტავს სასამართლოს არსს და საქართველოში სასამართლო სისტემის სტრუქტურას.

შემდეგ მასწავლებელი, თვალსაჩინო მასალის გამოყენებით, მოკლედ მიმოიხილავს სასამართლოს ატრიბუტიკის მნიშვნელობასა და შესაბამისი ტრადიციების საფუძვლებს (დრო – 5 წუთი).

ამის შემდეგ სამართალდამცველი განმარტავს, რას ნიშნავს მოსამართლე საქართველოს კანონმდებლობით. იგი ყოფს კლასს 4 ჯგუფად და სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ მოსწავლის წიგნში მოცემულ ინფორმაციას საქართველოს ორგანული კანონიდან საერთო სასამართლოების შესახებ. ჯგუფებს ეძლევათ დავალება, რომ აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე ჩამოაყალიბონ არგუმენტები მოსამართლის უსაფრთხოების განსაკუთრებულად უზრუნველყოფის მიზეზებთან დაკავშირებით (დრო – 7-10 წუთი).

სამართლიანი მართლმსაჯულებისათვის უსაფრთხოებისა და წესრიგის მნიშვნელობაზე საუბარს სამართალდამცველი აგრძელებს მანდატურის ინსტიტუ-

ტის ახსნით (დრო – 5 წუთი).

იქვე სამართალდამცველს მოჰყავს სასამართლოსთან ურთიერთობის მაგალითები საკუთარი სამსახურებრივი გამოცდილებიდან და თან განმარტავს მართლმსაჯულების წინაშე სამართალდამცველთა მომეტებული პასუხისმგებლობის მიზეზებს.

ბოლოს მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს სპიკერი-მოსამართლის ინსტიტუტის არსსა და მნიშვნელობას.

ამის შემდეგ მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს 3-4 ჯგუფად და სთხოვს მსჯელობის შედეგად სახელმწიფო ხელისუფლების შტოებს – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო – შეუსაბამონ სკოლის მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები. ჯგუფებს ევალებათ დასაბუთებული პასუხების წარმოდგენა (დრო – 5-7 წუთი).

შემდეგ მასწავლებელი მიმართავს სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრებს, რომ მათ აუხსნან მოსწავლეებს საკუთარი საქმიანობის მიზნები და საფუძვლები (დრო – 7-10 წუთი).

ბოლოს მასწავლებელი წარმართავს მცირე საკლასო დისკუსიას (დრო – 10 წუთი) ძირითადი კითხვებით:

- რა მნიშვნელობა აქვს მოზარდებისათვის სკოლაში მიუკერძოებელი დისციპლინური კომიტეტის საქმიანობას?
- რით ჰგავს და განსხვავდება დისციპლინური კომიტეტი სასამართლოსგან?
- როგორ შეიძლება ითანამშრომლოს სამართალდამცველმა სკოლის დისციპლინურ კომიტეტთან?

გაკვეთილის დასასრულს მასწავლებელი აჯამებს დისკუსიის შედეგებს და სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ სახელმძღვანელოში მოყვანილ შემთხვევას. იგი უხსნის, რომ შემდეგ მეცადინეობაზე მათ უნდა გაითამაშონ ამ შემთხვევის შესაბამისი სასამართლო პროცესის სხდომა. შესაბამისად, იგი ეხმარება მოსწავლეებს როლების გადანაწილებაში.

შემდეგ სამართალდამცველი უხსნის მოსწავლეებს, რომელი როლების გასააზრებლად დასჭირდებათ შეთანხმებულად მომზადება შემდეგი გაკვეთილისათვის. ამასთან, ურჩევს მოსწავლეებს, გაეცნონ მოსწავლის წიგნში მოცემულ ინფორმაციას არასრულწლოვნებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის შესახებ. იგი უხსნის, რომ ინფორმაციის გაცნობასთან ერთად მოსწავლეებისათვის ძალიან სასარგებლო იქნება იქვე მოცემულ კითხვებზე დასაბუთებული პასუხების გაცემა, რაც უფრო ნათელს გახდის ამა თუ იმ როლის შემსრულებლისათვის დავალებას.

მასწავლებელი და სამართალდამცველი განაწილებისას ითვალისწინებენ მოს-

წავლეთა საერთო რაოდენობასა და სასამართლოს სხდომის მონაწილეთა აუცილებელ კატეგორიებს. შესაბამისად, შესაძლებელია შემცირდეს ან გაიზარდოს ნაფიცი მსაჯულების, დაცვისა და ბრალდების ჯგუფების, მოწმეებისა და სხდომაზე დამსწრეთა რაოდენობები.
გაეცანი ქვევით მოცემულ შემთხვევას:

"16 წლის ლალის მამა სისტემატურად სვამდა. სიმთვრალეში საკუთარ გოგონებს, ლალის და 12 წლის ანას, აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ყვიროდა და ჩხუბობდა. 2008 წლის 24 ივნისს ლალის მამა სახლში ნასვამი მივიდა და, ჩვეულებისამებრ, ჩხუბი და ყვირილი დაიწყო.

ამ დროს სახლში ბრუნდებოდა 16 წლის ირაკლი, რომელიც მათ მეზობლად ცხოვრობდა და ძალიან კარგად იცოდა, თუ რა ხდებოდა მისი კლასელის და მეგობრის, ლალის, ოჯახში. ირაკლის ლალი ძალიან მოსწონდა და მის გამო ძალიან ნერვიულობდა. ირაკლის ყვრილი მოესმა, ლალის კართან აიტუზა და ყური დაუგდო. კარგად ისმოდა ლალის მამის ყვირილი და გოგონების ტირილი. ირაკლიმ ზარი დარეკა, კარი ანამ გააღო და ბიჭი სახლში შევიდა. ლალი და მამამისი ამ დროს სამზარეულოში იყვნენ, გოგონა მამის დამშვიდებას ცდილობდა და სადილს უცხელებდა. ირაკლი სამზარეულოში შევიდა. ბიჭის გამოჩენაზე მთვრალი მამაკაცი კიდევ უფრო გაბრზადა და ყვირილს მოუმატა. ირაკლი დაჟინებით სთხოვდა, გოგონებისთვის თავი დაენებებინა და დასაძინებლად წასულიყო. მამაკაცი გაბრაზდა, ახლა შენ მასწავლე ჭკუაო, სამზარეულოს მაგიდიდან დანა აიღო და ირაკლის მოუქნია. ირაკლიმ შეძლო მარცხენა ხელით დაეჭირა ლალის მამის ხელი, ხოლო მარჯვენა ხელით ტაფა აიღო და მთელი ძალით ჩაარტყა თავში. შედეგად ლალის მამამ მიიღო ტვინის შერყევა, ყბის ძვლის მოტეხილობა, მარცხენა თვალისა და ლოყის არეში დარჩა ნაიარევი."

პრაქტიკუმზე მოსწავლეები იყოფიან შემდეგ მონაწილეებად:

- განსასჯელი – 1;
- დაცვის ჯგუფი – 2-დან 5-მდე (კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად);
- ბრალდების ჯგუფი – 2-დან 5-მდე (კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად);
- ნაფიცი მსაჯულები – 6-დან 12-მდე ან 2-დან 5-მდე (კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად);
- მოსამართლე – 1;
- სასამართლო სხდომის მდივანი – 1.

მოწმეები - 6:
- დაზარალებულის ქალიშვილები;
- დაზარალებულის მეუღლე;
- განსასჯელის დედა;
- მეზობლები – 2;
- უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი.

სხდომაზე დამსწრე საზოგადოება:

განსასჯელის მასწავლებელი და რამდენიმე კლასელი, ჟურნალისტი, დაზარალებულის რძალი და ძმისშვილები და ა.შ.

დაცვისა და ბრალდების ჯგუფები ამუშავებენ საქმის მასალებს, ხოლო ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა მოისმინონ მათ მიერ დამუშავებულ მასალა. საბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვთ ნაფიც მსაჯულებს, ხოლო მოსამართლე უფარდებს სასჯელს.

გახსოვდეთ, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო, რომლებიც მოქმედებენ საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, ვალდებულნი არიან დაადგინონ დანაშაული და მისი ჩამდენი პირი.

სამართალდამცველმა სავარაუდო მოსამართლეს, ნაფიცი მსაჯულების, დაცვისა და ბრალდების ჯგუფების მონაწილეებს უნდა დაურიგოს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იყოს აღნიშნული ქმედების სამართლებრივი შეფასებისას:

მუხლი 28. აუცილებელი მოგერიება

1. მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად.
2. აუცილებელი მოგერიების უფლება პირს აქვს იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას თავიდან აიცილოს ხელყოფა ან საშველად მოუხმოს სხვას.
3. ხელმყოფის დაზიანება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფით წართმეული ქონების ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად მართლზომიერია იმ შემთხვევაშიც, თუ ეს მოხდა უშუალოდ ხელმყოფის ხელში ამ სიკეთის გადასვლისთანავე და თუ მისი დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შეიძლებოდა.
4. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან.

მუხლი 117. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება

1. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ანდა რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ და-

კარგვასთან, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

მუხლი 118. ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება

1. ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელიც სიცოცხლისათვის სახიფათო არ არის და არ გამოუწვევია ამ კოდექსის 117-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან ან საერთო შრომისუნარიანობის მყარ, ერთ მესამედზე ნაკლებად დაკარგვასთან, – ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით თვრამეტ თვემდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

მუხლი 120. ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება

ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა გამოიწვია, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

მუხლი 121. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია დამნაშავის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ დაზარალებულის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობამ, მძიმე შეურაცხყოფამ ან სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე დაზარალებულის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ, – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

მუხლი 122. ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით

ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით,-ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

მუხლი 124. ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით

1. ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.

2. ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.

გაკვეთილი II - როგორ მოქმედებს კანონი (პრაქტიკუმი)

გაკვეთილის პროცესი

ეს გაკვეთილი მთლიანად ეთმობა როლებით თამაშს.

მასწავლებელი ჯერ რწმუნდება, მზად არიან თუ არა მოსწავლეები წინა გაკვეთილზე განაწილებული როლების შესასრულებლად.

ამის შემდეგ სთხოვს სამართალდამცველს, რომ 5 წუთის განმავლობაში განუმარტოს მოსწავლეებს სასამართლოს სხდომის პროცედურული თანმიმდევრობა. მერე შეახსენებს მოსწავლეებს, რომ სხდომის იმიტაცია არ უნდა გაგრძელდეს 20-25 წუთზე მეტს, რათა ყველას ერთად მიეცეს მისი განხილვისა და გაანალიზების საშუალება.

როლებით თამაშის მსვლელობისას მასწავლებელი და სამართალდამცველი მხოლოდ რეგლამენტის შემხსენებლები არიან. იმავდროულად, სამართალდამცველი ინიშნავს თითოეული მონაწილის შესაბამისობასა თუ შეუსაბამობას კანონთან, რათა შემაჯამებელი განხილვისას მოსწავლეებს მისცეს ზუსტი რეკომენდაციები.

იმიტაციის დასრულების შემდგომ მასწავლებელი წარმართავს საკლასო დისკუსიას შემდეგი კითხვებით:

- კმაყოფილი ხართ თუ არა შედეგით?
- თქვენი აზრით, სამართლიანია თუ არა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება?
- რომელი ჯგუფის მუშაობა იყო უფრო ეფექტიანი?
- შეიცვალეთ თუ არა პოზიცია სხვა მონაწილეთა გამოსვლის შემდეგ?
- რამდენად იმოქმედა თქვენმა გამოსვლამ სხვების გადაწყვეტილებაზე?
- კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი ჯგუფის მუშაობით? საკუთარი თავით?
- ისურვებდით თუ არა ოდესმე იმავე როლის შესრულებას?
- არის თუ არა სასამართლო ის ადგილი, სადაც სამართალი დგინდება?

დისკუსიის დროს მასწავლებელი იურიდიული ხასიათის განმარტებების გაკეთებასა და რეკომენდაციების გაცნობას სთხოვს ხოლმე სამართალდამცველს, რომელსაც შესაბამისი ჩანაწერები აქვს იმიტაციის მონაწილეთა მოქმედებებთან დაკავშირებით.

დისკუსიის შეჯამებისას მასწავლებელი სთხოვს სამართალდამცველს, განუმარტოს მოსწავლეებს, კანონის თანახმად, რა შედეგებით შეიძლებოდა დასრულებულიყო ამ შემთხვევის სასამართლო განხილვა.

მოსამართლე

საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში არც ერთ სახელმწიფო ორგანოს, გარდა სასამართლოსი, არ აქვს უფლება, განიხილოს და გადაწყვიტოს სამოქალაქო, სისხლის და სხვა კატეგორიის საკითხები, სასჯელი დაუნიშნოს მხოლოდ დამნაშავეს. სასამართლოს ხელისუფლების მატარებლად კი საქართველოში გვევლინებიან მოსამართლეები, რომლებსაც აქვთ მართლმსაჯულების განხორციელების უფლება და რომლებიც ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს პროფესიულ დონეზე. სწორედ იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოსამართლეებმა შეძლონ დაკისრებული მოვალეობების ასეთ დონეზე შესრულება, საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის თანახმად დადგენილია მოთხოვნები, რომლებსაც პირი უნდა აკმაყოფილებდეს, რათა დაინიშნოს მოსამართლედ. კერძოდ, მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე (სხვა ქვეყნის მოქალაქე საქართველოში მოსამართლედ ვერ იმუშავებს) 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება, ამასთან, მოსამართლეობის მსურველს, ასევე, ჩაბარებული უნდა ჰქონდეს სპეციალური გამოცდა, სადაც მოწმდება მისი განათლება და წარმატებით უნდა დაამთავროს იუსტიციის სასწავლო სკოლა.

საქართველოში ყველა მოსამართლე ინიშნება უვადოდ, ანუ პირი მოსამართლე იქნება მთელი ცხოვრების განმავლობაში.

ვინაიდან მოსამართლე ახორციელებს უაღრესად საპასუხისმგებლო საქმიანობას (არკვევს, ადამიანი დამნაშავეა თუ უდანაშაულო, დამნაშავეობის შემთხვევაში კი კანონისა და საკუთარი რწმენის საფუძველზე წყვეტს, თუ რა სახის სასჯელი შეუფარდოს მას), და რაკი ის ვალდებულია, არ დაუშვას უდანაშაულო პირის დასჯა, მას სჭირდება დროით განმტკიცებული ცხოვრებისეული გამოცდილება. სწორედ ამის გათვალისწინებით დააწესა კანონმა ასაკობრივი ზღვარი – 28 წელი.

თანამდებობის დაკავებამდე მოსამართლე, რომელსაც პირველად ნიშნავენ ამ თანამდებობაზე, საზეიმო ვითარებაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე დებს ფიცს, რომლის ერთგულიც უნდა იყოს მთელი სამოსამართლო საქმიანობის განმავლობაში.

საერთოდ, მოსამართლეობა ყველა ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, საკმაოდ პრესტიჟული თანამდებობაა, რომელიც დაკავშირებული დიდ შრომასა და პასუხისმგებლობასთან. მოსამართლეს უწევს ადამიანის ბედის განსაზღვრა. მან უნდა დაადგინოს საქმეზე ჭეშმარიტება და გამოიტანოს სამართლიანი საბოლოო გადაწყვეტილება.

თემა 4 - როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები თანატოლებთან და უფროსებთან

მიზანი

მოსწავლეები გაეცნობიან კონფლიქტების ტიპებსა და მათი მოგვარების გზებს. გააანალიზებენ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების სარგებლიანობას.

ხანგრძლივობა - ერთი გაკვეთილი (აკადემიური საათი).

საჭირო ნივთები – ვიდეოსიუჟეტი სოფელ სუფსის სკოლის შესახებ, ფურცლები, კალმები, მარკერები, 1 ფორმატის ქაღალდები.

გაკვეთილის პროცესი

მასწავლებელი აკეთებს მცირე შესავალს, რომ კონფლიქტი და კონფლიქტური სიტუაციები ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, მაგრამ თუ ადამიანს შეუძლია კონფლიქტთა მართვა და გაკონტროლება, მაშინ ეს სულაც არ არის უარყოფითი მოვლენა.

შემდეგ იგი განმარტავს, თუ რას ნიშნავს საზოგადოებრივი კონფლიქტი და მისი ხუთი სხვადასხვა ტიპი (დრო – 5 წუთი).

საზოგადოებრივი კონფლიქტი არის უთანხმოება, რომელიც წარმოიშობა საზოგადოების წევრებსა ან ინდივიდებს შორის. ძირითადად განიხილავენ ხუთი ტიპის საზოგადოებრივ კონფლიქტს: **ღირებულებითი** (დაკავშირებული გარკვეულ დამოკიდებულებებთან ამა თუ იმ მოვლენის მიმართ), **ინფორმაციული** (დაკავშირებული ინფორმაციის სიმცირე/სიჭარბესთან, ხარისხთან, დეზინფორმაციასთან), **ურთიერთდამოკიდებულებითი** (რომელსაც ქმნის ურთიერთობის ნაკლებობა ან არარსებობა), **ინსტიტუციური** (უკავშირდება წესებს, კანონებს, ნორმებს) და **ინტერესთა** (დაკავშირებული მოთხოვნილებებთან და ქცევებთან). ამ ტიპის კონფლიქტები ხშირია ყოველდღიურ ცხოვრებაში, ზოგ შემთხვევაში ერთდროულად რამდენიმე სახის კონფლიქტი იჩენს თავს.

3-5 წუთის განმავლობაში გონებრივი იერიშის მეთოდით მასწავლებელი ადგენს, თუ ვისთან (თანატოლებთან, უფროსებთან, უმცროსებთან, საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან, უბნელებთან, უცნობებთან, ოჯახის წევრებთან და ა.შ.) მოსდით ყველაზე ხშირად მოსწავლეებს კონფლიქტი?
დაფაზე შესაბამის ჩამონათვალს წერს სამართალდამცველი.

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს 4 ჯგუფად და ყოველ ჯგუფს აძლევს თითო სიტუაციურ ამოცანას. იგი სთხოვს მოსწავლეებს, 5 წუთის

განმავლობაში განიხილონ მოცემული ამოცანა, დაადგინონ საზოგადოებრივი კონფლიქტის რომელ ტიპს მიეკუთვნება იგი და არგუმენტირებულად წარმოადგინონ საკუთარი შეხედულებები.

სიტუაციური ამოცანები:

- თანაკლასელებმა ახალგადმოსული მოსწავლე აითვალწუნეს და ყველანაირად ცდილობდნენ მის იძულებას, მათი კლასი დაეტოვებინა. აღსანიშნავია, რომ მათ კარგად არ გაუცვნიათ ახალი კლასელი, არ იცნობდნენ მის ხასიათსა და ჩვევებს. ათვალწუნებული მოსწავლე კი არ შეურიგდა კლასელების დამოკიდებულებას და მათ შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა.
- ბავშვს უნდა ფეხბურთზე სიარული,მშობლებს კი მიაჩნიათ,რომ ეს დროის უქმად კარგვაა და მისგან უფრო მეტ მეცადინეობასა და ფეხბურთისთვის თავის დანებებას მოითხოვენ. მათ შორის ურთიერთობა იძაბება.
- ერთ-ერთმა მოწაფე გოგონამ აფრიკული ნაწნავები გაიკეთა და ისე დადიოდა სკოლაში. სკოლის დირექტორმა მას კატეგორიულად განუცხადა, რომ თუ ნაწნავებს არ დაიშლიდა, სკოლაში არ დაუშვებდა. მათ შორის წარმოიშვა კონფლიქტი.
- ორმა ძმამ თმები გაიზარდა. ოჯახში ამ ამბავს სერიოზული უსიამოვნება მოჰყვა. მამას მიაჩნია, რომ არ შეიძლება ვაჟებმა გოგონებივით გრძელი თმით იარონ. ბებია და ბაბუაც იზიარებენ მამის პოზიციას. თუმცა ბიჭებს ძალიან არ სურთ თმის შეჭრა. სიტუაცია იძაბება.

ჯგუფებში მუშაობის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს თითოეულ მათგანს, თანმიმდევრობით 2-2 წუთის განმავლობაში წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება. სამართალდამცველი ამ შემთხვევაშიც ეხმარება მასწავლებელს მოსაზრებათა დაფაზე ჩაწერაში:

კონფლიქტის ტიპები						
ჯგუფი	სიტუაცია	დირებულებითი	ინფორმაციული	ურთიერთდამოკიდებულებითი	ინსტიტუციური	ინტერესთა
1						
2						
3						
4						

შემდეგ მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ არსებობს კონფლიქტის მოგვარების მრავალი ხერხი, რომლებიც 3 ძირითად ტიპად შეიძლება დაიყოს. იგი მოსწავლეებს სთხოვს, წაიკითხონ შესაბამისი განმარტებები მოსწავლის წიგნში. შემდეგ კი განუმარტავს კონფლიქტის მოგვარების 5 ძირითად სტრატეგიას (დრო – 5-7 წუთი).

ახლა იგი ისევ მიმართავს იმავე ჯგუფებს და სთხოვს,რომ შეეცადონ მათ მიერ განხილული კონფლიქტური სიტუაციების გადაჭრას. ამისათვის აძლევს 7-7

წუთს. თან შეახსენებს,რომ მათ უნდა დაასაბუთონ საკუთარი გადაწყვეტილება და განსაზღვრონ, შეთავაზებული სამიდან რომელ ხერხს მიმართეს.

დროის ამოწურვის შემდეგ მასწავლებელი თანმიმდევრობით სთხოვს ჯგუფებს, 3-3 წუთის განმავლობაში წარმოადგინონ საკუთარი ხედვა და არგუმენტები. დასასრულ, იგი სთხოვს სამართალდამცველს, არა უმეტეს 3-5 წუთის განმავლობაში კანონთან შესაბამისობის კუთხით შეაფასოს როგორც მოცემული სიტუაციების მონაწილეთა მოქმედებები, ისე ჯგუფების მიერ შემოთავაზებული მოგვარების გზები (დრო – 15-17 წუთი).

ახლა მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაითვალისწინონ სიტუაციური ამოცანების ანალიზი და კომენტარები ახალი დავალების შესრულებისას.

მასწავლებელი იმავე 4 ჯგუფს აძლევს ერთსა და იმავე სიტუაციას. იგი სთხოვს მოსწავლეებს, რომ თითოეულმა ჯგუფმა 5-7 წუთის შემდეგ წარმოადგინოს აღნიშნული კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების ესა თუ ის ხერხი და სტრატეგია, ამასთან, დაასაბუთოს თავისი არჩევანი.

შემთხვევა:

> *ეზოში ბიჭები ბურთს თამაშობდნენ. შემთხვევით მეზობლის ფანჯარა ჩაამტვრიეს. გაბრაზებულმა მეზობელმა ფანჯრის ჩატეხვა ეზოს ყველაზე ცელქ ბიჭს დააბრალა, თუმცა, ის იმ დროს ფეხბურთს საერთოდ არ თამაშობდა და მეზობელ გოგონას ესაუბრებოდა. ბავშვებმა დაიწყეს გაბრაზებული მეზობლის დამშვიდება და ცდილობდნენ სიმართლის თქმას, თუმცა ქალბატონს არაფრის მოსმენა არ სურდა და უდანაშაულო ბიჭს და მის ოჯახს შეურაცხყოფას აყენებდა. სიტუაცია ძალიან დაიძაბა. ჩხუბში სხვა მეზობლებიც ჩაერთნენ.*

დროის გასვლის შემდეგ მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს აძლევს 3-3 წუთს საკუთარი მოსაზრებების წარმოსადგენად. სამართალდამცავი მასწავლებელს ეხმარება შედეგების დაფაზე ჩაწერაში.

შემდეგ მასწავლებელი მიმართავს მთელ კლასს, გამოავლინოს ყველაზე ეფექტიანი ვარიანტი (დრო – 3-5 წუთი).

მიღებული გამოცდილების განმტკიცებისათვის მასწავლებელი, წინა დავალების მსგავსად, მოსწავლეებს სთხოვს ჯგუფებში განიხილონ კიდევ ერთი შემთხვევა. მათ უნდა განსაზღვრონ, თავად როგორ იმოქმედებდნენ, რომ კონფლიქტი არ დასრულებულიყო ორი არასრულწლოვნისათვის თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების შეფარდებით. (დრო – 7-10 წუთი).

გაკვეთილის ბოლო ეტაპზე მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ვიდეოსიუჟეტს სოფელ სუფსის სკოლის შემთხვევის შესახებ (დრო – 3 წუთი), რის შემდეგაც იგი წარმართავს მცირე დისკუსიას ძირითადი კითხვებით:

- ვის და რა ტიპის კონფლიქტი ჰქონდათ გოგონებთან?
- რა აქვთ საერთო აქ მოყვანილ მრავალმხრივ კონფლიქტებს?
- როგორ შეიძლებოდა ამ კონფლიქტების თავიდან აცილება ან უმტკივნეულოდ მოგვარება?

შემდეგ ეტაპზე მასწავლებელი კვლავ სთხოვს სამართალდამცველს, კანონთან შესაბამისობის კუთხით გამოთქვას კომენტარები წარმოდგენილ ვარიანტებზე (დრო – 3-5 წუთი).

დასასრულ, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ ყველაზე ეფექტიანი და, იმავდროულად, სამართლიანი ვარიანტი. შესაძლებელია, ეს გამოვლენა მოხდეს საკლასო დისკუსიის მეთოდით.

თემა 5 - გულგრილობა თუ თანამშრომლობა

მიზანი

მოსწავლეები გაიაზრებენ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მნიშვნელობას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ხანგრძლივობა - ერთი გაკვეთილი (ერთი აკადემიური საათი).

საჭირო რესურსები – ვიდეოსიუჟეტი თბილისის 62-ე სკოლაში მომხდარი ფაქტის შესახებ, ვიდეოსიუჟეტი საგზაო მოძრაობის შესახებ, ფურცლები, კალმები, პატარა ბარათები, მარკერები, დიდი ფორმატის ქაღალდები.

გაკვეთილის პროცესი

მასწავლებელი სთხოვს სამართალდამცველს, განუმარტოს მოსწავლეებს მოქალაქის კანონთან და სამართალდამცველებთან თანამშრომლობის არსი. მოიყვანოს მაგალითები, როდესაც თანამშრომლობა, ერთი მხრივ, მხოლოდ კეთილ ნებაზე დაფუძნებული უფლებაა და, მეორე მხრივ – მოვალეობა, რომლის შეუსრულებლობაც იწვევს სამართლებრივ პასუხისმგებლობას (დრო – 5-7 წუთი).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გონებრივი იერიშის მეთოდის საშუალებით დაეხმარონ მას ვენის დიაგრამის შევსებაში, რომლის რგოლებია კანონთან თანამშრომლობის პასუხისმგებლობანი: მორალურ-ზნეობრივი და სამართლებრივი (დრო – 5-7 წუთი).



დიაგრამაში საერთო ნაწილის თვალსაჩინო განმარტებისთვის მასწავლებელი სთხოვს სამართალდამცველს, მოიყვანოს შესაბამისი კონკრეტული მაგალითები საკუთარი არასრულწლოვნობის გამოცდილებიდან (დრო – 5 წუთი).

შემდეგ მასწავლებელი ყოფს კლასს 3 ჯგუფად. თითოეულს აძლევს ერთ სიტუაციურ ამოცანას და სთხოვს 5-წუთიანი განხილვის შემდეგ წარმოადგინონ მორალური და სამართლებრივი არგუმენტებით განმტკიცებული პასუხები. მუშაობის დროს სამართალდამცველი კონსულტირებას უწევს ჯგუფებს არგუმენტების მოძიებაში.

სიტუაციური ამოცანები:

- წარმოიდგინე სიტუაცია, რომ ფეხით მიდიხარ და ქუჩის მეორე მხარეს გინდა გადასვლა, მართალია, შუქნიშანი და ქუჩაზე გადასასვლელი არსად არის, მაგრამ არის მიწისქვეშა გადასასვლელი. როგორ მოიქცევი: გადაირბენ თუ მიწისქვეშა გადასასვლელით ისარგებლებ? პასუხი დაასაბუთე.
- წარმოიდგინე სიტუაცია, რომ ახალი წელი მოდის და საახალწლოდ ბუნებრივ ნაძვის ხეს ამჯობინებ. როგორ მოიქცევი: იყიდი გასაყიდად გამოტანილ ბუნებრივ ნაძვის ხეს თუ ახლომდებარე ტყის მასივში პატარა, ლამაზ ნაძვის ხეს შეარჩევ და მოჭრი? პასუხი დაასაბუთე.
- წარმოიდგინე სიტუაცია, რომ მიდიხარ ქუჩაში და მიირთმევ ნაყინს. ნაყინის ჭამის შემდეგ ხელში ცარიელი ქაღალდი დაგრჩა. როგორ მოიქცევი: ქაღალდს იქვე დააგდებ თუ უახლოეს ნაგვის ურნას იპოვი და იქ ჩააგდებ? პასუხი დაასაბუთე.

პრეზენტაციების (დრო 3-3 წუთი) შემდეგ მასწავლებელი სთხოვს იმავე ჯგუფებს, 5-7- წუთიანი მსჯელობის შედეგად თვითონ წერილობით წარმოადგინონ განხილულის მსგავსი თითო სიტუაციური ამოცანა რეალური ცხოვრებიდან.

შემდეგ მასწავლებელი წარმოდგენილ სიტუაციებს გადასცემს განსხვავებულ ჯგუფებს და ატარებს აღნიშნულის მსგავს აქტივობას (დრო – 5 წუთი).

მასწავლებელი სთხოვს სამართალდამცველს წარმოდგენილი შემთხვევების სამართლებრივ განხილვას 3-5 წუთის განმავლობაში.

გაკვეთილის ბოლო ეტაპზე მასწავლებელი აჩვენებს კლასს ვიდეოსიუჟეტს თბილისის 62-ე სკოლაში მომხდარი ფაქტის და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, 2-3 წუთის განმავლობაში წყვილებში განიხილონ მიღებული ინფორმაცია და განსაზღვრონ:

- ვისმა გულგრილობამ და დაუდევრობამ შეუწყო ხელი დანაშაულის ჩადენას?
- რა სახის და ვის შორის თანამშრომლობა ააცილებდა ყველას ამ შემთხვევას?
- რატომ არის მნიშვნელოვანი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვა?
- რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეცვალა სიუჟეტში ასახულმა ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობამ?

3-4 წყვილის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ყველა მოსწავლეს, გამოავლინონ მათი აზრით ყველაზე მისაღები დასკვნა.
გაკვეთილის დასასრულ მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეთა პოზიციებსა და არგუმენტებს. იგი დასკვნის სახით შეახსენებს მოსწავლეებს, რომ კანონები, რომლებიც ემსახურება ადამიანის უფლებების დაცვას, მათ კეთილდღეობას, მშვიდობიანი გარემოს შექმნას, თავად ადამიანებისათვისაა აუცილებელი და ძირითადად მათი აღსრულებისთვის იძულება საჭირო არ არის.

თემა 6 - მავნე ჩვევებისა და მათი სახიფათო შედეგების თავიდან აცილება

მიზანი

მოსწავლეებმა უნდა დაინახონ მავნე ჩვევების შესაძლო შედეგები. მათ უნდა გააცნობიერონ სამართალდამცავების როლი და მნიშვნელობა პრევენციულ პროგრამებში.

ხანგრძლივობა - ორი გაკვეთილი (2 აკადემიური საათი).

საჭირო რესურსები – ფრაგმენტები ფილმიდან "ეს ერთჯერადი ნივთები", ვიდეოსიუჟეტები: "ტოტალიზატორი" და "ცივი იარაღის აკრძალვა", ფურცლები, კალმები, პატარა ბარათები, მარკერები, დიდი ფორმატის ქაღალდები.

I გაკვეთილი

გაკვეთილის პროცესი

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ ამ გაკვეთილის მიზანია ადამიანისა თუ საზოგადოების კეთილდღეობასა და კანონებს შორის კავშირის დანახვა. იგი ურიგებს მოსწავლეებს პატარა ბარათებს და სთხოვს, რომ 2 წუთის განმავლობაში მათ ჩამოწერონ ის ჩვევები / თვისებები, რომლებიც ადამიანს ხელს უშლის ჯანსაღ, ნორმალურ ცხოვრებაში, სხვებთან ურთიერთობაში.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, საკუთარი ბარათები მიამაგრონ დაფაზე, თან ხმამაღლა წაიკითხონ საკუთარი ჩანაწერი, ხოლო სამართალდამცველი პარალელურად ავსებს ფორმატზე დახაზული შესაბამისი სქემის 1-ლ სვეტს (დრო - 5 წუთი).

ჩვევა / თვისება	შედეგი პიროვნებისათვის	შედეგი საზოგადოებისათვის

შემდეგ სამართალდამცავი სქემაზე გამოყოფს იმ ჩვევებს, რომლებიც მოსწავლეთა უმრავლესობამ მნიშვნელოვნად მიიჩნია. ხოლო მასწავლებელი კი მოსწავლეებს აცნობს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2006 წლის ანგარიშიდან ორ განმარტებას:

„ჯანმრთელობა ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობაა და არა

მხოლოდ დაავადებათა და დაზიანებათა არარსებობა".

„ჯანმრთელობის 50% დამოკიდებულია ცხოვრების წესზე, 20% – გარემო ფაქტორებზე,20% გენეტიკაზე და 10% – მედიცინისა და სამედიცინო მომსახურების განვითარების დონეზე".

(დრო – 5 წუთი)

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაუკავშირონ ეს განმარტებები მათ მიერ გამოვლენილ ყველაზე მავნე თვისებებს და 2-3 წუთიანი ფიქრის (განსჯის?) შემდეგ დაასახელონ ამ ჩვევების შედეგები პიროვნებისა და მის გარშემო მყოფი საზოგადოებისთვის. დასახელებულ შედეგებს სამართალდამცველი ჩაწერს სქემაში. შესაძლებელია, მასწავლებელმა იმავე შედეგს მიაღწიოს დაახლოებით 5-7 წუთიანი საკლასო დისკუსიის გზით.

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს სამართალდამცველს, განმარტოს, შეესაბამება თუ არა მოსწავლეების მიერ დასახელებული შედეგები კანონმდებლობით გათვალისწინებულ შედეგებს. თუკი მოსწავლეებს რაიმე გამორჩათ, სამართალდამცველი დაამატებს (დრო – 3-5 წუთი).

ახლა მასწავლებელი აცნობს მოზარდებს რამდენიმე ფაქტს (მოსწავლის წიგნიდან) ალკოჰოლის მოხმარების შედეგებთან დაკავშირებით. შემდეგ კი მიმოიხილავს საქართველოში ღვინის კულტურის ტრადიციებსა და თანამედროვე ტენდენციებს, რასაც უკავშირებს სამართალდარღვევების სიხშირეს (დრო – 2-3 წუთი).

შემდეგ სამართალდამცველი განუმარტავს მოსწავლეებს, რას ნიშნავს ალკოჰოლიზმი და როგორ ებრძვის სახელმწიფო ამ სენის გავრცელებას არასრულწლოვანთა შორის. იგი აცნობს მათ არასრულწლოვნის დათრობისთვის განსაზღვრულ პასუხისმგებლობებს (დრო – 2-3 წუთი).

მიღებული ინფორმაციის უკეთ გააზრებისათვის მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, 3-4 წუთის განმავლობაში წყვილებში განიხილონ შემთხვევა "მუჯირის დაბადების დღე" და განსაზღვრონ:

- სმენიათ ან უნახავთ თუ არა მათ მსგავსი შემთხვევა?
- რამდენად სამართლიანად მიაჩნიათ კანონით დაკისრებული პასუხისმგებლობა?

შემთხვევა:

"მუჯირმა თავის დაბადების დღეზე დაპატიჟა თავისი მეგობრები და ტრადიციული წესით აღნიშნა, რომლის დროსაც მან თავის 10 წლის ვაჟიშვილს, გიორგის, შესთავაზა დაელია მამის სადღეგრძელო. გიორგიმ დალია განსხვავებულით, რითაც მუჯირის ძმაკაცები აღტაცებულები დარჩნენ. ამით შეგულიანებულმა გიორგიმ კიდევ

რამდენიმე ჭიქა დალია, რის შედეგადაც მას დაეწყო ალკოჰოლური ინტოქსიკაცია და გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება."

4-5 წყვილის დასკვნების წარმოდგენის შემდეგ სამართალდამცველი აცნობს მოსწავლეებს საზოგადოებრივ ადგილებში სიმთვრალესთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს (დრო – 2-3 წუთი).

ახლა მასწავლებელი, წინა დავალების მსგავსად და იმავე კითხვებით, მოსწავლეებს სთავაზობს მე-7 კლასელი მოსწავლეების შემთხვევის განხილვას.

შემთხვევა:

"*მე-7 კლასის მოსწავლეები, რომლებმაც გადაწყვიტეს სკოლის მერე ერთად წასულიყვნენ სადმე, წავიდნენ მუშტაიდის პარკში, სადაც კლასის ვაჟებმა დაინახეს, თუ როგორ სვამდა უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტი ლუდს. მათაც იყიდეს ლუდი და იმისათვის, რომ კლასის გოგონებისათვის თავი მოეწონებინათ, დაიწყეს სმა და ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვინ უფრო მეტს დალევდა. როცა დათვრნენ, მათ ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ, რომლის დროსაც სამი ბიჭი და ერთი გოგონა, რომელიც გაშველებას აპირებდა, დაშავდა. ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სხვები კი პოლიციის შენობაში.*"

მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეთა მიერ აღნიშნული შემთხვევების განხილვის შედეგებს.

გაკვეთილის მე-2 ეტაპზე მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს რამდენიმე ფაქტს (მოსწავლის წიგნიდან) ნარკოტიკების მოხმარების შედგებთან დაკავშირებით (დრო – 2-3 წუთი).

შემდეგ სამართალდამცველი მოკლედ განუმარტავს მოსწავლეებს: რას ნიშნავს ნარკომანია, როგორ აისახება ეს სენი ადამიანის ქცევაზე და როგორ ებრძვის სახელმწიფო მის გავრცელებას. იგი აცნობს მათ ნარკოტიკებთან დაკავშირებული ადამიანების კლასიფიკაციას და უხსნის, რა უფლებები ჩამოერთმევათ მათ (დრო – 2-3 წუთი).

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ნაწყვეტებს ფილმიდან "ეს ერთჯერადი ნივთები" (დრო – 10-15 წუთი).

შემდეგ ყოფს კლასს 3 ჯგუფად და სთხოვს განიხილონ მოცემული შემთხვევა. მასწავლებელი აძლევს დავალებას, მიუსადაგონ თითოეულ პერსონაჟს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ კანონის ის დებულებები, რომელსაც გაეცნენ. მოსწავლეები ჯგუფში უნდა შეთანხმდნენ და ჩამოაყალიბონ ჰიპოთეზა, როგორ შეიძლება თავიდან აეცილებინათ ფილმის პერსონაჟებს დანაშაულში მონაწილეობა. მათ უნდა გაამაგრონ საკუთარი ჰიპოთეზა არგუმენტებით. ჯგუფების მუშაობისას სამართალდამცველი კონსულტირებას უწევს მოსწავლეებს, თუკი მათ სჭირდებათ რაიმე ნივთიერების, წესის, კანონის ან მოვლენის დასახელების აღნიშვნა. (დრო – 7-10 წუთი).

ჯგუფები 3-3 წუთის განმავლობაში წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებებს. მასწავლებელი ყოველი მოხსენების შემდეგ სთხოვს სამართალდამცველს, წარმოადგინოს ამ სიტუაციის სამართლებრივი შედეგები (დრო – 5 წუთი).

გაკვეთილის დასასრულს მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს შემდეგი გაკვეთილისათვის შინ დაწერონ თხზულება "10 ნაბიჯი ნარკომანიის თავიდან ასარიდებლად".

II გაკვეთილი

გაკვეთილის პროცესი

მასწავლებელი სთხოვს მოხალისე 2-3 მოსწავლეს, მოკლედ წარმოადგინონ საკუთარი საშინაო დავალება, რის შემდეგაც მასწავლებელი სამართალდამცველს სთხოვს შეაფასოს წარმოდგენილი მოსაზრებების მართლზომიერება (დრო – 5-7 წუთი).

საშინაო დავალების განხილვის შემდგომ მასწავლებელი კლასს აცნობს თამბაქოს მოწევით გამოწვეული შედეგების 2-3 ფაქტს მოსწავლის წიგნიდან. სამართალდამცველი კი აცნობს მოსწავლეებს კანონის "საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ" დებულებებს (დრო – 5-7 წუთი).

შემდეგ მასწავლებელი ყოფს კლასს 4 ჯგუფად და ძლევს დავალებას. ჯგუფები უნდა გაეცნონ მოსწავლის წიგნში მოყვანილ ყველა ფაქტს თამბაქოს მოწევასთან დაკავშირებით და შეთანხმებული მსჯელობის შედეგად უნდა წარმოადგინონ საკუთარი არგუმენტები, რამდენად სამართლიანად მიაჩნიათ აღნიშნული კანონის თითოეული დებულება. დროის დაზოგვისა და მიღებული შედეგების მეტი თვალსაჩინოებისათვის შესაძლებელია სამართალდამცველმა დაფაზე ან დიდი ფორმატის ქაღალდზე წინასწარ გაამზადოს შესაბამისი ცხრილი, რომელშიც ჩასვამს ჯგუფების პასუხებს, მაგალითად:

"საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ" კანონით აკრძალულია	მიუღებელია	ნაწილობრივ მისაღებია	სრულად მისაღებია
თამბაქოს მოხმარება:			
• სააღმზრდელო, საგანმანათლებლო, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებსა და დახურულ სპორტულ ნაგებობებში;			
• სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებათა შენობებში;			
თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია			

• სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სკოლებში, აგრეთვე 18 წლამდე ასაკის პირებისათვის განკუთვნილ დაწესებულება-ორგანიზაციებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე 50 მეტრის დაშორებით;			
• იმ სავაჭრო ობიექტებში, რომლებშიც ხდება ბავშვთა ტანსაცმლისა და სათამაშოების რეალიზაცია;			
• სიგარეტის ერთეული ღერებით, ერთეული შეფუთვით (კოლოფით) თუ მასში 20 ღერ სიგარეტზე ნაკლებია;			

სამუშაოსთვის ჯგუფებს ეძლევათ 5-7 წუთი, ხოლო პრეზენტაციისთვის – 3-3 წუთი.

მიღებული ინფორმაციის უკეთ გააზრებისათვის მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, 3-4 წუთის განმავლობაში წყვილებში განიხილონ კანონის აქ მოყვანილი დებულებების კუთხით შემთხვევა "უმუშევარი ქალბატონი ინგა" და განსაზღვრონ:
რა საქმიანობას ურჩევდნენ ქალბატონ ინგას საკუთარი ოჯახის კეთილდღეობისთვის? მათ უნდა დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრება.

შემთხვევა:

"*ქალბატონი ინგა უმუშევარი იყო და გადაწყვიტა, ოჯახი გარე ვაჭრობით ერჩინა. ამისათვის მან დაიწყო მზესუმზირისა და სიგარეტის გაყიდვა. მან კარგად იცოდა, რომ საუკეთესო ადგილი ამისათვის მისი სახლის გვერდზე არსებული სკოლის ეზო იყო. მან დაიწყო სიგარეტის ღერებით ვაჭრობა. მისი ძირითადი მყიდველები მე-8 – მე-11 კლასელი ბავშვები იყვნენ.*"

4-5 წყვილის დასკვნების წარმოდგენის შემდეგ სამართალდამცველი განუმარტავს მოსწავლეებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოთხოვნათა შესრულების მექანიზმებს (დრო – 2-3 წუთი).

ახლა მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ვიდეოსიუჟეტს "ტოტალიზატორი". შემდეგ იგი აზრობრივი რუკის გამოყენებით ავლენს მოსწავლეთა ცოდნასა და დამოკიდებულებას ტოტალიზატორის მიმართ (დრო – 5-6 წუთი).

შემდეგ მასწავლებელი მოკლედ აცნობს მოსწავლეებს აზარტული თამაშობების განმარტებას, ხოლო სამართალდამცველი განუმარტავს ასეთ თამაშობებთან დაკავშირებულ ცნებებსა და სამართლებრივ დებულებებს (დრო – 4-5 წუთი).

მიღებული ინფორმაციის უკეთ გააზრებისათვის მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს წყვილებში მუშაობას შემდეგი დავალებით:

- გაიხსენეთ, ჩამოთვლილი თამაშობებიდან რომელია ყველაზე პოპულარული თქვენს თანატოლებს შორის?
- ერთად ჩამოაყალიბეთ ის მიზეზები, რის გამოც არის ესა თუ ის თამაშობა პოპულარული.
- მოიფიქრეთ ის ალტერნატივები, რაც, ერთი მხრივ, დააკმაყოფილებდა მოზარდების სურვილს, რომ ითამაშონ და, მეორე მხრივ, თავიდან აარიდებდა მათ კანონის დარღვევას.

4-5 წყვილის დასკვნების წარმოდგენის შემდეგ მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეთა მოსაზრებებს და სამართალდამცველი შეახსენებს მათ იმ კანონდარღვევებს შესახებ, რომელთაც ყველაზე ხშირად იწვევს არასრულწლოვანთა მიერ აზარტული თამაშობები. (დრო – 2-3 წუთი).

გაკვეთილის ბოლო ეტაპზე მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ვიდეოსიუჟეტს "ცივი იარაღის აკრძალვა", რის შემდეგაც კუთხეების მეთოდით წარმართავს საკლასო დისკუსიას დებულებით "არასრულწლოვანის მიერ ცივი იარაღის ტარებისათვის უნდა დაისაჯოს მხოლოდ მშობელი" (დრო – 5-7 წუთი).

შემდეგ სამართალდამცველი მოსწავლეებს აცნობს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ დებულებებს ცივ იარაღთან დაკავშირებით (დრო – 2-3 წუთი).

მასწავლებელი ყოფს კლასს 3 ჯგუფად და აძლევს დავალებას:

- განსაზღვრეთ სამართლიანია თუ არა ცივი ირაღის ტარების კანონით დადგენილი შეზღუდვები?
- ჩამოთვალეთ ყველა ის საფრთხე, რაც დაკავშირებულია ცივი იარაღის ტარებასთან და მოიყვანეთ შესაბამისი მაგალითები.
- ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრება თქვენს სკოლაში ცივი იარაღის ტარების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.

(დრო – 6-10 წუთი).

ჯგუფებს დასკვნების წარმოდგენისათვის ეძლევათ 3-3 წუთი.

შემდეგ სამართალდამცველი სთხოვს მოსწავლეებს, გაკვეთილზე მიღებული ცოდნის/გამოცდილების გათვალისწინებით ინდივიდუალურად შეავსონ მრავალწახნაგიანი რეიტინგის სქემა პრინციპით „ყველაზე მავნე – ნაკლებად მავნე" და გაკვეთილის ბოლოს მიაკრან ეს ფურცლები დაფაზე (დრო - 3 წუთი).

დასასრულ მასწავლებელი „რეიტინგების გამოფენის" დათვალიერების შემდეგ აღნიშნავს საერთო-საკლასო რეიტინგს და ასკვნის, რომ სინამდვილეში ნებისმიერი მავნე ჩვევა, რომელსაც კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებამდე მიჰყავს ადამიანი, ერთნაირად მძიმე შედეგების მომტანია როგორც პიროვნების, ისე საზოგადოებისთვის.

მავნე ჩვევები და მათი შედეგები

ნარკოტიკების გამოყენება სერიოზულ სამედიცინო, სოციალურ და სამართლებრივ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ამ საკითხის გადაუჭრელობას უზარმაზარი ზიანის მოტანა შეუძლია და უკვე მოუტანა კიდევაც საზოგადოებას. ნარკომანიის, როგორც დაავადების, ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი სამი ძირითადი პარამეტრით ხასიათდება. ეს პარამეტრებია: გონებრივი დამოკიდებულება, ფიზიკური დამოკიდებულება და მანია.

გონებრივი დამოკიდებულება გამოიხატება "კაიფის" სურვილში,რაც გრძნობებს აჩლუნგებს და ადამიანს გარე სამყაროს მიმართ ინდიფერენტულს ხდის.

ფიზიკური დამოკიდებულება არის მდგომარეობა, როდესაც ნარკომანს უკვე ისეთ მდგომარეობამდე ჰყავს მიყვანილი საკუთარი ორგანიზმი, რომ იგი ნარკოტიკების ტყვეობაში ექცევა და მათ გარეშე ფიზიკურადაც იტანჯება და გონებრივადაც.

მანია ნარკომანიის ბოლო სტადიაა, როდესაც ადამიანის ორგანიზმი უკვე ისე ძლიერად არის დამოკიდებული ნარკოტიკებზე, რომ მხოლოდ დიდი დოზის მიღებისას აღწევს "კაიფის" მდგომარეობას, რაც ისე აზიანებს მის ჯანმრთელობას,რომ ასეთი ცხოვრების წესის არჩევა,ფაქტობრივად,ნელ სიკვდილს,ანუ ეგრეთ წოდებულ "თეთრ" სიკვდილს უდრის.

ნარკომანია სერიოზული დაავადებაა, რომელიც სწრაფად ვრცელდება (ზოგი მეცნიერის მტკიცებით, ყოველი ნარკომანი რამდენიმეს კიდევ ითრევს ამ საქმეში). ნარკომანიას ადამიანი სოციალურ და მორალურ დეგრადაციამდე მიჰყავს.

ბოლო წლებში გაიზარდა იმ ადამიანთა რაოდენობა,რომლებიც წამლებს არასამედიცინო დანიშნულებით ხმარობენ და ეს სწორედ ნარკომანიით დაავადებული ადამიანები არიან. მიუხედავად სამართალდამცავების თავგამოდებული მცდელობისა ნარკობიზნესი და ნარკომანია აღკვეთონ, საზოგადოების აქტიური მონაწილეობის გარეშე ეს ბრძოლა წარმატებით ვერ დამთავრდება.

ნარკომანიის გავრცელებას, ცხადია,ხელს უწყობს სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. ახალგაზრდა თაობის ჯანმრთელობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პრობლემა დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას. საჭიროა ჩვენი საზოგადოების ყველა დონეზე გაჩაღდეს ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლა ყველა ჩვენგანის მოვალეობაა და ამ საკითხისადმი ინდიფერენტიზმი ყოვლად დაუშვებელია. ნარკოტიკების გასართობად გამოყენებასაც კი შეიძლება სასიკვდილო შედეგი მოჰყვეს. გასათვალისწინებელია ისიც,რომ ზოგიერთი ფსიქოლოგიური ზემოქმედების უნარის მქონე წამლის შოვნა, რომელიც ექიმის

რეცეპტით გაიცემა, უფრო ადვილია, ვიდრე ნარკოტიკების შეძენა და ამიტომაც წამლების ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად სერიოზული იურიდიული ზომები უნდა იქნეს მიღებული.

ნარკომანიასთან დაკავშირებული განსაკუთრებული საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ მის სამიზნეს ახალგაზრდები წარმოადგენენ. ნარკომანთა 70% 17-დან 30 წლამდე ახალგაზრდაა. აღრიცხვაზე აყვანილი ნარკომანების თითქმის ნახევარი სტუდენტები არიან. ახალგაზრდები არიან ნარკოტიკებით მოვაჭრეებიც. კანონი განსაკუთრებით მკაცრია ნარკოტიკებით მოვაჭრეთა მიმართ, ხოლო არასრულწლოვანთა შორის ნარკოტიკების გავრცელებისათვის ჯარიმა კიდევ უფრო მაღალია, ვიდრე სხვა დროს.

თანამედროვე მედიცინას ნარკოტიკებისაგან ორგანიზმის მხოლოდ ფიზიკურად გაწმენდა შეუძლია, გონებრივი დამოკიდებულებისგან განკურნება კი, ალბათ, კიდევ დიდხანს ვერ მოხერხდება. ამიტომაც საკმარისი არ არის მხოლოდ სამართალდამცავების მიერ განხორციელებული კონტროლი და პრევენციული ღონისძიებები. ამ ბრძოლაში ყველა უნდა ჩაერთოს, რადგანაც ყურადღების მოდუნებამ შეიძლება კატასტროფამდე მიგვიყვანოს.

ნივთიერებების ბოროტად გამოყენება

ნივთიერებების ბოროტად გამოყენება ნარკომანიაა. "კაიფის" მიზნით კონტროლირებადი ნივთიერებების გამოყენება ნარკომანიას და ამ ნივთიერებებზე დამოკიდებულებას იწვევს. არსებობს კონტროლირებადი ნივთიერებების გამოყენების სხვადასხვა გზები (მოწევა, გადაყლაპვა, შესუნთქვა, შპრიცით შეყვანა და ა.შ.). იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ნივთიერებას იყენებენ, ნარკოტიკების მომხმარებლები მეტად ან ნაკლებად აქტიურები/აგზნებულები არიან. როგორც წესი, აგზნებული ადამიანი თავს უფრო ცოცხლად, ლაღად და ჯანმრთელად გრძნობს. მას ეჩვენება, რომ უფრო ძლიერია, ემატება ენერგია და შემოქმედებითი უნარი. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ წარმოსახვის ნაყოფია, ნარკოტიკის ზემოქმედებით წარმოქნილი მირაჟი. ნაკლებად აქტიურობის შემთხვევაში ნარკომანს საერთო სისუსტე ემართება და აპათიაში ვარდება, ანუ ინტერესს კარგავს ირგვლივ ყველაფრის მიმართ.

რა არის ნარკომანია?

ადამიანს, რომელსაც რამდენჯერმე მიუღია ნარკოტიკი, ცოტა ხანში "კაიფის" ძლიერი სურვილი უჩნდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გონება კონტროლირებად ნივთიერებებზე დამოკიდებული ხდება.

არსებობს კიდევ ერთი, მწვავე ფორმის დამოკიდებულება ანუ ფიზიკური დამოკიდებულება, როდესაც კონტროლირებადი ნივთიერებების მოხმარება უკვე ჩვევად აქვს ქცეული ადამიანს და ასეთი ნივთიერებების მიღება უკვე აუ-

ცილებლად სჭირდება მის ორგანიზმს, რათა ქიმიურ-ბიოლოგიური ბალანსი აღადგინოს.
როდესაც კონტროლირებად ნივთიერებებზე ფიზიკური დამოკიდებულების მქონე ადამიანი თუნდაც დროებით შეწყვეტს ნარკოტიკების გამოყენებას, მისი ორგანიზმი ახალ, მძიმე მდგომარეობაში ვარდება, რასაც "ლომკას" უწოდებენ. დროთა განმავლობაში ნარკომანს წამლის დოზის თანდათან გაზრდა უწევს, რათა "კაიფის" ადრინდელ კონდიციას მიაღწიოს. წამლის არმიღების შემთხვევაში ის უკიდურესად გაღიზიანებული და ნერვიული ხდება, უჭირს ყურადღების კონცენტრაცია, ვარდება აპათიაში.

ასეთ ადამიანს შეიძლება სადილობისას ჩამოეძინოს, დაუდევრობით სიგარეტით ამოეწვას ტანსაცმელი ან საბანი, თვალის გუგები არაბუნებრივად უვიწროვდება, მკლავებზე ნანემსარები აჩნია და ა.შ. თანდათან უკიდურესი აგზნებულობა და შიში სულ უფრო ძნელი გასაკონტროლებელი ხდება და ასეთი მდგომარეობა დეპრესიაში გადაიზრდება, რაც ზოგჯერ თვითმკვლელობითაც მთავრდება.

ვინ ხდება ნარკომანი?

ნარკომანები, მაცდუნებლები და ნარკოტიკებით მოვაჭრეები ხშირად ცდილობენ ჩაითრიონ მოზარდები, რომელთა პიროვნებაც ჯერ ჩამოუყალიბებელია. ხშირ შემთხვევაში ისინი ნივთიერების პირველ დოზას უფასოდ სთავაზობენ ახალბედებს. მეცნიერულად და პრაქტიკულადაც დამტკიცებულია, რომ თითოეული ნარკომანი ექვს სხვას ითრევს.

ახალგაზრდები, განსაკუთრებით კი მოზარდები, ხშირად შეიძლება აღმოჩნდნენ ნარკომანთა გარემოცვაში ან ერთი ნარკომანი მაინც გაიცნონ. მთელი ცხოვრების განმავლობაში ყოველ ბიჭს ერთხელ მაინც სთავაზობენ ნარკოტიკს. ადამიანების დიდ ნაწილს ცხოვრებაში ბევრი განსაცდელი და სიძნელე ხვდება, მაგრამ ყველა ნარკომანად მაინც არ იქცევა. მაშ რატომ უვითარდება ერთს დამოკიდებულება, მეორეს კი არა, როდესაც ეს ადამიანები ერთსა და იმავე ობიექტურ პირობებში იმყოფებიან?

კანაფის ჯგუფის ნარკოტიკები (მარიხუანა, ჰაშიში, ჰაშიშის ზეთი) სხვა ნივთიერებებზე უფრო მეტად არის გავრცელებული, ნაწილობრივ იმ "მითის" გამო, რომ ამ ტიპის ნარკოტიკები თითქოს მხოლოდ სიამოვნებას ჰგვრის ადამიანს და ჯანმრთელობას არ აზიანებს. ბევრს კანაფის მოხმარება თამაში ჰგონია და ვერ ხვდება, რამდენად საზიანოა ეს მისი ჯანმრთელობისათვის.

ის, ვინც სხვებს კანაფს სთავაზობს, მათ არწმუნებს, რომ ეს ნარკოტიკი მავნე არ არის, პირიქით, სასარგებლოც კია. ასეთი ადამიანები ახალბედებს ნარკოტიკს სთავაზობენ და თან ეუბნებიან, რომ ეს მათ დიდ სიამოვნებას მოუტანს, რომ მათ არაჩვეულებრივი ხილვები ექნებათ.
ნარკოტიკის პირველად გასინჯვის შემდეგ ბევრ ახალგაზრდას იმედი უცრუვდება, მაგრამ განაგრძობს ამ ნივთიერების მიღებას, რადგანაც ჯგუფში

ყოველთვის გამოჩნდება ერთი ადამიანი, რომელიც მათ თვალში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და ეს ადამიანი ახალბედებს უხსნის, რომ თუ სიამოვნება პირველსავე ჯერზე ვერ გამოსცადეს, კიდევ უნდა სცადონ და ბოლოს ეს აუცილებლად მოხდება. მოკლედ, რაც უფრო ხშირად მიიღებს ახალბედა ნარკოტიკს, მით უფრო მეტი შანსია იმისა, რომ ის იგემებს აღთქმულ "სიამოვნებას" და... ნარკომანიც გახდება.

მრავალ სოციოლოგიურ, სამედიცინო და ფსიქოლოგიურ გამოკვლევაზე დაფუძნებულმა ისტორიულმა გამოცდილებამ დაადასტურა,რომ კანაფი ერთ-ერთი ყველაზე საშიში ნივთიერებაა. ის მავნე ზეგავლენას ახდენს ორგანიზმზე და იწვევს დამოკიდებულებას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ მარიხუანას მომხმარებელი კოლეჯის სტუდენტების 77%-ს უფრო დაბალი ნიშნები აქვთ, ვიდრე მათ, ვინც მარიხუანას არ ეწევა. ასეთი სტუდენტები გაკვეთილებსაც უფრო ხშირად აცდენენ.

ადამიანის ხასიათი და პიროვნება აღზრდისა და განათლების პროცესში ყალიბდება და დიდად არის დამოკიდებული მშობლებზე, მასწავლებლებზე და ამხანაგებზე.

რა ფაქტორები უწყობს ხელს ნარკომანიის გავრცელებას?

- პიროვნული თვისებები (სუსტი ნებისყოფა).
- გარე ფაქტორები: ზეწოლა თანატოლებისაგან, ნარკოტიკების ხელმისაწვდომობა და პოპულარობა, მოზარდის სურვილი "მაგარი" გამოჩნდეს, ცნობისმოყვარეობა, ცხოვრებისეული სიძნელეები და სხვა პრობლემები.
  ნარკომანად გადაქცევის ალბათობა მეტია,როდესაც ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ფაქტორი ერთდროულად არსებობს. ადამიანი ნარკომანი ხდება, თუ მის ცხოვრებაში ქვემოთ მოცემული ფაქტორებიდან ერთ-ერთს მაინც აქვს ადგილი.

ეს ფაქტორებია:

- ნარკოტიკების გამოყენების სურვილი და ნარკომანად ქცევის შესაძლებლობა იზრდება არასწორი შეხედულების წყალობით, რომლის მიხედვითაც კონტროლირებადი ნივთიერებები სასიამოვნო განცდებსა და აღტაცებას იწვევს და მათთვის თავის დანებება ნებისმიერ დროს შეიძლება.
- დროთა განმავლობაში გონებრივი დამოკიდებულება ფიზიკურ დამოკიდებულებაში გადაიზრდება და ნარკომანი იძულებული ხდება ნარკოტიკები გამოიყენოს, რათა ტანჯვა შეიმსუბუქოს.
  ამგვარად, მოჯადოებული წრე იკვრება: იმისათვის, რომ წამლის მოკლებით გამოწვეული ტანჯვა თავიდან აიცილოს და სიამოვნება განიცადოს, ნარკომანი იძულებული ხდება, მუდმივად მოიხმაროს წამალი და

მისი დოზა დროდადო გაზარდოს. ეს კი პიროვნების გონებრივ და სოციალურ დეგრადაციას იწვევს.

რა შედეგები მოჰყვება ნარკოტიკების გამოყენებას?

ნარკოტიკებით ორგანიზმის ხანგრძლივი მოწამვლა აზიანებს ნერვულ სისტემას. პიროვნების ცვლილება მორალური ფასეულობების შეცვლას იწვევს. ნარკომანს ნაკლები ბიოლოგიური მოთხოვნლებები, მიზნები, ინტერესები და იმედები აქვს.

თანდათანობით წამალი საკვებზე უფრო მნიშვნელოვანი ხდება და ნარკომანს მხოლოდ ის სურვილი ამოძრავებს, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეს, კიდევ მოიპოვოს ნარკოტიკები. ამ ერთადერთ სურვილს ემყარება მისი აზრები და ქმედებები. ასეთ მდგომარეობას თან ახლავს ძლიერი თავის ტკივილები და კუნთების ცახცახი. კანაფის გამოყენება ამცირებს ტვინისთვის სისხლის მიწოდებას, რის გამოც ადამიანის გონებრივი (ინტელექტუალური) შესაძლებლობები ქვეითდება. ადამიანი უფრო სწრაფად იღლება, მას ბევრი რამ (მაგ. ოჯახი, სკოლა, ძველი მეგობრები) აღიზიანებს, უჭირს ყურადღების კონცენტრაცია, პრობლემები უფრო რთულად ეჩვენება და მისი ქცევები დაბნეული ხდება. ნარკოტიკების მიღება უფრო მავნებელია ადრეულ ასაკში, როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ საკუთარი პიროვნების დამკვიდრების პროცესშია, ხოლო მისი ორგანიზმი ჯერ კიდევ ვითარდება.



ნარკომანს შეუძლია უკანასკნელი ლუკმა გამოაცალოს საკუთარ ოჯახს იმისათვის, რომ ნარკოტიკი იყიდოს. ამის გამო ბევრი ნარკომანი კარგავს ოჯახს და სამსახურს, ხდება დამნაშავე, მაწანწალა ან მეძავი.

ეპილოგის ნაცვლად

თუმცა ბევრ მოზარდს არასოდეს გაუსინჯავს კონტროლირებადი ნივთიერებები და არ მოუწევია კანაფი, ნარკომანების უმეტესობა ასე იწყებს:

გახსოვდეთ, რომ ნარკომანის გამოჯანმრთელება მხოლოდ ექიმზე, ფსიქოლოგზე ან სხვა სპეციალისტზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ თითოეულ ჩვენგანზე, ჩვენს დამოკიდებულებაზე, იმ პირობებზე, რასაც ოჯახებში, სკოლებში და საზოგადოებაში განათლების მისაღებად ვუქმნით ჩვენს ბავშვებს.

აივ / შიდსი

აივ: ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი

ორგანიზმის სხვადასხვა უჯრედს იკავებს, განსაკუთრებით იმუნური სისტემის უჯრედებს. ადამიანის ორგანიზმში შეღწევის შემდეგ აივ-ი მის იმ უჯრედებზე ვრცელდება, რომელთა ფუნქციაც უცხო სხეულებთან ბრძოლაა, შემდეგ ამ უჯრედებში გამრავლებას იწყებს და სულ ახალ და ახალ ვირუსებს წარმოქმნის.

აივ-ის მატარებელს შეიძლება 7-15 წელი არ ჰქონდეს ჯანმრთელობის პრობლემები, მაგრამ ინფექციის წყაროს წარმოადგენდეს. ასეთი ადამიანები ინფექციის წყაროს წარმოადგენენ დაავადების ნებისმიერ საფეხურზე. აივ-ის ვირუსის აღმოჩენა მათი სხეულის ყველა ორგანოში შეიძლება.

შიდსი: შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი

შიდსი აივ-ის ბოლო სტადიაა, როდესაც იმუნური სისტემა უკვე მოშლილია და ორგანიზმი დაუცველია სხვადასხვა ინფექციური და სიმსივნური დაავადებისაგან.
აივ-ი შიდსად შეიძლება ვირუსის ორგანიზმში შეღწევიდან მხოლოდ 7-15 წლის შემდეგ ჩამოყალიბდეს. მის განვითარებას ხელს უწყობს ნარკოტიკების, ალკოჰოლის, თამბაქოს მოხმარება, არაჯანსაღი კვება და სტრესი.

როგორ არ გადადის აივ ვირუსი?

აივ-ი მხოლოდ ადამიანის ორგანიზმში ცხოვრობს და მრავლდება. მას ადამიანის

ორგანიზმის უჯრედის გარეთ მხოლოდ ძალიან ხანმოკლე დროის განმავლობაში შეუძლია არსებობა. ამიტომაც, სხვა ვირუსებისგან განსხვავებით, აივ-ი არ გადადის ჰაერიდან, წყლიდან, საკვებიდან ან საყოფაცხოვრებო ნივთებიდან. სწორედ ამიტომაა, რომ ეს ვირუსი არ გადადის კომუნიკაციის დროს, ხელის ჩამორთმევისას, მოხვევის ან მეგობრული კოცნის დროს, არც საერთო დანა-ჩანგლის, საწოლის თეთრეულის, ტანსაცმლის, საცურაო აუზის, აბაზანის და ა.შ ხმარებით. საშიში არ არის აივ-ით დაავადებულ ადამიანთან ერთ ოთახში ცხოვრება ან მისი მოვლა.

გადადება შეუძლებელია შინაური ცხოველების მეშვეობითაც, რადგანაც ეს დაავადება ცხოველებს და ფრინველებს არ ემართებათ. ის არც კოღოების ან სხვა ნესტრიანი მწერების საშუალებით ვრცელდება, რადგან ვირუსი მხოლოდ ადამიანის უჯრედებში ცოცხლობს და მრავლდება, მაშინ, როდესაც მწერის კუჭში მოხვედრისთანავე იღუპება.

აივ-ის გადადების გზების გრაფიკული გამოსახულება



ინკუბაციის პერიოდი

როდესაც აივ-ი სისხლში შეაღწევს, ორგანიზმი იწყებს მასთან მებრძოლი ანტისხეულების გამომუშავებას. ასეთი ანტისხეულების გამოსამუშავებლად მას ორი კვირიდან სამ თვემდე დრო სჭირდება, ხოლო ზოგჯერ მთელი წელიც. ამ პერიოდს, როდესაც ორგანიზმში უკვე არსებობს ვირუსი, რომელსაც ანტისხეულები ჯერ არ გამოუმუშავებია, "საინკუბაციო პერიოდი" ეწოდება. ამ პერიოდში ვირუსის მატარებლები უკვე ინფექციის წყაროს წარმოადგენენ.

აივ/შიდსის მკურნალობა ძალიან რთულია. მიუხედავად ამ სფეროში ბოლო წლებში მიღწეული საგრძნობი პროგრესისა, არ არსებობს ერთი რომელიმე წამალი, რომელსაც ორგანიზმის ამ ვირუსისგან გაწმენდა და იმუნური სისტემის აღდგენა შეუძლია. ამჟამად არსებული ყველა წამალი მხოლოდ აფერხებს აღნიშნული ვირუსის ორგანიზმში განვითარებას. მისგან განკურნების საშუალება ჯერ არ მოუგონიათ. ყველა არსებულ საშუალებას მხოლოდ ავადმყოფის სიცოცხლის გახანგრძლივება ან მისი მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლია. მკურნალობის ეფექტურობა დაავადების მეორე ეტაპის პრევენციასა და წამლების სწორად შერჩევაში მდგომარეობს.

აივ-ით/შიდსით დაავადებულ ადამიანთა უფლებების დაცვა

ადამიანის უფლებებს პატივისცემა და დაცვა სჭირდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აივ-ით/შიდსით დაავადებული ადამინის უფლებების დაცვას, რადგანაც გარშემო მყოფთა მხრიდან პატივისცემა დაავადებულ ადამიანებს ნაკლებად დაუცველად აგრძნობინებს თავს და თანასწორობის განცდას უჩენს.

არადისკრიმინაციული დამოკიდებულება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია ადამიანის განვითარებისა და სრულყოფილად ცხოვრებისათვის.

თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუციაშია ასახული ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი მხოლოდ ადამიანის იმუნურ სისტემას აზიანებს.

> სხვადასხვა გზით დაავადების გადადების ალბათობის ხარისხი:
> **პირველი ჯგუფი** – სქესობრივი გზით გადასვლა (70-90%)
> **მეორე ჯგუფი** – ჯანმრთელი ადამიანის სისხლში დაავადებული სისხლის შერევის გზით გადასვლა (100%)
> **მესამე ჯგუფი** – დედისგან შვილზე გადასვლა (30%)

რა არის აივ/შიდსი	აივ – ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი; შიდსი – შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი.
რა არის აივ-ის ინფექციის წყარო?	აივ-ის ინფექციის ერთადერთი წყარო ამ დაავადებით ინფიცირებული ადამიანია.
როგორ გადადის აივ-ი?	სქესობრივი კავშირის ან დაავადებული სისხლის ორგანიზმში მოხვედრის გზით, ასევე გადადის დედისგან შვილზე.
როგორ ავიცილოთ თავიდან აივ-ით ინფიცირება?	ნუ გამოიყენებთ კონტროლირებად ნივთიერებებს; ერთი სექსუალური პარტნიორის ერთგული იყავით; ნუ იქონიებთ შემთხვევით სექსუალურ კავშირებს; გამოიყენეთ ერთჯერადი შპრიცები; გამოიყენეთ კონტრაცეპტივები.
ინფიცირების შემდეგ რამდენ ხანში გამოჩნდება სისხლში აივ-ის ვირუსი?	აივ-ის ანტისხეული სისხლში ინფიცირების შემდეგ 3-6 თვის შემდეგ გამოჩნდება.
რა ზეგავლენას ახდენს აივ-ი ადამიანის ორგანიზმზე?	აივ-ი აუარესებს ორგანიზმის იმუნურ სისტემას, რის შედეგადაც ავადმყოფი ვერც ერთ სხვა დაავადებას ვეღარ უმკლავდება.
რომელი ბიოლოგიური ნივთიერებები შეიცავს აივ-ის ვირუსს ყველაზე დიდი რაოდენობით?	სისხლი; სათესლე ჯირკვლისა და ვაგინალური გამონადენები; დედის რძე.
როგორ არ გადადის აივ-ი?	აირ-წვეთოვანი გზით; აივ-ის მატარებელთან კომუნიკაციის; მეგობრული გადახვევის; კოცნის; ხელის ჩამორთმევის დროს; მწერების მეშვეობით.
ვინ შეიძლება იყოს აივ-ით დაავადებული?	ის, ვინც არ იცის, თუ როგორ გადადის ეს დაავადება და არ იღებს ზომებს მისი პრევენციისათვის.

თემა 7 - ორგანიზებული დანაშაული

მიზანი

მოსწავლეები გაეცნობიან ორგანიზებული დანაშაულის ტიპებს. მოსწავლეები გაიაზრებენ ორგანიზებული დანაშაულის საშიშროებას ადამიანისა და საზოგადოების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, პოლიციის მნიშვნელობას თითოეული მოქალაქისა და მთელი საზოგადოებისთვის.

ხანგრძლივობა - ორი გაკვეთილი (2 აკადემიური საათი).

საჭირო რესურსები – ვიდეოსიუჟეტი "არასრულწლოვანი ატენელები", ვიდეოსიუჟეტი „კანონიერი ქურდების წინააღმდეგ ბრძოლა", ფურცლები, კალმები, პატარა ბარათები, მარკერები, დიდი ფორმატის ქაღალდები.

I გაკვეთილი - რას ნიშნავს ორგანიზებული დანაშაული

გაკვეთილის პროცესი

სამართალდამცველი მოსწავლეებს განუმარტავს ორგანიზებული დანაშაულის არსებით ნიშნებს, უხსნის ინდივიდუალური და ორგანიზებული დანაშაულის განსხვავებებსა და მსგავსებებს. მოკლედ ახასიათებს ორგანიზებული დანაშაულის 8 ძირითად ნიშანს და წერს დაფაზე. ამასთან, იგი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მე-20 საუკუნიდან მოყოლებული ორგანიზებული დამნაშავეები სულ უფრო მეტად ცდილობენ არასრულწლოვანთა ჩართვას თავიანთ საქმიანობაში და ეს გლობალურ პრობლემად არის ქცეული. მოჰყავს ორგანიზებული დანაშაულის სახეები და კონკრეტული მაგალითები საკუთარი ან თანამშრომლების გამოცდილებიდან (დრო – 10 წუთი).

მასწავლებელი კლასს სთხოვს მოიყვანოს ადგილობრივი (ქუჩის) ბანდების, ქვეყნის მასშტაბის და საერთაშორისო დონის ორგანიზებულ დამნაშავეთა მაგალითები, რომელთა შესახებაც გაუგიათ, ხოლო სამართალდამცველი აღნიშნავს მათ დაფაზე შესაბამის 3-სვეტიან ცხრილში (დრო – 5 წუთი)

ადგილობრივი (ქუჩის) ბანდები	ქვეყნის მასშტაბით მოქმედი დანაშაულებრივი ჯგუფი	საერთაშორისო დონის დანაშაულებრივი ჯგუფი

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს სამართალდამცველს, განმარტოს, რამდენად შეესაბამება მოყვანილი მაგალითები ორგანიზებული დანაშაულის ნიშნებს (დრო – 5 წუთი).

სამართალდამცველი მოსწავლეებს სთხოვს, გაარკვიონ ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობის უარყოფითი შედეგები პიროვნებისა და საზოგადოებისათვის, საკუთარი მოსაზრებები განამტკიცონ კონკრეტული მაგალითების გახსენებით. მასწავლებელი იყენებს ამ კითხვას საკლასო დისკუსიის წარმართვისთვის, სადაც სამართალდამცველიც სხვა მოსწავლეებივით მონაწილეობს. სამართალდამცველი ამ დისკუსიაში მონაწილეობისას აღწერს და განმარტავს „ქურდული სამყაროს" ფენომენს საქართველოში, უჩვენებს სიუჟეტს „კანონიერი ქურდების წინააღმდეგ ბრძოლა" (დრო – 15 წუთი).

შემდეგ მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს ოთხ ჯგუფად და სთხოვს მათ, 5-წუთიანი განხილვის შედეგად თითო წუთის განმავლობაში წარმოადგინონ შეჯერებული პასუხები კითხვებზე:

- გაუგიათ თუ არა ტერმინი „კანონიერი ქურდი"?
- მათი აზრით, რა იგულისხმება ამ ტერმინში?
- რა ფუნქცია აკისრია „კანონიერ ქურდს" საზოგადოებაში?
- მათი აზრით, ეს სტატუსი დადებითი დატვირთვის მატარებელია თუ უარყოფითის?

თითოეული ჯგუფის მოსაზრებებს სამართალდამცველი ან მასწავლებელი აღნიშნავს დაფაზე (დრო – 5 წუთი).

შემდეგ მასწავლებელი გონებრივი იერიშის მეთოდით ავსებს T-სქემას დაფაზე „კანონიერება და ქურდი". იგი მოსწავლეებს ჯერ სთხოვს, გაიხსენონ რას გულისხმობს ტერმინი „კანონიერება", შემდეგ სთხოვს განმარტონ, რა იგულისხმება ტერმინში – „ქურდი". ბოლოს ამ ორი ტერმინის განმარტებას სთხოვს სამართალდამცველს (დრო – 5 წუთი).

ახლა კი მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმსჯელონ, რამდენად შეიძლება შეესაბამებოდეს ეს ორი ტერმინი („კანონიერი" და „ქურდი") ერთმანეთს? კლასში გამოთქმულ 3-4 მოსაზრებას სამართალდამცველი აღნიშნავს დაფაზე. დასასრულ, იგი თავად განმარტავს იმ შესაბამისობა-შეუსაბამობას, რომელიც გამოვლინდა მოსწავლეთა დასკვნებში (დრო – 5 წუთი).

II გაკვეთილი – ორგანიზებული დანაშაულის სახეები და შედეგები

გაკვეთილის პროცესი

წინა გააკვეთილზე მიღებული ინფორმაციისა და გამოთქმული შეხედულებების ანალიზისათვის მასწავლებელი ყოფს კლასს 4 ჯგუფად ისე, რომ დებატებში

მონაწილე 2 ჯგუფის მოსწავლეები შერეულად დაკომპლექტდნენ. იგი აძლევს ჯგუფებს დავალებას (დრო – 10 წუთი):

- განიხილეთ "ქურდული სამყაროს" სტრუქტურა და მოქმედება ორგანიზებული დანაშაულის ძირითადი ნიშნების მიხედვით. შესაბამისობები განსაზღვრეთ ცხრილის სახით.
- შეთანხმდით დადაასახელეთ თქვენთვის მისაბაძი მაღალზნეობრივი პიროვნების 10 ძირითადი თვისება.
- თითოეულ თვისებასთან მიმართებით განიხილეთ დებატების დროს წარმოჩენილი "კანონიერი ქურდის" საერთო პორტრეტი და არგუმენტირებულად განსაზღვრეთ,რამდენად შეესაბამება იგი თქვენთვის მისაბაძ პიროვნებას?

ჯგუფებს საკუთარი ნამუშევრების წარმოსადგენად ეძლევათ 3-3 წუთი.

შემდეგ მასწავლებელი კლასს აჩვენებს ვიდეოსიუჟეტს "არასრულწლოვანი ატენელები". იგი მოსწავლეებს ყოფს 4 ჯგუფად და აძლევს დავალებას (დრო – 10 წუთი):

- განსაზღვრეთ, არის თუ არა აღნიშნული შემთხვევა ორგანიზებული დანაშაულის მაგალითი?
- დაასახელეთ მიზეზები, რის გამოც მოზარდებმა მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება.
- რაში გამოიხატება ამ შემთხვევის კავშირი ორგანიზებულ დანაშაულთან ("ქურდულ სამყაროსთან")?
- როგორ უნდა მოხდეს ასეთი სახიფათო მოვლენების თავიდან აცილება?

ჯგუფებს საკუთარი ნამუშევრების წარმოსადგენად ეძლევათ 3-3 წუთი.

მასწავლებელი მიმართავს სამართალდამცველს, გააცნოს კლასს, თუ ვის შეუძლია განახორციელოს ის დადებითი მოქმედება, რომელსაც ვითომ ასრულებდა ან ასრულებს საზოგადოებაში „ქურდული სამყაროს" წარმომადგენელი, თან დაასაბუთოს, რატომ არის სასურველი, რომ მის მიერ დასახელებულმა კანონმორჩილმა პროფესიონალებმა განახორციელონ ეს მოქმედება (დრო – 5-7 წუთი).

მაგალითად:

- მოსამართლეს შეუძლია გადაჭრას საზოგადოების წევრებს შორის წარმოშობილი დავა, მოსამართლე, თავისი სტატუსიდან გამომდინარე, დავის გადაჭრისას იქნება სამართლიანი, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სხვა.
- კონფლიქტოლოგი, მედიატორი, სოციალური მუშაკი, რომელთაც, პროფესიონალიზმიდან გამომდინარე, აქვთ დავის გადაჭრისა და კონფლიქტის მოგვარების უნარ-ჩვევები და სხვა.

კორუფცია

კორუფცია ლათინური სიტყვაა და გაუარესებას/დაზიანებას, გაუფასურებასა და გარყვნილებას ნიშნავს.

კორუფცია ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს, რაც პირადი თუ სხვა ინტერესებიდან გამომდინარე ხდება და გამოიხატება ქმედებაში ან უმოქმედებაში. კორუფცია, როგორც მინიჭებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, შეიძლება ბევრნაირი სახის იყოს. კორუფციაა, მაგალითად, მექრთამეობა: ქრთამის აღება, მიცემა, მითვისება, ამ დროს შუამავლობა; პროტექციონიზმი; თანამდებობის ან კავშირის ბოროტად გამოყენება: თანამდებობით მინიჭებული უფლებების ბოროტად გამოყენება ან გადამეტება, თანამდებობის ბოროტად გამოყენების გზით სახელმწიფო ქონების მითვისება ან გაფლანგვა, გაყალბება ან საკუთარი ინტერესებისათვის სხვაგვარად გამოყენება.

მაფია

Morte alla Francia, Italia anela! – სიკვდილი ფრანგებს, ამოსუნთქვა იტალიას!
Morte Ai Francesi, Invasori, Assassini! - სიკვდილი ფრანგებს, დამპყრობლებს და მკვლელებს (1282).
Mazzini Autorizza Furti Incenti Avvelenamenti – მაცინი ბრძანებს ყაჩაღობას, მოწამვლას და ცეცხლის წაკიდებას.

არაბული ენის მიხედვით:
მაჰა – გამოქვაბული.
მაფია – ერქვა სიცილიურ დიალექტზე გამოქვაბულებს, რომლებსაც ხალხი აფარებდა თავს.
მა ჰიას – "მარიაჟი", თავმაღალი, გამანადგურებელი.
მაჰფილ – თავშეყრა.
მუ აფა – თავშესაფრის მიცემა.
მა აფირ – ტომი, რომელიც 831 – 1072 წლებში სიცილიაში ბატონობდა.

სიცილიური დიალექტი:
მაფიუზუ, მარფუზუ – ამაყი, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონე, თავდაჯერებული, მამაცი და ლამაზი.

სხვადასხვა იტალიური დიალექტებიდან:
მალფუზო – ურწმუნო, დამნაშავე.
მაფია ან მაფფია – ღარიბი, გასაჭირი.
მაფი, მაფიო ან მაფიუნ – პატარა, შეუხედავი კაცი; გლეხი, ყოველგვარი მანერების გარეშე.

ლეგენდა: ლეგენდის მიხედვით, სიცილიელი ქალიშვილი გააუპატიურა საფრანგეთის ჯარის ერთ-ერთმა რიგითმა. გოგონას დედა გამოვიდა ქუჩაში და ყვიროდა: „Ma – ffia! Ma – ffia!“ – ჩემი გოგო, ჩემი გოგო. Ma – ffia! – მოგვიანებით იქცა ფრანგებისათვის წინააღმდეგობის გაწევის სიმბოლოდ.

1860 – ოფიციალურად პირველად გვხვდება სიტყვა „მაფია“.
1865 – სიცილიის სამართალდამცავი ორგანოები “მაფიას” უწოდებენ ქუჩის ყაჩაღებს და დამნაშავეებს.
1871 – წესრიგის დაცვის შესახებ სიცილიურ კანონში სიტყვა “მაფია” გულისხმობს მოწანწალე, ეჭვმიტანილ პირებს.
1875 წელს თითქმის ყველა ევროპულ ენაზე გვხვდება ამ სიტყვის გამოყენების შემთხვევები.

“მაფიურ” სტრუქტურებს დასაბამი სიცილიაში დაედოთ, მე-19 საუკუნის შუა პერიოდში, როდესაც სიცილიაზე დაინგრა ბატონყმური წყობილება და გლეხმა პირადი თავისუფლება მიიღო, მიწის გარეშე. მიწის ნაკვეთები მათი მფლობელებისაგან იჯარით აიღეს “გაბელუტებმა” და უფრო დიდი პროცენტით მიაგირევეს გლეხებს.

“გაბელუტები” გლეხთა უსაფრთხოების დასაცავად მათ ართმევდნენ გადასახადს – “პიცუ”. “გაბელუტებს” ამისთვის ჰყავდათ თავისი “რაზმი”.

1861 წელს სამხედრო სამსახურის საყოველთაოდ გამოცხადებამ გამოიწვია სიცილიელთა უკმაყოფილება და ისინი რჩევით მიმართავდნენ “გაბელუტებს”. “გაბელუტებმა” ნელ-ნელა დაიმკვიდრეს გლეხთა ცხოვრებაში სახელმწიფოს ადგილი. სიცილიელები ამ ახლად ჩამოყალიბებულ მაფიას ეძახდნენ: ღირსების მქონე საზოგადოებას!

1881 წლიდან მაფიამ შეძლო, თავისი კონსერვატორი კანდიდატებიც კი გაეყვანა არჩევით ორგანოებში.

პირველ მსოფლიო ომის დროს “მაფია” ამარაგებდა იტალიის ჯარს ახალი კადრებით და ამით დიდი ქონების ხელში ჩაგდება მოახერხა.

1922 წლიდან იტალია ხელში ჩაიგდეს ფაშისტებმა. მუსოლინის წარმომადგენელი სიცილიაზე იყო ჩეზარე მორი. პირველად მორიმ შეძლო დიდი დარტყმა მიეყენებინა მაფიური ძალაუფლებისათვის. მორის სიცილიაში მოსვლის შემდეგ საგრძნობლად შესუსტდა მაფიის გავლენა მის ეკონომიკასა და პოლიტიკაზე.

მეორე მსოფლიო ომის დასასრულს აშშ-იდან იტალიაში ჩამოდის ლაკი ლუჩიანო და კონტაქტს ამყარებს მაფიოზ დონ კარლო ვიცინისთან, რომელიც დაეხმარა აშშ-ს მუსოლინის წინააღმდეგ ბრძოლაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სიცილია ხდება ავტონომია და შეუძლებელი ხდება მისი შემდგომი სახელმწიფო კონტროლი.

1945 წლიდან იქმნება ახალი ტიპის მაფია, რომელიც მარტო გლეხების შევიწროვებას აღარ სჯერდება და ფესვებს იდგამს მშენებლობის, ნარკომანიის და ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში (კორლეონე).

1982 წელს მიიღეს კანონი ანტი-მაფიის შესახებ. ამ კანონით სიცილიის ავტონომია ერთგვარად შეზღუდეს, კერძოდ, რეგიონალური საბანკო კონტროლი გადავიდა ცენტრალური ხელისუფლების (რომის) ხელში. გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებდა 1. იმ პირთა დასჯას, ვინც მაფიის წევრი იყო და 2. იმ პირთა დაცვას, ვინც მაფიის წინააღმდეგ ჩვენებას მისცემდა. ამ კანონმა განაპირობა ანიტი-მაფიური კომისიის გააქტიურება. სულ მოკლე დროში შესაძლებელი გახდა საზოგადოებისათვის ცნობილი ყოფილიყო მაფიის შიდა სტრუქტურა, იერარქია, მუშაობის სტილი და ყველა ის დეტალი, რომლებიც მანამდე მხოლოდ ჭორის დონეზე იყო ცნობილი. სულ მოკლე დროში დააკავეს ცნობილი მაფია-მეთაურები და ამოიღეს 100 მილიარდამდე ლირა.

1992 წელი დახოცეს მაფიასთან მებრძოლი სიცილიელი მოსამართლეები ფალკონე და ბორსელინო.
2004-2005 წლებში ნეაპოლში მაფიურმა ჯგუფმა "კამორამ" მიერ მოკლა 200-ზე მეტი პირი.

კოზა ნოსტრა აშშ-ში

მე-19 საუკუნის დასასრულს აშშ-ში ემიგრირებულ იქნა 800 000 სიცილიელი. მათ დაიწყეს ბანდების ჩამოყალიბება და იტალიელებისთვის ფულის გამოძალვა.

ცნობილი მაფიოზები იყვნენ:
ალ კაპონე ჩიკაგოში. ალკოჰოლის აკრძალვის პერიოდში (1919-31) მან მოახერხა დიდი ფულის დაგროვება. დაიღუპა ფილტვების ანთებით და სიფილისტით.
ლაკი ლუჩიანო: იგი აშშ-ში პატარაობისას ჩავიდა. 10 წლისა უკვე "აწერებდა" სხვა ბავშვებს ფულს. 1962 წელს დაიღუპა გულის შეტევით.

ჩინური ტრიადენი

ჩამოყალიბდა მე-18 საუკუნეში. ინგლისელები ინდოეთში მოყვანილ ოპიუმს ყიდდნენ ჩინეთში, სწორედ ეს ითვლება ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბების პირველ ეტაპად. მას 300 000 წევრი ჰყავს. წევრად გახდომის პირობაა ვინმეს მოკვლა. ახლა ისინი ფულს სძალავენ ჩინურ რესტორნებს (მაგ; აიძულებენ მათ 500 დოლარად იყიდონ თევზის საჭმელი) და ბიზნესმენებს ევროპაში და აშშ-ში, ვაჭრობენ ადამიანებით.

„ქურდული სამყარო„

ქურდული სამყაროს წარმოშობის მიზეზები, სოციალურ-პოლიტიკური ასპექტი და წარმოშობის თეორიები

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა განვიხილოთ „ქურდული სამყაროს" წარმოშობა და გაძლიერება, ასევე, ის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, რამაც განაპირობა „ქურდული სამყაროს" გაჩენა და მისთვის ასეთი ავტორიტეტის მინიჭება.

„ქურდული სამყარო", ისევე როგორც ზოგადად ნებისმიერი დანაშაული, წარმოადგენს სოციალურ მოვლენას, იგი მჭიდრო კავშირშია სხვა საზოგადოებრივ მოვლენებთან, საზოგადოებასა და პოლიტიკასთან. ეს ფაქტორები მის წარმოშობაში უდიდეს როლს თამაშობს და ამიტომაც მათი განხილვა საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ერთი შეხედვით, თითქოს აღნიშნული დანაშაულის გაჩენის მიზეზი ისეთივეა, როგორიც სხვა ნებისმიერი დანაშაულისა, თუმცა ის ფაქტი, რომ „ქურდული სამყაროს" მსგავსი ორგანიზებული დანაშაულები (იტალიური მაფია, ტრიადები, იაკუძა) ყველა სახელმწიფოში არ არსებობს, მიუთითებს, რომ მას სპეციფიკური მიზეზები აქვს. ალბათ ზოგიერთმა ფაქტორმა უფრო მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა „ქურდული სამყაროს" წარმოქმნაზე და ეს არ არის ერთი ძლიერი ფაქტორი, არამედ ესაა ბევრი მიზეზის ურთიერთზემოქმედების შედეგი.

იმის გამო, რომ „ქურდული სამყარო" გაჩნდა საბჭოთა კავშირში, საჭიროა იმ ქვეყანაში მისი წარმოშობის მიზეზების განხილვა და იმ პერიოდის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შესწავლა.

ჰ. აბადინსკის მიაჩნია, რომ „ქურდული სამყაროს" გაჩენის მიზეზები, ფაქტობრივად, ანალოგიურია იტალიური მაფიის ჩამოყალიბების მიზეზებისა. ისევე, როგორც იტალიაში მაფიის ჩამოყალიბება განაპირობა უცხოელი დამპყრობლების მიერ იტალიის ხელში ჩაგდებამ და ამან გამოიწვია საზოგადოების პროტესტი, ანალოგიურად საბჭოთა კავშირში რევოლუციის შემდეგ კომუნისტების მოსვლამ და გაუთავებელმა რეპრესიამ ხალხში გააჩინა უნდობლობისა და პროტესტის გრძნობა. ამას დაემატა ისიც, რომ სახელმწიფოში ჩამოყალიბდა სოციალიზმი, სადაც ადამიანი უბრალო ჭანჭიკია დიდი სოციალისტური მანქანისა. ამრიგად, „სახელმწიფო, როგორც მტრის ხატი" წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს „ქურდული სამყაროს" ჩამოყალიბებისა და საზოგადოების მიერ მისი აღიარებისა.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ რევოლუციის შედეგად დამყარებული მმართველობა თავად იყო დანაშაულებრივი და შედგებოდა კრიმინალებისაგან. „განსა-

კუთრებით ბევრმა კრიმინალურმა ელემენტმა ჰპოვა თავშესაფარი საქართველოს ბოლშევიკების სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რომელიც, უმეტესად, ტერორიზმით, ექსპროპრიაციით, შეკვეთილი მკვლელობებითა და გამოძალვით იყო დაკავებული. ამ პერიოდის პარტიის აქტიური ფუნქციონერები იყვნენ ი. ჯუღაშვილი (სტალინი), ს. ორჯონიკიძე, კამო, ფ. მახარაძე და სხვები, რომელთაგან ბევრი შემდგომში საბჭოთა კავშირის პარტიული ხელმძღვანელი გახდა." ისინი ქვეყნის მართვას წარსულში მიღებული კრიმინალური გამოცდილების შესაბამისად შეუდგნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალისტ რევოლუციონერთა დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული თანხები ბოლშევიკური რევოლუციის მოსაწყობად ძირითად ფინანსურ რესურსად იქცა. ამრიგად, თავად სახელმწიფო იყო ერთი დიდი პოლიტიკურ-კრიმინალური გაერთიანება, რამაც თავისთავად განაპირობა კიდევაც „ქურდული სამყაროს" შექმნა.

გარდა აღნიშნულისა, „ქურდული სამყაროს" გაჩენას ხელი შეუწყო ისეთმა პოლიტიკურმა გარემოებებმა, როგორებიცაა: საბჭოთა კავშირში უამრავი ადამიანის ციხეში მოხვედრა და რევოლუციის შემდგომი რეპრესიებით ათასობით ადამიანის ციმბირში გადასახლება. მათ შორის იყვნენ როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეები, ასევე უდანაშაულოები (ინტელიგენცია, პოლიტპატიმრები და ა.შ.), შედეგად კი ნელ-ნელა ციხიდან გამოსულ ადამიანებს იქიდან გამოჰქონდათ „ქურდული აზროვნება". იმდროინდელი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ციხეში ნამყოფი იყო და იცოდა იქაური წესები. ხედავდა, რომ აღნიშნული წესებით სამართლიანობის მიღწევა უფრო შესაძლებელი იყო, ვიდრე სახელმწიფოსთან კავშირით. აქედან კი იწყება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი – ესაა სასამართლო ხელისუფლებისა და სამართლის არარსებობა. აღნიშნული ფუნქცია შეითავსეს „კანონიერმა ქურდებმა," ანუ მათ დაიკავეს ის ვაკუუმი, რომელიც სახელმწიფოს არასწორი პოლიტიკის შედეგად დარჩა. დასახელებულ გარემოებებს დაემატა სამართალდამცავთა კორუმპირებულობა და სისუსტე.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ მიზეზს წარმოადგენდა, ასევე, სახელმწიფოსა და ხელისუფლებაში ავტორიტეტული ფიგურის არარსებობა. მართალია, იყო სტალინი, მაგრამ იგი ავტორიტეტს მხოლოდ პარტიული ნომენკლატურისათვის წარმოადგენდა, ხოლო საზოგადოებას მისი ეშინოდა, განსაკუთრებით 1936-1937 წლების შემდეგ, ამიტომაც საზოგადოება, რომელსაც სჭირდებოდა ლიდერი და ავტორიტეტი, ცუდსა და უარესს შორის ცუდს არჩევდა და ავტორიტეტად „კანონიერ ქურდს" აღიარებდა, რომელიც საზოგადოების ნაწილად იქცა და რომელიც მოჩვენებითად უბრალო ხალხის გვერდით იდგა.

უბრალო ადამიანი „ქურდული სამყაროს" წევრობით უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს, ვიდრე ხელისუფლებისადმი ლოიალური და კანონმორჩილი მოქალაქე.

ყოველივე ამან საკმაოდ ნოყიერი ნიადაგი შექმნა „ქურდული სამყაროს" ჩამოსაყალიბებლად და ხელი შეუწყო საზოგადოებაში მის დამკვიდრებასა და განვითარებას.
საინტერესოა, თუ როგორ გაჩნდა „ქურდული სამყარო" საქართველოში. საქარ-

თველოში ის იმპორტის გზით შემოვიდა თუ ჩვენს ქვეყანაში და მთელს საბ-ჭოთა კავშირში ერთდროულად აღმოცენდა? აღნიშნულ კითხვას აქვე შეიძლე-ბა გაეცეს პასუხი.

ზოგადად, როგორც ასეთი, ორგანიზებული დანაშაული, „ქურდული სამყარო" და „კანონიერი ქურდი" საქართველოში არ არსებობდა და იგი, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის პირმშოა, თუმცა ქართულ მენტალიტეტში და საზოგადოება-ში ყოველთვის არსებობდა „კანონიერი ქურდის" ანალოგი, რაც განპირობებუ-ლია ქართველებისათვის ასე ძლიერ დამახასიათებელი თვისებებით. დაბალი სამართლებრივი კულტურა, თავისუფლებისმოყვარეობა (მათ შორის კანონი-საგან თავისუფლების), დაუწერელი მორალური წესების არსებობა და მათი პატივისცემა, ავტორიტეტისადმი მორჩილება, ლიდერობის სურვილი. ყოვე-ლივე აქედან გამომდინარე, ქართულ საზოგადოებაში მუდამ არსებობდნენ ავტორიტეტები: ხევისბრები, მახვშები და ა.შ, რომლებიც ასევე დაუწერელი წესების შესაბამისად და მიხედვით აკონტროლებდნენ საზოგადოებას. ამრიგად, „ქურდული სამყარო," რა თქმა უნდა, არ არის წმინდა ქართული ფენომენი და იგი საბჭოთა კავშირში შექმნილი ორგანიზებული დანაშაულია, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი არ ყოფილა უცხო ქართული საზოგადოებისათვის და ალბათ ამიტომაც საქართველომ აღნიშნული დანაშაული, საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, უფრო ადვილად მიიღო და შეითვისა.

„კანონიერი ქურდების" ინსტიტუტი ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის ოცდაათიან წლებში საბჭოთა ციხეებში. არსებობს მრავალი ვერსია იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა ამ ინსტიტუტის გაჩენა. თუმცა, ნათელია ის ფაქტი, რომ „ქურდული სამყარო" თავისით არ შექმნილია, იგი შექმნეს. არის მოსაზრება, რომ იგი თავად სახელმწიფომ შექმნა იმისათვის, რომ გაეკონტროლებინა პატიმრებით გავსებული ციხეები, დაერეგულირებინა ციხეებში სიტუაცია, რადგანაც იმ პირ-თა რაოდენობა, რომლებიც ამ პერიოდის საბჭოთა კავშირის ციხეებსა თუ გა-დასახლებებში იმყოფებოდნენ, აშკარად შეუსაბამო იყო იმ ჯარისკაცებისა თუ პოლიციელების რაოდენობასთან, რომლებიც მათ იცავდნენ.

არსებობს ვერსია, რომ „ქურდული სამყარო" საბჭოთა ხელისუფლების მიერ შეიქმნა, როგორც სოციალური კონტროლის მექანიზმი, ისევე როგორც შუა საუკუნეებში არსებობდა სოციალურ კონტროლის განმახორციელებელი ბე-რების ორდენები. „საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლოა, თუ რომელმა პარტიულმა ფუნქციონერმა გადაწყვიტა ბერების ორდენის ანალოგი შეექმნა საზოგადოებაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით. ეს პროქტი წარმატებით განხორციელდა და მისი შედეგი ჩვენს გარემოში დღემდე აქტიურად ცოცხ-ლობს. ეს არის სოციალური ინსტიტუტი, რომელიც კანონიერი ქურდების სა-ხელითაა ცნობილი."

დღემდე ბურუსითაა მოცული, კრიმინალების გაერთიანებისათვის ბერული ორ-დენის სახის მიცემა "ლაგერ"-ციხეებში მოხდა თუ „თავისუფლებაზე", როდე-საც პარტიული ინტელექტუალები მიხვდნენ, რომ ყველა უკმაყოფილოს დაჭერას, დახვრეტას ან გადასახლებას ვერ შეძლებდნენ. კრიმინალურმა გაერთიანებამ

უცბად შეიძინა ბერობის ნიშნები: კანონიერი ქურდების კოდექსი შეიცავს ყველა იმ კანონს, რომლებიც ბერებს ჰქონდათ: ცელიბატი, საკუთრებაზე უარის თქმა, გაჭირვებულის და მიუსაფარის თანაგრძნობა, პოლიტიკაში ჩაურევლობა და სხვა.

აღნიშნული ვერსიის თანახმად, ქურდები ხელისუფლების მიერ კონტროლირდებოდნენ და მათი არსებობა თავად ხელისუფლების კეთილი ნებიდან გამომდინარეობდა. „რა თქმა უნდა, კანონიერ ქურდებს შორისაც იყვნენ დაუმორჩილებლები და მათზე ლეგენდების წარმოება და კვლავწარმოება ისევ და ისევ საბჭოთა სპეცსამსახურების დახმარებით ხდებოდა იმისათვის, რომ კანონიერ ქურდთა ორდენის ხიბლი გაეძლიერებინა." მართალია, საბჭოთა ხელისუფლებამ, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო „კანონიერი ქურდების" ჩამოყალიბებას, როცა ციხეში კრიმინალური ავტორიტეტების გამოყენება დაიწყო წესრიგის დასამყარებლად, თუმცა შემდეგ მათ დაკარგეს კონტროლი და ქურდებმა ძალიან მნიშვნელოვანი ძალაუფლება მოიპოვეს როგორც ციხეში, ასევე ციხის გარეთ და სახელმწიფოც უძლური აღმოჩნდა მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. ამრიგად, მართალია სახელმწიფომ შექმნა „ქურდული სამყარო", როგორც სოციალური კონტროლის მექანიზმი, მაგრამ, სამწუხაროდ, თავად დაკარგა მასზე კონტროლი. „ქურდული სამყარო," მართალია, გარკვეულწილად ახორციელებდა სოციალურ კონტროლს, მაგრამ ეს იყო კრიმინალური სამყაროს მიერ შექმნილი მექანიზმი, რომელიც თავად საზოგადოებისათვის გახდა მისაღები, ჩვენ მიერ უკვე განხილული მიზეზების გამო.

ამრიგად, საკმაოდ მნიშვნელოვანია, განხილულ იქნეს ქურდული სამყაროს წარმოშობისა და განვითარების ისტორია, რათა ნათლად გამოჩნდეს ის დადებითი ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფომ გაატარა „ქურდული სამყაროს" წინააღმდეგ ბრძოლაში და ის შეცდომები, რომლებიც იქნა დაშვებული და რამაც განაპირობა „ქურდული სამყაროს" დღემდე მოღწევა. ამის შესწავლა კი დაგვეხმარება წარსულის გამოცდილებაზე დაყრდნობით შევიმუშაოთ ბრძოლის სწორი ტაქტიკა.

რა თქმა უნდა, კრიმინალურ სამყაროში „კანონიერ ქურდებამდეც" არსებობდნენ ავტორიტეტები, რომლებიც აკონტროლებდნენ დამნაშავეებს როგორც ციხეში, ასევე ციხის გარეთ. თუმცა, „კანონიერი ქურდებისაგან" განსხვავებით, მათი ავტორიტეტი მარტო კრიმინალებზე ვრცელდებოდა და ისინი საზოგადოებაში მიღებულები არ იყვნენ.

„საბჭოთა კავშირში "კანონიერი ქურდების" წინამორბედები 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გამოჩნდნენ. დანაშაულებრივი სამყაროს ორგანიზაციის შიდა სისტემის თითქმის სამსაუკუნოვანი ისტორია მემკვიდრეობით კავშირს უზრუნველყოფდა და თავისი ტრადიციების, ადათ-წესების, "კანონების" კულტივირებას ახდენდა." სწორედ ამ დაგროვებულ გამოცდილებაზე ნელ-ნელა აღმოცენდა „ქურდული სამყარო."

რუსეთში კრიმინალური ავტორიტეტები პირველად რევოლუციის შემდეგ გაჩნ-

დენ, როდესაც დანაშაულებრივ სამყაროში გამოიყო ორი ძირითადი მიმართულება. პირველი – დამნაშავენი რევოლუციამდელი სტაჟით, მეორე – პირები, რომლებიც დანაშაულის გზას დაადგნენ საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის შედეგად. ამ უკანასკნელებმა შეძლეს და მოახერხეს თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ ის დამნაშავეებიც, რომლებსაც უფრო დიდი კრიმინალური გამოცდილება და უფრო ხანგრძლივი დანაშაულებრივი სტაჟი ჰქონდათ, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა „ჟიგანების" კასტა, ხოლო ჯგუფის წევრებს, რომლებსაც „ჟიგანები" ხელმძღვანელობდნენ, ეწოდათ „შპანა." სწორედ აღნიშნულ პერიოდში „ჟიგანების" მიერ ჩამოყალიბდა ის ძირითადი წესები, რომლებიც შემდგომში საფუძვლად დაედო „ქურდულ კანონებს." „ჟიგანები" საკუთარ დანაშაულებრივ მოქმედებას პოლიტიკური სარჩულით ხსნიდნენ, "ჟიგანების" მიერ შექმნილი წესები და კანონები მიმართული იყო ახალი პოლიტიკური რეჟიმისადმი ოპოზიციური იდეოლოგიის გასამყარებლად და მდგომარეობდა:

- „საზოგადოებისათვის სასარგებლო რაიმე სამუშაოს შესრულების აკრძალვაში;
- ოფიციალური ოჯახის შექმნის აკრძალვაში;
- იარაღით ხელში სახელმწიფოს დაცვაში მონაწილეობის აკრძალვაში;
- დაზარალებულის ან მოწმის სახით ოფიციალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის აკრძალვაში;
- საერთო სალაროში ფულის შეტანის ვალდებულებაში."

ეს წესები იქცა საფუძვლად და პირველ ნაბიჯად ახალი ტრადიციებისა და ადათ-წესების ფორმირებისაკენ, რომლებსაც შემდგომში „ქურდული სამყაროს" ტრადიციული ატრიბუტები (ტატუირება, ჟარგონი, ჟესტები) და ემოციური ელემენტები (სიმღერა, პროზა, თხრობა) მოჰყვა და მათ ერთად პროფესიული დამნაშავის არსი განსაზღვრეს.

თუმცა, „ჟიგანების" ასეთ ავტორიტეტს ვერ ეგუებოდნენ ხანგრძლივი „სტაჟის" მქონე კრიმინალები, რომლებშიც ძირითადად შედიოდნენ ქურდები და თაღლითები (სწორედ ეს დანაშაულები ითვლებოდა ყველაზე ავტორიტეტულად). „ბრძოლას ძალაუფლებისათვის, რომელიც 20-30-იან წლებში გრძელდებოდა, დანაშაულებრივ სამყაროში კარდინალური ცვლილებები მოჰყვა. კრიმინალური იერარქიის ქვედა საფეხურზე მდგარმა კრიმინალებმა, რომელთაც "ჟიგანები" მართავდნენ და თავს "ურკებს" უწოდებდნენ, უარი განაცხადეს ლიდერების მორჩილებაზე, რასაც ძალაუფლებისათვის ნამდვილი ომი მოჰყვა. "ურკებმა" და მათმა მხარდამჭერმა ქურდებმა გაიმარჯვეს და რევოლუციამდელი და ახალი ტრადიციების სიმბიოზის საფუძველზე კრიმინალური სამყაროსათვის ქცევის ახალი ნორმების კულტივირება იწყეს. სინთეზის შედეგად შეიქმნა არაფორმალური "ქურდული კანონი", რომელიც აწესრიგებდა ქცევის წესებს კრიმინალურ გარემოში და ადეკვატურად ასახავდა არსებული სოციალური სისტემის, როგორც ობიექტური სინამდვილის, რეალიებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დამუშავდა და დამტკიცდა დაუწერელი "ქურდული კანონი", რომელიც მთლიანად დანაშაულებრივი სამყაროს ტრადიციებს ეფუძნებოდა. ამ კანონის

მხარდამჭერი ლიდერები საკუთარი თავს "კანონიერ ქურდებს" უწოდებდნენ." ამრიგად, როგორც ვხედავთ, პოსტრევოლუციურ საბჭოთა კავშირში შექმნილმა საზოგადოებრივმა მდგომარეობამ გავლენა მოახდინა კრიმინალურ სამყაროზეც, რაც წინაპირობა გახდა „ქურდული სამყაროს" შექმნისა.

„ქურდული სამყაროს" აღმოცენება ზემოთ აღნიშნულ ტრადიციებზე დაიწყო 1929 წლიდან, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირმა შექმნა სპეციალური სამმართველო ე.წ. „გულაგი," რომელსაც საბჭოთა ციხეებზე კონტროლი დაევალა. იგი ძირითადად ეკონომიკური მიზნებით ჩამოყალიბდა. მილიონობით უფასო მუშახელი ითვისებდა მაღაროებს, მათვე გაჰყავდათ არხები და გზები, აშენებდნენ ქალაქებს. თუმცა პატიმართა ურიცხვ არმიას სჭირდებოდა გენერალი, შიდა მართვის ბერკეტები. აღნიშნულ სიტუაციაში კრიმინალური ავტორიტეტების გამოჩენას ლაგერ-ციხეებში ყველა მიესალმებოდა – როგორც ციხის ადმინისტრაცია, რომელსაც უჭირდა პატიმართა მართვა, ასევე თავად პატიმრებიც, რომელთა შორისაც ურთიერთობა არ კონტროლირდებოდა და იყო განუკითხაობა. „კანონიერი ქურდები" კი თავიანთი ავტორიტეტის მეშვეობით ადვილად ახერხებდნენ დასახელებული პრობლემების მოგვარებას. აღნიშნულის შედეგად ჩამოყალიბდა უმაღლესი „ქურდული კასტა" – „ბლატნიე" („ბლატნოები"). ეს იყო ის ხალხი,ვისაც თავად ციხის ადმინისტრაცია ანიჭებდა მთელ რიგ პრივილეგიებს იმის სანაცვლოდ, რომ მათ ეკონტროლებინათ პატიმრები.

სწორედ ამ პერიოდში დაიწყო „ქურდულმა სამყარომ" გაძლიერება. იგი ძლიერდებოდა და ვითარდებოდა, ავსებდა თავის რიგებს ახალი ლიდერებით. „საკადრო პოლიტიკა" იყო უმკაცრესი. „კანონიერი ქურდი" ყველა ვერ გახდებოდა. „ქურდული კანონები" გავრცელდა საბჭოთა კავშირის ყველა ციხეში. იკრძალებოდა უმიზეზოდ ვინმეს დაჭრა, მოკვლა, საკანში სხვა პატიმრის გაქურდვა. თავად „კანონიერი ქურდები" კი ყველაზე დაცულები იყვნენ, სასტიკად ისჯებოდა „კანონიერი ქურდის" შეურაცხყოფა ან მკვლელობა. ამრიგად, წარმოშობის მომენტიდანვე „ქურდულმა სამყარომ" საკმაოდ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა და მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთადერთ წამყვან კრიმინალურ დაჯგუფებად იქცა.

ამრიგად, სახელმწიფოს გულგრილობამ, უყურადღებობამ და, ასევე, ციხეში კონკრეტული კასტისათვის პრივილეგიების მინიჭებამ გამოიწვია „ქურდული სამყაროს" შექმნა. პენიტენციური სისტემის მოუწესრიგებლობა და ციხეებში სათანადო კონტროლის არარსებობა შეიძლება სახელმწიფოს ძვირად დაუჯდეს, რაც „ქურდული სამყაროს" მაგალითზეც გამოჩნდა. ციხის შიგნით შექმნილმა და სახელმწიფოს მიერ წახალისებულმა ორგანიზებულმა დანაშაულმა ციხის გარეთაც გამოაღწია და საზოგადოებასა და სახელმწიფოს დიდი საფრთხე შეუქმნა.

“ქურდული სამყაროს” განვითარება ციხეში და ციხის გარეთ

მნიშვნელოვანია განვიხილოთ „ქურდული სამყაროს” შემდგომი განვითარებაც, რადგანაც ამ საკითხის განხილვით გავარკვევთ, თუ როგორი რთული და წინააღმდეგობრივი გზა განვლო აღნიშნულმა ორგანიზებულმა დანაშაულმა და მაინც განაგრძობს არსებობას. გავერკვეთ, სადაა მისი სუსტი წერტილები და როგორ უნდა ვიმოქმედოთ მის წინააღმდეგ.

1937 წლის აგვისტოში გამასწორებელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა მიიღეს ბრძანება, რომლითაც “სამეულებისათვის” იმ პირთა საქმეების მომზადება და განხილვა მოითხოვებოდა, რომლებიც “აქტიურ ანტისაბჭოთა, ძირგამომთხრელ და სხვა დანაშაულებრივ საქმიანობას ეწეოდნენ”. ძირითადი დარტყმა უნდა განხორციელებულიყო ქურდულ გაერთიანებათა ლიდერებზეც. სულ, ეჟოვის ბრძანების საფუძველზე, შინსახკომის ბანაკებში დახვრიტეს 30 ათას კაცზე მეტი, რომელთა უმეტესობასაც დანაშაულებრივი სამყაროს ლიდერები შეადგენდნენ.”

რეპრესიების შემდეგ დაწყებულ მეორე მსოფლიო ომს მოჰყვა ლაგერებიდან პატიმრების ფრონტზე გაშვება. მათ შორის იყვნენ „კანონიერი ქურდებიც”, თუმცა „კანონიერი ქურდების” ნაწილმა არ უღალატა „ქურდულ კანონებს” და უარი განაცხადა ფრონტზე წასვლაზე. მრავალი ქურდი დაიღუპა ფრონტზე. გადარჩენილთაგან ბევრი კვლავ აღმოჩნდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და დანაშაულებრივ სფეროში რეინტეგრირება დაიწყო. აღნიშნულს წინ აღუდგა ქურდების ის ნაწილი, რომელმაც არ უღალატა “რწმენას”. დაბრუნებულ ქურდებს ისინი “ფრონტოვიკებს” და “გამყიდველ ძუკნებს” უწოდებდნენ. ამ ჯგუფებს შორის წარმოქმნილი დაპირისპირება “ძუკნების ომის” სახელწოდებითაა ცნობილი. აღნიშნული ომის შედეგად ციხეებში ბევრი „კანონიერი ქურდი” მოკლეს. საბოლოოდ „ავტომატშიკებმა” და ორთოდოქსმა ქურდებმა მიაღწიეს შეთანხმებას და „ქურდულმა კანონმა” პირველად განიცადა რადიკალური ცვლილება. კონკრეტულ შემთხვევებში დასაშვებად იქნა მიჩნეული ომში წასვლა და ხელისუფლებასთან თანამშრომლობა.

„ძუკნების ომის” შემდეგ კიდევ ერთი სერიოზული შეტაკება, რომელიც „კანონიერმა ქურდებმა” გადაიტანეს, იყო ე.წ. „პოლონელ ქურდებსა” და „კანონიერ ქურდებს” შორის გაჩენილი დაპირისპირება. „პოლონელი ქურდები” იყვნენ კრიმინალური ავტორიტეტები, რომლებმაც ნებაყოფლობით თქვეს უარი „ქურდულ კანონებზე” და თავიანთი კასტა ჩამოაყალიბეს შედარებით ლიბერალური კანონებით. მათ შორის დაუნდობელი ბრძოლა დაიწყო, თუმცა „კანონიერმა ქურდებმა” აღნიშნული სირთულეც დაძლიეს. გარდა შიდა ბრძოლებისა, მათ გაუძლეს სახელმწიფოს მიერ წარმოებულ რეპრესიულ ღონისძიებებსაც.

1956 წელს საბჭოთა კავშირის შსს-მ ქ.სოლიკამსკში დააარსა ექსპერიმენტული კოლონია №6, რომელსაც ხალხში “თეთრ გედს” უწოდებდნენ. აქ მხოლოდ “კანონიერი ქურდები” იმყოფებოდნენ. კოლონია 80-იანი წლების ბოლომდე მოქმედებდა. აღნიშნულ დაწესებულებაში „კანონიერ ქურდებს” უსასტიკესად

უსწორდებოდნენ. სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობდა „კანონიერი ქურდების" გასანადგურებლად. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ღონისძიებების შედეგად საკმაოდ შემცირდა „კანონიერი ქურდების" რაოდენობა. 50-იანი წლებისათვის საბჭოთა კავშირის 30-იანი წლების „ქურდული ორდენიდან" დარჩა მხოლოდ 3%. თუმცა ამ ღონისძიებების შემდეგ სახელმწიფომ ბრძოლა შუა გზაზე შეწყვიტა და „ქურდულ სამყაროზე" გამარჯვება გამოაცხადა, რაც უდიდესი შეცდომა იყო.

„როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, მიუხედავად ყველაზე "დრაკონული" ღონისძიებებისა და ფუძემდებლური პრინციპების ტრანსფორმაციისა, "კანონიერი ქურდების" ძირითადმა მასამ არა მხოლოდ გადარჩენა მოახერხა, არამედ შესანიშნავად შეეგუა ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებს. რა თქმა უნდა, ისინი აღარ იყვნენ ის კანონიერი ქურდები, რომლებიც XX ს.-ის 30-40-იანი წლების "გულაგის" ბანაკებში ლიდერობდნენ."

„ქურდულმა სამყარომ" გაუძლო სოციალიზმის რეპრესიულ მანქანას, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ამ მანკიერების წინააღმდეგ მხოლოდ ძალით ბრძოლა არ გამოდგება, ასევე ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს იდეოლოგიური ბრძოლა. მართალია, 50-იან წლებში მხოლოდ 3% დარჩა „ქურდული ორდენიდან," მაგრამ ისიც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ეს მანკიერება კვლავ ფეხზე დამდგარიყო და დღემდე მოეღწია. ეს ფაქტორი, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია „ქურდული სამყაროს" წინააღმდეგ ბრძოლაში.

აქვე ძალიან მნიშვნელოვანია, განვიხილოთ, თუ როგორ მოხდა „ქურდული სამყაროს" ციხის გარეთ გამოტანა და საზოგადოებაში დამკვიდრება. როგორც ზემოთ აღინიშნა, საზოგადოებაში არსებობდა ნოყიერი ნიადაგი იმისათვის, რომ „ქურდულ სამყაროს" ფესვები გაედგა. აღნიშნული ვითარება „ქურდულმა სამყარომ" კარგად გამოიყენა და დაიმკვიდრა თავისი ადგილი საზოგადოებაში. 1953 წელს, სტალინის გარდაცვალებისა და ტირანული რეჟიმის ხრწნის დაწყების შემდეგ, „ქურდულმა სამყარომ" ციხის გარეთ გამოსვლა დაიწყო. ახალი შესაძლებელობები გაჩნდა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ქურდების კრიმინალური "პოტენციალის" რეალიზაციისათვის.

პირველ რიგში, „ქურდული სამყაროს" წესებისა და იდეების საზოგადოებაში დამკვიდრება განაპირობა ციხიდან „თავისუფლებაზე" გამოსულმა უამრავმა ყოფილმა ავტორიტეტმა თუ უბრალო კრიმინალმა, რომლებიც „ლაგერებსა" თუ ციხეებში „ეზიარნენ" აღნიშნულ ფენომენს და სურდათ საზოგადოებაშიც გაევრცელებინათ ეს წესები.

„ციხის სუბკულტურის ჩამოყალიბებისა და გავრცელების შედეგები გასცდა პენიტენციური პრობლემების ფარგლებს. უპირველეს ყოვლისა, ამან გამოიწვია საზოგადოების კრიმინალიზაცია, პროფესიული და ორგანიზებული დანაშაულობის ზრდა, "კანონიერი ქურდების" კლანის ხელახალი აღორძინება. ნაწილობრივ, ეს მოხდა მოსახლეობას შორის ციხის სუბკულტურის და მასთან ერთად კრიმინალური განწყობის გავრცელებით, ნაწილობრივ კი იმის გამო,

რომ თანამედროვე ციხეები და ბანაკები როგორც არსებული, ისე აღმოცენების პროცესში მყოფი კრიმინალური სტრუქტურების კვების წყაროდ იქცა."

ასევე, საკმაოდ დიდი როლი ითამაშა „ქურდული სამყაროს" ციხის გარეთ გამოსვლის დროისათვის მოქმედი სამართალდამცავი სისტემის სისუსტემ და კორუმპირებულობამ. ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების ჩინოვნიკები საკმაოდ მაღალ შემოსავლებს იღებდნენ კრიმინალური ავტორიტეტებისაგან, სანაცვლოდ ისინი თვალს ხუჭავდნენ მათ არსებობაზე, რითაც „ქურდულ სამყაროს" ძალიან დიდ შესაძლებლობას აძლევდნენ, სულ უფრო ღრმად გაედგათ ფესვები და აეთვისებინათ საზოგადოებრივი ურთიერთობების მეტი სფერო.

"კანონიერი ქურდის" ინსტიტუტის აღორძინებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 60-80-იან წლებში სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში პოლიტიკურ-ვოლუნტარისტული ჰიპოთეზის – "საბჭოთა კავშირში დანაშაულობის სრული აღმოფხვრის შესაძლებლობის შესახებ" – შემოჭრამ და ქვეყანაში პროფესიული და ორგანიზებული დანაშაულობის ლიკვიდაციის ილუზიამ. ამას თან მოჰყვა სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ შესაბამისი ორგანოების ბრძოლის აქტივობის დაქვეითება. ქაღალდზე, ანგარიშებში ყველაფერი კარგი რაკურსით იყო წარმოდგენილი, სინამდვილეში კი ზნეობრივ ნორმათა დაქვეითება საშიშ ტემპებს იღებდა. შსს ოპერატიულ-სამძებრო აპარატების საქმიანობა მუშაობის უმარტივეს ფორმებამდე და მეთოდებამდე ნიველირდებოდა. საუწყებო დოკუმენტებიდან ამოიღეს ისეთი ცნებები, როგორებიცაა: "კანონიერი ქურდი", "სისხლისსამართლებრივ-ბანდიტური ელემენტი", "ბანდფორმირება" და ა.შ. ნორმატიული დოკუმენტებიდან მსგავსი ტერმინებისა და ცნებების ამოღებამ, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის არასწორმა რეფორმირებამ განაპირობა სამართალდამცავი ორგანოების სამსახურებრივი საქმიანობის ამორფულობა "კანონიერ ქურდებთან" და დანაშაულებრივი სამყაროს სხვა ლიდერებთან მიმართებით. 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის ავტორებმა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ძველი სისხლის სამართლის კოდექსის ტერმინები და განსაზღვრებები, რომლებიც ორგანიზებული დანაშაულობის ცალკეულ ფორმებს ასახავდნენ, ძირითადად, დაიყვანეს ცნებებამდე "ბანდა" და "მსჯავრდებულთა დანაშაულებრივი დაჯგუფება". ქაღალდიდან გაქრა, თუმცა ცხოვრებაში განაგრძობდა არსებობას ორგანიზებული დანაშაულობის ისეთი ფორმები, როგორებიც არის ე.წ. "შაიკა", "დანაშაულებრივი ორგანიზაცია" და სხვა. მოხდა მათი კომუფლირება უნივერსალური სამართლებრივი ცნებით: "პირთა ჯგუფის წინასწარი შეთანხმება". სისხლის სამართლის კოდექსში შენარჩუნდა ტერმინი "ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი", მაგრამ მისი კონკრეტული შინაარსი ახსნილი არ ყოფილა. ამიტომაც ასეთი დეფინიციების გამოყენება, როგორც პროცესუალური ინსტრუმენტარიისა, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო. ოპერატიული მუშაკები, გამომძიებლები და მოსამართლეები მას, ძირითადად, აიგივებდნენ ზემოთ დასახელებულ ცნებასთან: "პირთა ჯგუფის წინასწარი შეთანხმება". ეს არ მოითხოვდა დანაშაულებრივი ჯგუფის ან დანაშაულებრივი ორგანიზაციის ნიშნების პროცესუალურ დამტკიცებას, რაც,

რასაკვირველია, აღნიშნული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო პროცესების ჩატარებას აიოლებდა".

ამრიგად, პირველ რიგში, კანონმდებლობის მოუქნელობამ, მასში „ქურდული სამყაროს" წინააღმდეგ მუხლის არარსებობამ და, ასევე, თავად სახელმწიფოს მიერ ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტამ განაპირობა მისი კვლავ გაძლიერება. ასეთი პოლიტიკა სახელმწიფოს უკან შემოუტრიალდა. სანამ სახელმწიფოს „სირაქლემის პოზა" ეჭირა, „ქურდული სამყარო" ნელ-ნელა ძლიერდებოდა და ავტორიტეტსაც იმაღლებდა საზოგადოებაში. ეს მწარე გამოცდილება, ჩვენი აზრით, უნდა იქნეს გათვალისწინებული თანამედროვე საქართველოში და „ქურდული სამყაროს" წინააღმდეგ ბრძოლა არ უნდა დასრულდეს მარტო მათი ციხეში ჩასმით.
დანაშაულებრივი გარემოს განსაკუთრებით საშიში ლიდერების არასათანადოდ შეფასებამ, 70-80-იან წლებში ქვეყანაში არაკეთილსაიმედო სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის არსებობამ და, შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან "კანონიერი ქურდების" წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებამ კრიმინალებს ერთგვარი სოციალური შესვენების საშუალება მისცა, რამაც "კრიმინალურ-ნეგატიური" იდეოლოგიის ფართოდ გავრცელებამდე და ქურდული მოძრაობის ზრდის სტიმულირებამდე მიგვიყვანა.

„ქურდულმა სამყარომ" კარგად გათვალა ისიც, რომ თუ საზოგადოებაში მჭიდროდ გაიდგამდნენ ფესვებს, მათ წინააღმდეგ ბრძოლა საკმაოდ ძნელი იქნებოდა, ამიტომაც ისინი აქტიურად ეწეოდნენ „პიარ-კამპანიებს," „ქველმოქმედებას", ყველანაირად ცდილობდნენ საზოგადოებისათვის ეჩვენებინათ, რომ „კანონიერი ქურდები" სამართლიანობისა და თანასწორობის მხარეს არიან და რომ, სახელმწიფოსაგან განსხვავებით, ისინი უფრო ზრუნავენ უბრალო ხალხზე. აღნიშნული ღონისძიებებით „ქურდული სამყარო" სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

რა თქმა უნდა, ამ მოვლენებს არც საქართველოსათვის აუვლია გვერდი და ჩვენი ქვეყანაც, როგორც საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი, ამ დანაშაულებრივი სინდიკატის გავლენას განიცდიდა.

„ამ ნეგატიურმა პროცესებმა განსაკუთრებით იჩინა თავი კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში. 20-50-იანი წლების პერიოდში დანაშაულობის ორგანიზებული და პროფესიული ფორმების, მათ რიცხვში, "კანონიერი ქურდის" ინსტიტუტის განვითარება ტოტალიტარული სისტემის მკაცრ ჩარჩოებში ხდებოდა და, რეგიონის მიუხედავად, იდენტური ნიშნებით ხასიათდებოდა. კვლევის პროცესში ავტორების მიერ არ ყოფილა გამოვლენილი რაიმე დოკუმენტურად დამტკიცებული განსხვავება იმ პერიოდის ქართველ და რუს ან სხვა კრიმინალურ ავტორიტეტებს შორის. თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში და სხვა მასალებში უკვე ხშირად გვხვდება ქართველი "კანონიერი ქურდების" სახელები, რომელთა ავტორიტეტი ვრცელდებოდა როგორც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, ისე მის გარეთ."

ჩრდილოვანი ბიზნესის საქმოსნებთან შერწყმის წყალობით "ქურდული სამყა-

რო” მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ქართველ “კანონიერ ქურდებს” საგულისხმო მატერიალური სახსრები გაუჩნდათ და “საერთო სალაროზე” ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი. ბევრი მათგანი მდიდრულ ცხოვრებას ეწეოდა: რესტორნები, ავტომობილები, ძვირფასი ტანსაცმელი, ლამაზი ქალები, გავლენიან და რესპექტაბელურ პირთათვის დამახასიათებელი სხვა ატრიბუტები. ამის გამო “კანონიერი ქურდის” სტატუსი პრესტიჟული გახდა ქართველი საზოგადოების სხვადასხვა ფენაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის. ახალგაზრდობას ქურდული რომანტიკა იტაცებს (განსაკუთრებით მიმზიდველია ლეგენდები ქურდული სიმამაცის, პატიოსნების შესახებ, სიმღერები, ფოლკლორი), “კანონიერი ქურდი” განიხილება, როგორც შუამავალი გატაცებული საკუთრების დასაბრუნებლად, სამართლიანი არბიტრი კონფლიქტებისა და “საქმის გარჩევების” დროს. პირი, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ოპერატიულად და ასევე ოპერატიულად აღასრულებს.

სახელმწიფომ 80-იან წლებშიც გამოაცხადა „ქურდული სამყაროს” წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ სასურველ მიზანს მაინც ვერ მიაღწია. ამჯერადაც სახელმწიფომ „ქურდული სამყაროს” წინააღმდეგ ზედაპირული ბრძოლა დაიწყო, კვლავ სხვადასხვა მუხლით იჭერდნენ „კანონიერ ქურდებს,” თუმცა არავინ ებრძოდა მიზეზებს, ამიტომაც კვლავ ვერ მოხერხდა „ქურდული სამყაროს” დამარცხება.

„1986 წლის შუა ხანებისათვის დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს 52 “კანონიერი ქურდი”, თუმცა მათმა უმრავლესობამ მხოლოდ სიმბოლური სასჯელი მიიღო, რამდენადაც სისხლის სამართლის კოდექსში არ იყო სპეციალური მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას “კანონიერი ქურდების” კასტასთან კუთვნილების გამო. მასალებიდან ჩანს,რომ ოთხი ქურდი გაასამართლეს გასახლების რეჟიმის დარღვევისათვის, 14 – იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო ფლობისათვის, 19 – ნარკობიზნესისა და დანაშაულებრივი აქტიურობის სხვა ფორმებისათვის და არც ერთი მათგანი არ დასჯილა რეალური ქმედების ანუ დანაშაულებრივი დაჯგუფებების საქმიანობაში ორგანიზატორული საქმიანობისათვის. ამ ეპიზოდმა დაადასტურა მრავალი მკვლევრის აზრი იმის თაობაზე, რომ ძალიან ძნელია ქურდის იზოლირება მისი ორგანიზატორული საქმიანობისგან, რასაც ის ციხეში ყოფნის დროსაც კი წარმატებით ახორციელებს”.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მთელი თავისი არსებობის პერიოდში „ქურდულმა სამყარომ” უამრავი რამ განვლო: შიდა დაპირისპირებები, სისხლისმღვრელი გარჩევები, სახელმწიფოს მხრიდან წარმოებული რეპრესიები და, მიუხედავად ამისა, მაინც მოახერხა გადარჩენა და საზოგადოებაში ფესვების მყარად გადგმა. იგი სწრაფად ადაპტირდება ყოველგვარ გარდაქმნებსა და ცვლილებებთან და ვითარდება საზოგადოებასთან ერთად, ამიტომაც აუცილებელია,გავიზიაროთ წარსულის გამოცდილება და ვიმოქმედოთ შესაბამისად. არ უნდა დავუშვათ იგივე შეცდომები და შევეცადოთ, ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ ვიყოთ „ქურდულ სამყაროზე,” რათა მან ვერ მოასწროს ადაპტირება და თავის დაღწევა. ეს ყოველივე კი დაგვეხმარება, რომ აღნიშნული მანკიერე-

ბის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა წარვმართოთ.

"ქურდული სამყაროს" წესები

„ქურდული სამყაროს" წინააღმდეგ ბრძოლის და მისი დაგეგმვისათვის საჭიროა გავეცნოთ თავად ამ ფენომენის მახასიათებლებსაც, ზოგადად განვიხილოთ „ქურდული სამყაროსათვის" დამახასიათებელი წესები. აღნიშნული წესების განხილვამ უნდა წარმოაჩინოს, თუ რატომაა ეს მანკიერება საზოგადოებისათვის მისაღები, საიდან წარმოიშვება მისდამი საზოგადოების ტოლერანტული დამოკიდებულება, რატომაა იგი ასე რომანტიზებული ახალგაზრდებსა და უფროსი თაობის ადამიანებში. აღნიშნული საკითხის განხილვა შესაძლებელს გახდის შევიმუშაოთ „ქურდულ სამყაროზე" ზემოქმედების მექანიზმები.

„ქურდული სამყაროს" წესებს საკმაოდ დიდი ისტორია აქვს, მან ბევრი ცვლილება განიცადა და ამჟამადაც განიცდის საზოგადოებრივი ვითარების კვალდაკვალ.

სრულყოფილად ქურდული სამყაროს წესები და მისთვის დამახასიათებელი ნიშნები გადმოცემულია გივი ლობჟანიძისა და გიორგი ღლონტის მონოგრაფიაში „კანონიერი ქურდები საქართველოში: ისტორია და რეალობა." აღნიშნული მონოგრაფიის შესაბამისად შევეცდებით ამ წესების განხილვას.

ქურდული სამყაროს პირველი და უმთავრესი მახასიათებელი, რითაც ის ხიბლავს საზოგადოებას, ეს არის დამოუკიდებლობა. ქურდი არის თავისუფალი და იგი არავის არ ემორჩილება, „კანონიერი ქურდი" მხოლოდ ქურდული კანონის მიხედვით ცხოვრობს. თავისუფლება კი ნებისმიერი ადამიანისათვის უძვირფასესი რამაა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა კავშირის დროს, როდესაც ადამიანს და საზოგადოებას მაქსიმალურად შეზღუდული ჰქონდათ თავისუფლება. ამრიგად, თავისუფალი და დამოუკიდებელი „კანონიერი ქურდი," რომელიც არად აგდებდა საბჭოთა რეჟიმს, საზოგადოებაში და, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ბიჭებში აღტაცებას იწვევდა.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „ქურდული საზოგადოება" ეფუძნებოდა თანასწორობასა და დემოკრატიულ იერარქიას. „ქურდულ სამყაროში" „კანონიერი ქურდები" თანასწორნი იყვნენ, განურჩევლად ეროვნებისა. ასევე, „ქურდული სამყარო" საშუალებას იძლეოდა დამსახურების შემთხვევაში ნებისმიერი გამხდარიყო „კანონიერი ქურდი." დემოკრატიულობისა და თანასწორობის გამოვლინებად შეიძლება ჩავთვალოთ ის წესიც, რომ დაუშვებელი იყო ვინმეს უმიზეზოდ დაჩაგვრა, ცემა, დაჭრა ან მოკვლა. ადამიანს პასუხი უნდა ეგო თავის საქციელზე.

ამასთან, „ქურდულ სამყაროში" არსებობს სხვა საკმაოდ მნიშვნელოვანი „კანონები", რომელთა შესრულებაც სავალდებულოა „ქურდული სამყაროს" ყველა

წარმომადგენელისათვის. ესენია:

- ქურდული იდეის ერთგულება და მხარდაჭერა;
- სამართალდამცავ ორგანოებთან კონტაქტების დაუშვებლობა;
- სხვა "კანონიერ ქურდებთან" ან ავტორიტეტებთან ურთიერთობებში პატიოსნების დაცვა;
- თავიანთ წრეში ახალი წევრების, განსაკუთრებით, ახალგაზრდების ჩაბმის ვალდებულება;
- პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვა;
- კონტროლი გამასწორებელ დაწესებულებებსა და დროებითი დაკავების საკნებში წესრიგის დაცვაზე, იქ ქურდების ძალაუფლების დამყარება;
- კარტის თამაშის აუცილებელი ცოდნა.

ამ ძირითადი "კანონებიდან" გამომდინარეობს მთელი რიგი წესებისა:

- უარი ნებისმიერ სახელისუფლებო სტრუქტურასთან თანამშრომლობაზე;
- უარი საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებისათვის ჩვენების მიცემაზე;
- უარი ჩადენილი დანაშაულის აღიარებაზე;
- კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება თანამზრახველებთან და მათ ადგილსამყოფელთან დაკავშირებით;
- საკუთრების და დანაზოგის არქონა;
- ოჯახის არყოლა;
- პერიოდული პატიმრობა;
- უარი იარაღზე;
- ნებისმიერ პირობებში მუშაობაზე უარის თქმა;
- ზონაში წესრიგის დაცვა, ე.ი. კონფლიქტის გარჩევა, კამათის, დანის ტრიალის და ა.შ. დაუშვებლობა;
- პატიმრების ყოფნის ადგილების მომარაგება;
- ქურდული სალაროს შევსება, ე.ი. მსჯავრდებულების, პატიმრებისგან და ა.შ. მოსაკრებელის აღება;
- მშობლების (განსაკუთრებით დედის) პატივისცემა;
- ნებისმიერი პარტიის, გაერთიანების წევრობაზე უარის თქმა;
- "ჟარგონის" ცოდნა;
- ახალგაზრდობისათვის ცხოვრების, "გაგების" სწავლება;
- ჩაწერის (რეგისტრაციის) არქონა;
- პატიოსნება ქურდებთან კარტის თამაშის დროს;
- თანაშემწის (შესტიორკის) ყოლა.

ციხის "კანონები":

- გამოყოფს წილს "საერთო სალაროში";
- კრძალავს ძალადობის გამოყენებას "კანონიერი ქურდის" მიმართ;
- პატივს სცემს უფროსებს;
- პატივს სცემს მშობლებს;

- შეურიგებელია დაბეზღებისადმი;
- კრძალავს უსაფუძვლოდ რაიმეს წართმევას;
- კრძალავს ვინმეს მიმართ მტკიცებულების გარეშე ბრალდების წაყენებას;
- კრძალავს შეურაცხყოფას;
- კრძალავს უცენზურო გინებას;
- მხარს უჭერს დაოჯახებულებს;
- კრძალავს სექციაში შესვლას ("არ გაწითლება");
- კრძალავს თავისიანების გაქურდვას.

აღნიშნული ჩამონათვალი მოყვანილია გ. ლობჟანიძისა და გ. ღლონტის მონოგრაფიაში და შეიძლება სრულყოფილად მივიჩნიოთ.

ამრიგად, როგორც ამ წესებიდან ჩანს, საკმაოდ ბევრი რამ „ქურდულ წესებში" დამყარებულია საზოგადოებაში არსებულ მორალურ და ზნეობრივ ღირებულებებზე. უფროსის პატივისცემა, ძალადობის გამოყენების აკრძალვა უმიზეზოდ, დამბეზღებლობის აკრძალვა, ოჯახის პატივისცემა და ა.შ. ეს ყველაფერი ძალიან ახლოა და მისაღებია საზოგადოებისათვის. ალბათ ამან განაპირობა ისიც, რომ „კანონიერმა ქურდებმა" მოახერხეს საზოგადოების „მოხიბვლა". ამას ემატება თავად „კანონიერი ქურდის" მაღალი ავტორიტეტი, რასაც განაპირობედა მათზე ლეგენდების შეთხზვა და მათი ვაჟკაცობის, სიმამაცისა და სამართლიანობის ეტალონად წარმოჩენა. „ქურდული სამყაროს" წესების მიხედვით, უმაღლეს დონემდეა აყვანილი მამაკაცური ღირსება, რომლის ხელყოფა და უმიზეზოდ შელახვა სასტიკად ისჯებოდა და ნებისმიერ კრიმინალურ ავტორიტეტს, პირველ რიგში, თავისი და თავისი ახლობლების ღირსების დაცვა ევალებოდა. აღნიშნული წესები მოწონებას იმსახურებს ახალგაზრდებში. მათ უჩნდებათ სურვილი, მიბაძონ „კანონიერ ქურდებს," ცდილობენ იცხოვრონ „ქურდული წესების" შესაბამისად. ეს კი ხელს უწყობს „ქურდული სამყაროს" ახალი „კადრებით" შევსებას.

„ქურდული სამყაროს" შესწავლამ ნათლად გვაჩვენა, რამდენად დიდ საფრთხეს წარმოადგენს იგი საზოგადოებისათვის, რა ხერხები იქნა მის წინააღმდეგ გამოყენებული, რომელი აღმოჩნდა მათ შორის ეფექტური და რომელი პირიქით, რა გზა განვლო ქურდულმა სამყარომ დღევანდლამდე და რატომაა იგი ასე მისაღები საზოგადოებისათვის. აღნიშნულის ცოდნა დაგვეხმარება სწორად დავგეგმოთ ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, გავიზიაროთ უკვე არსებული გამოცდილება და აღარ დავუშვათ იგივე შეცდომები. მომდევნო თავში განხილული იქნება ის ღონისძიებები, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება ატარებს „ქურდული სამყაროს" წინააღმდეგ, კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებები.

2003 წლის 20 დეკემბერს ცვლილება შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომლითაც დაემატა 223[1]–ე მუხლი „ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა". ეს მუხლი მოთავსებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეცხრე კარის („დანაშაული საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების წინააღმდეგ") ოცდამეათე თავში და განეკუთვნება

საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა რიცხვს. აღნიშნული მუხლი შემდეგნაირადაა ფორმულირებული:

„1. **ქურდული სამყაროს წევრობა** – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ.
2. **კანონიერი ქურდობა** – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ."

ასევე, ჩვენს ქვეყანაში მიღებულია კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ," რომელშიც განმარტებულია „ქურდული სამყარო" და „კანონიერი ქურდი."

„1. **ქურდული სამყარო** – პირთა ნებისმიერი ერთობა, რომელიც მოქმედებს მათ მიერ დადგენილი/აღიარებული სპეციალური წესების შესაბამისად და რომლის მიზანია დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობებით, ქურდული გარჩევის გზით, დანაშაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით ან დანაშაულის ჩადენისაკენ წაქეზებით მისი წევრებისათვის ან სხვა პირებისათვის სარგებლის მიღება.
2. **ქურდული სამყაროს წევრი** – ნებისმიერი პირი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად.
3. **ქურდული გარჩევა** – ქურდული სამყაროს წევრის მიერ ორი ან ორზე მეტ პირს შორის არსებული დავის გადაწყვეტა, რომელსაც ახლავს მუქარა, იძულება, დაშინება ან სხვა უკანონო ქმედება.
4. **კანონიერი ქურდი** – ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს."

თემა 8 - ჩემი სამართლიანი არჩევანი

მიზანი

მოსწავლეები გაიაზრებენ კანონის უზენაესობის პრინციპისა და სამართლებრივი კულტურის მნიშვნელობას.

ხანგრძლივობა - ერთი გაკვეთილი (ერთი აკადემიური საათი).

საჭირო რესურსები – ფურცლები, კალმები, ტრაფარეტები, მარკერები, დიდი ფორმატის ქაღალდები.

გაკვეთილის პროცესი

მასწავლებელი კედლის ერთ ბოლოში გამოაკრავს ტრაფარეტს „მომხრე" და მეორე ბოლოში – „მოწინააღმდეგეს".

სამართალდამცველი მოსწავლეებს სთავაზობს გამოთქმას: **„უნდა დავიცვათ ყველა კანონი, მათ შორის, უსამართლოც კი"**. მოსწავლეებს 2 წუთი აქვთ მოსაფიქრებლად. ვინც ეთანხმება, დგება იმ მხარეს, სადაც არის წარწერა „მომხრე", ვინც წინააღმდეგია – წარწერისკენ „მოწინააღმდეგე", ხოლო ის, ვინც მერყეობს – შუაში.

როდესაც მონაწილეები განლაგდებიან კედლის გასწვრივ, სამართალდამცველი სთხოვს კედლის ბოლოებში მდგომ ორ მონაწილეს, დაჯდეს ოთახის ცენტრში მდგომ სკამზე. ამ მოსწავლეებს აქვთ თითო წუთი იმის განსამარტავად, თუ რატომ ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან გამონათქვამს.

ერთი წუთის შემდეგ სამართალდამცველი სთხოვს მათ, ვისაც არ ჰქონდა გადაწყვეტილი, სად უნდა დამდგარიყო, გადაინაცვლონ ერთი ან მეორე ლიდერის უკან, რადგან არ შეიძლება, ვინმეს დარჩეს ჩამოუყალიბებელი აზრი. შედეგად უნდა შეიქმნას განცხადების „მომხრეთა" და "მოწინააღმდეგეთა" თითო ჯგუფი. მიეცით ერთმანეთისგან დაშორებულ ორივე ჯგუფს 5 წუთი თავიანთი პოზიციების დამცავი არგუმენტების მოსაფიქრებლად და ლიდერის ასარჩევად, რომელიც წარადგენს ამ არგუმენტებს მსმენელის წინაშე.

5 წუთის შემდეგ ლიდერებმა უნდა დაიკავონ ადგილები ოთახის ცენტრში, ხოლო „მხარდამჭერები" განლაგდნენ მათ უკან. ლიდერებს 3-3 წუთი აქვთ თავიანთი არგუმენტების წარმოსადგენად, დროის ამოწურვის შემდეგ მხარდამჭერებს შეუძლიათ შეიცვალონ აზრი და გადავიდნენ ოპოზიციური ჯგუფის მხარეს, თუ მათი არგუმენტები უფრო დამაჯერებლად მოეჩვენებათ.

მიეცით ჯგუფებს დამატებითი 5 წუთი არგუმენტებზე სამუშაოდ და მესამე სპიკერის ასარჩევად. ანალოგიურად, დროის ამოწურვის შემდეგ მიეცით მონა-

წილეებს საშუალება, შეიცვალონ პოზიციები, თუ ამის სურვილი ექნებათ.

შემდეგი ეტაპი გულისხმობს შემაჯამებელ ანალიზსა და დისკუსიას.

მასწავლებელი ავლენს იმ მოსწავლეებს, რომლებმაც თამაშის მიმდინარეობის დროს შეიცვალეს აზრი და არკვევს, კონკრეტულად რომელმა არგუმენტებმა გამოიწვიეს ეს. ჰქონდა თუ არა რაიმე აზრი სავარჯიშოს მათთვის, ვინც არ შეიცვალა საკუთარი აზრი? შეუძლიათ წარმოადგინონ რომელიმე არგუმენტი, რომელსაც შეეძლო მათთვის აზრის შეცვლა. პოზიციების შეცვლა მოხდა მხოლოდ არგუმენტებისა თუ ემოციების საფუძველზეც?

ბოლოს მასწავლებელი და სამართალდამცველი მადლობას უხდიან მოსწავლეებს მათ მიერ გაწეული შრომისა და თანამშრომლობისთვის, რომელიც გაგრძელდება სხვა ფორმებით. ორივე აღნიშნავს, თუ რამდენი რამ ისწავლეს მოსწავლეებისა და ერთმანეთისგან, რამაც სასარგებლოდ გაამდიდრა მათი გამოცდილება.

განმარტებითი ლექსიკონი

პოლისი - ძველ ბერძნულად ნიშნავდა ქალაქს.

პოლიტეა – ძველ ბერძნულად ნიშნავდა ქალაქის მმართველობას.

პოლიტია – პოლიტეა ლათინურად. სწორედ ლათინური ენიდან წარმოიშვა სიტყვა პოლიცია, რომელიც საწყის ეტაპზე ხელისუფალს ნიშნავდა.

პოლიცია – საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად უფლებამოსილი სამართალდამცავი ორგანო. თანამედროვე ქვეყნების სახელმწიფო მექანიზმში პოლიციის სტრუქტურა და გავლენა დამოკიდებულია მმართველობის ფორმებზე, სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ მოწყობასა და პოლიტიკურ რეჟიმზე. პოლიცია პასუხისმგებელია მოსახლეობის, სახელმწიფოს, კერძო საკუთრების დაცვაზე, აგრეთვე სისხლისსამართლის საქმეთა გამოძიებაზე, საგზაო მოძრაობისა და საზოგადოებრივი წესრიგის რეგულირებაზე. პოლიციელებს, როგორც წესი, აცვიათ ფორმა და ატარებენ იარაღს.

ფედერალური – იგივეა რაც ფედერაციული – ფედერაციის საფუძველზე აგებული.

ფედერაცია – სახელმწიფო წყობილების ფორმა, რომლის დროსაც რამდენიმე სახელმწიფოსგან იქმნება ერთი სახელმწიფო.

კადრები – რომელიმე დაწესებულების, წარმოების, მეურნეობის ამა თუ იმ დარგის მუშაკთა ძირითადი შემადგენლობა.

პოლიტიკური საქმიანობა – პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანება, ნებისმიერ არჩევით ორგანოში არჩევის უფლების გამოყენება.

აზარტული თამაშები – ანუ თამაშობები, რომელთა შედეგი მთლიანად ან ნაწილობრივ დამოკიდებულია შემთხვევითობაზე, ტარდება ბანქოს დასტის, კამათლის, სათამაშო ბორბლის (რულეტის) ან სათამაშო აპარატის მეშვეობით და მასში მონაწილეობა ფულადი მოგების შესაძლებლობას იძლევა.

კოდექსი – კანონთა კრებული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – კანონები, რომლებიც აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი – კანონები, რომლებიც ემსახურება საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების,

მმართველობის დადგენილი წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფას, მოქალაქეთა აღზრდას საქართველოს კონსტიტუციის, მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსების, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების სულისკვეთებით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი – კანონები, რომლის მიხედვითაც დგინდება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, ამასთანავე, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას.

სისხლის სამართლის საპროცეო კოდექსი – კანონები, რომელთა მიზანია, დაადგინოს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებანი და მისი ჩამდენი პირი, უზრუნველყოს კანონის სწორად გამოყენება, არ დაუშვას უდანაშაულო პირის მსჯავრდება, გამოასწოროს საგამოძიებო და სასამართლო შეცდომები, დაიცვას მოქალაქის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის, აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესის ყველა სხვა მონაწილის უფლებები და თავისუფლებები, დაამკვიდროს საზოგადოებაში კანონის, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეების პატივისცემა.

მეურვეობა და მზრუნველობა – არასრულწლოვან ბავშვებს, რომლებიც მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩნენ მშობლების გარდაცვალების, გარდაცვლილად აღიარების, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, შეჩერების ან შეზღუდვის, მშობლების ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან ბავშვის მიტოვებულად აღიარების გამო, უწესდებათ მეურვეობა და მზრუნველობა მათი აღზრდის მიზნით, პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

მეურვეობა – მეთვალყურეობა, რომელიც წესდება ბავშვზე, რომელსაც არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისათვის.

მზრუნველობა – მზრუნველობა წესდება არასრულწლოვანზე შვიდი წლის ასაკიდან თვრამეტ წლამდე.

საგანმანათლებლო რესურსცენტრი - საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი (შემდგომში – რესურს-ცენტრი) წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) ტერიტორიულ ორგანოს.
სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებია საგანმანათლებლო რესურსცენტრები, რომლებიც იქმნება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
საგანმანათლებლო რესურსცენტრების მმართველობის სფერო, უფლება-მოვალეობანი და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრება საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპური დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ან/და მის სისტემაში შემავალი უფლებამოსილი დაწესებულება (ორგანიზაცია), აგრეთვე მათი ტერიტორიული ორგანოები.

მანტია – გრძელი, ფართო წამოსასხამი.

მოსამართლე – საქართველოს კანონმდებლობით, საერთო სასამართლოს თანამდებობის პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არჩეული ან დანიშნულია მოსამართლედ და ერთპიროვნულად ან კოლეგიის შემადგენლობაში ახორციელებს მართლმსაჯულებას.

პროკურორი – პირი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფუნქციებს.

ადვოკატი – ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა; კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში.

იერარქიული – იერარქიის ხასიათისა.

იერარქია – წესი თანამდებობრივად უდაბლესის დაქვემდებარებისა უმაღლესისადმი.

იუსტიციის უმაღლესი სკოლა – სკოლის დანიშნულებაა საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლედ დასანიშნი პირის პროფესიული მომზადება. სკოლის მიზანია, უზრუნველყოს მსმენელის თეორიული ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკული მუშაობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო – მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზების, სასამართლო რეფორმის გასატარებლად წინადადებების შემუშავების და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების შესრულების მიზნით შექმნილი ორგანო.

კოლეგია – სამი მოსამართლისგან შემდგარი სასამართლო.

სპიკერი – საკანონმდებლო ორგანოს სხდომების წარმმართველი. ტერმინი დამკვიდრდა ბრიტანეთის თემტა პალატის სპიკერებთან ანალოგიით.

ბრალდებული – სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი.

განსასჯელი – ბრალდებული, რომლის მიმართ საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ საქმე არსებითად განსახილველად ან საპროცესო შეთანხმების დადების შემდეგ დასამტკიცებლად ჩაბარდა სასამართლოს განსჯადობის მიხედვით.

ბრალდების მხარე – პროკურორი, აგრეთვე დაზარალებული.

ნაფიცი მსაჯული – ხალხის წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ მართლმსაჯულების განხორციელებაში. ისინი, როგორც წესი, ქმნიან დამოუკიდებელ კოლეგიას, რომელიც ვერდიქტის გამოტანით წყვეტს მხოლოდ ბრალდებულის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის საკითხს. ბრალეულად ცნობის შემთხვევაში განაჩენს ადგენენ და სასჯელს ნიშნავენ პროფესიონალი მოსამართლეები დამოუკიდებლად ან ნაფიც მსაჯულებთან ერთად.

ინსპექტორ-გამომძიებელი – სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია აწარმოოს სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოძიება.

მოწმე – პირი, რომლისთვისაც ცნობილია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები. მოწმედ შეიძლება გამოიძახონ ნებისმიერი პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები.

ალკოჰოლიზმი – მაგარი სასმელების ხშირად სმა; ლოთობა.
ალკოჰოლიკი (ლოთი) – პირი, რომელსაც სმისთვის თავის დანებება არ ძალუძს და რომლის ცხოვრების წესზეც სმა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

ნარკოტიკი – ისეთი მცენარეული ან ხელოვნურად მიღებული ნივთიერება, რომლის მოხმარება ადამიანის ორგანიზმში ფიზიკურ, გონებრივ ან ორივე სახის ცვლილებებს იწვევს.

ნარკომანია – დაავადება, რომელიც ვითარდება ნარკოტიკულ საშუალებათა სისტემატური მოხმარების შედეგად და ვლინდება ნარკოტიკის მიღების დაუძლეველი ან ძნელად დასაძლევი მოთხოვნილების სახით.

ნარკომანი – ნარკომანიით დაავადებული ადამიანი, რომელსაც აქვს ნარკოტიკის დაუძლეველი მოთხოვნილება, აღენიშნება პერიოდული ან ქრონიკული ინტოქსიკაცია (მოწამვლა) და იძულებულია გაზარდოს ნივთიერების დოზა ორგანიზმის დოზისადმი შეჩვევის გამო.

ნარკოტიკის მომხმარებელი – ადამიანი, რომელიც არასამედიცინო დანიშნულებით ხმარობს ნარკოტიკულ საშუალებას, ვინაიდან აქვს მისდამი ჩამოყალიბებული დამოკიდებულება.

ნარკოტიკული დანაშაული – პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუა-

ლების უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება; ასევე ნარკოტიკული საშუალების წარმოება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება; ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება; ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა; ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე დაყოლიება.

პასიური საარჩევნო უფლება (არჩევნებში მონაწილეობის უფლება) – მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად.

ნიკოტინიზმი – ნიკოტინით ქრონიკული ან მწვავე მოწამვლა.

ნიკოტინი – შხამი, რომელსაც შეიცავს თამბაქო.

აზარტული თამაშობები – თამაშობები, რომელთა შედეგი მთლიანად ან ნაწილობრივ დამოკიდებულია შემთხვევითობაზე, ტარდება ბანქოს დასტის, კამათლის, სათამაშო ბორბლის (რულეტის) ან სათამაშო აპარატის მეშვეობით და მასში მონაწილეობა ფულადი მოგების შესაძლებლობას იძლევა.

მოთამაშე – პირი, რომელიც თამაშობაში მონაწილეობს მოგების მიღების მიზნით.

სამორინე – სპეციალური სათამაშო დაწესებულება, სადაც სათამაშო ბორბლის (რულეტის), ბანქოს, სათამაშო მაგიდების, კამათლების, სათამაშო აპარატებისა და სხვა ინვენტარის საშუალებით ხორციელდება ფულადი მოგების გათამაშება.

სათამაშო დარბაზი – სამორინეში თამაშობების ჩასატარებელი სპეციალური ადგილი, სადაც უზრუნველყოფილია მოთამაშეთა უსაფრთხოება და დაცულია საზოგადოებრივი წესრიგი და რომელიც აკმაყოფილებს სანიტარიულ, ჰიგიენურ და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებს; აგრეთვე მოწყობილია სპეციალური საკასო ოთახი.

სათამაშო აპარატი – მექანიკური ან ელექტრონული მექანიზმები, რომლებიც მოქმედებაში მოჰყავთ მონეტებით, ჟეტონებით ან სხვა საშუალებით და მოგება განისაზღვრება ციფრების, სიმბოლოების ან მათი კომბინაციის მთლიანი ან ნაწილობრივი დამთხვევით.

სათამაშო აპარატების სალონი – სპეციალური სათამაშო ადგილი, სადაც განთავსებულია სათამაშო აპარატები.

ლატარია – ნებაყოფლობითი ჯგუფური ან მასობრივი თამაშობა, რომლის დროსაც ლატარიის ორგანიზატორი საჯაროდ გამოქვეყნებული, დადგენილი წესისა

და პირობების დაცვით ათამაშებს საპრიზო ფონდს. მოგების დამთხვევა ლატარიის რომელიმე ბილეთზე დამოკიდებული არ არის ლატარიის ორგანიზატორის ან სხვა სუბიექტის ნება-სურვილსა და მოქმედებაზე, წარმოადგენს შემთხვევითობას და არ შეიძლება იყოს სპეციალურად მოწყობილი.

ლოტო – ჯგუფური თამაშობა, რომლის მონაწილე ირჩევს რიცხვით ან სიმბოლოების კომბინაციებს და მოგება დამოკიდებულია რიცხვითი ან სიმბოლოების კომბინაციების მთლიან ან ნაწილობრივ დამთხვევაზე და მოგება განისაზღვრება საპრიზო ფონდის ოდენობიდან. ლოტო ტარდება სპეციალურად მოწყობილ შენობაში და მასში მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება შენობაში არსებული სათამაშო ადგილების რაოდენობით.

ბინგო – ჯგუფური თამაშობა, რომელშიც რიცხვითი ბარათების ან ელექტროტაბლოს მეშვეობით ფიქსირდება მოგება სპეციალური მოწყობილობიდან ამოსული რიცხვითი კომბინაციების დამთხვევით და მოგება განისაზღვრება საპრიზო ფონდის ოდენობიდან. ბინგო ტარდება სპეციალურად მოწყობილ შენობაში და მასში მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება შენობაში არსებული სათამაშო ადგილების რაოდენობით.

ტოტალიზატორი – თამაშობა, რომელიც იმართება მოთამაშეების მიერ შეჯიბრების მიმდინარეობის ან/და თამაშობის შედეგის პროგნოზზე ფსონების დადებით, ხოლო მოგება დამოკიდებულია ფსონის მოცულობაზე. ტოტალიზატორი იმართება მხოლოდ სპეციალურად მოწყობილ შენობაში.

წამახალისებელი გათამაშება – თამაშობა, რომელიც ტარდება კონკრეტული სახის პროდუქციის (მომსახურების) სწრაფად და ეფექტიანად რეალიზების მიზნით და წამახალისებელი გათამაშების ბილეთი გაიცემა უფასოდ. წამახალისებელი გათამაშების ნებართვა გაიცემა კონკრეტული პროდუქციის (მომსახურების) მწარმოებელ იურიდიულ (ფიზიკურ) პირზე ან მის წარმომადგენელზე. დაუშვებელია წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობისათვის ნებისმიერი ფორმით საფასურის დაწესება.

სინდიკატი – ეკონომიკური ან საზოგადოებრივი სარგებლის მიღების მიზნით ადამიანთა ან ადამიანთა ჯგუფების გაერთიანება.